შპს- კოლეჯ ბარაკონის ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ბექარ კილასონია
წევრები:
ეკა ბუთხუზი
ზურაბ მესხიძე
თამილა გრძელიშვილი
ნანა ვერულაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ბარაკონი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)

საიდენტიფიკაციო კოდი: 204877231

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

დაწესებულების ავტორიზაცია

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)

■ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 30 სექტემბრის № MES 6 25 0001254958 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი 22,23,24 ოქტომბერს შპს ბარაკონში (მის: საქართველო, ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №4) და შეაფასა დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო ვიზიტის ფარგლებში განახორციელა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადგილზე შესწავლა. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად განიხილა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, დაათვალიერა პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, ასევე შეაფასა სასწავლო პროცესისათვის გამოყენებული მატერიალური რესურსების შესაბამისობა პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა გასაუბრება დირექტორის მოადგილესთან, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირთან, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან, ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და შესაბამის პროცესებზე პასუხისმგებელ პირებთან, რამაც ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა მოგვცა შეფასებულიყო პროგრამის ადმინისტრირების და განხორციელების პრაქტიკა. ასევე დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დირექტორის ბრძანანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, (2025 წლის 13 აგვისტოს N94), სადაც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები, პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, დაფინანსების წყარო, დაფინანსების ოდენობა და შესრულების პერიოდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

პროგრამის სახელწოდება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	პროგრამის განხორციელების ადგილი
საექთნო საქმე	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	კოოპერაციული	ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალო, ანა პოლიტკოვსკაიას №4 (ყოფ. ჯიქია) VI სართული
ფარმაცია (სააფთიაქო)	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	კოოპერაციული	ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალო, ანა პოლიტკოვსკაიას №4 (ყოფ. ჯიქია) VI სართული
ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებული	ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალო, ანა პოლიტკოვსკაიას №4 (ყოფ. ჯიქია) VI სართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველადი ავტორიზაციის შემთხვევაში. ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
საექთნო საქმე	180	114	5	6
ფარმაცია (საფთიაქო)	80	41	4	
ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	36	0	7	

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალით(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

- დაწესებულება ყოველწლიურად ატარებს შიდა კონფერენციას, რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტების ცოდნის გაღრმავება, უნარების განვითარება და მათი აკადემიური პოტენციალის გამოვლენა. კონფერენციაში მონაწილე ყველა პროფესიულ სტუდენტს დაწესებულება გადასცემს - მონაწილეობის სერტიფიკატებს, წიგნებსა და სხვა სამახსოვრო ნივთებს, ხოლო კონფერენციის ფარგლებში გამოვლენილ გამარჯვებულს საჩუქრებთან ერთად ფულად ჯილდოს. აღნიშნული ღონისძიება ხელს უწყობს სტუდენტთა მოტივაციის ზრდას, მათ პროფესიულ და კარიერულ განვითარებას.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის („საექთნო საქმე“) ერთ-ერთი კურსდამთავრებული, პროგრამის წარმატებით დასრულების შემდგომ, დასაქმდა საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციაზე. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს პროფესიულ საზოგადოებაში ცოდნისა და გამოცდილების უწყვეტ გადაცემას, მნიშვნელოვნად აძლიერებს სტუდენტთა შიდა მოტივაციურ მექანიზმებს და დადებითად აისახება როგორც საგანმანათლებლო პროცესის ხარისხზე, ისე დარგობრივი მომზადების მდგრადობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.1) პსდ-ს მისია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
საექთნო საქმე	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ფარმაცია (სააფთიაქო)	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ გამოვლენილა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.2.1 დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობების შესრულება. კერძოდ, უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა და დადებითი დასკვნის წარმოდგენა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

- ✓ **2.4.2.1** დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტში გაწერილია ვალიდაციის პროცედურა, რომელიც საჭიროებს კორექტირებას, კერძოდ, „ვერიფიკატორის“ ნაცვლად გამოიყენონ ტერმინი „ვალიდატორი“. ასევე, რამდენადაც, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია და შეფასების შიდა ვერიფიკაცია, ორივე მიემართება პსდ სტანდარტების 2.4.2 კრიტერიუმს, სასურველია მარეგულირებელ აქტებში თანმიმდევრულად იყოს გაწერილი პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები (ვალიდაცია, ვერიფიკაცია). ასევე, ინსტრუმენტის ვალიდაციის დროს, ვალიდატორმა უკუკავშირით დაადასტუროს, რომ ინსტრუმენტი შეითანხმა დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების ინსტრუქციის მიხედვით. (დირექტორის ბრძანება, N53/12.08.2021 ბოლო ცვლილება ბრძანება N20/26.02.2024). ეს პროცესი შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მატერიალური ფორმით, ასევე, ელექტრონული მიმოწერით, ვალიდატორების ოფიციალურ მეილებზე.
- ✓ **2.4.2.2** დაწესებულება ინსტრუმენტის ვერიფიკაციას ახორციელებს, მატერიალური და ელექტრონული ფორმით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაცია, ვერიფიკატორების მიერ შევსებულ (დასრულებულ) ვერიფიკაციის დასკვნის ფორმაში გაჩნდეს ვერიფიკატორების ხელმოწერა. შესაბამისად, დაწესებულებას ექნება ვერიფიკაციის დოკუმენტის უფრო მყარი მტკიცებულება.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ ექსპერტთა დასკვნის პროექტთან დაკავშირებით თავის არგუმენტირებულ პოზიციაში დააფიქსირა, რომ ეთანხმება დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს და რეკომენდაციებს. ამასთანავე დააფიქსირა რამდენიმე ტექნიკური უზუსტობა, რომლებიც ექსპრტთა ჯგუფის მიერ იქნა გაზიარებული და დასკვნაში ჩასწორებული. კერძოდ, ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაციის ამსახველ ცხრილში სტატუსშეწყვეტილი სტუდენტების ნაცვლად უნდა იყოს მითითებული 7 სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტი; ასევე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებად ნაცვლად ,,საექთნო საქმე“ რამდენჯერმე გამოყენებული იყო ,,საექთნო განათლება“. აღნიშნული ტექნიკური შეცდომა გასწორებულია. ასევე, დასკვნის პროექტში აღნიშნულია, რომ ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარიტასი“ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სწავლას 5 მოდულის ფარგლებში, თუმცა დაწესებულების მიერ დადასტურდა, რომ ფონდი ახორციელებს მხოლოდ 3 მოდულს. ასევე დასკვნის პროექტში მითითებული იყო, რომ შპს „თბილისის ცენტრალური საავადმყოფო“ ერთ მიღებაზე შეძლებს 14 პროფესიული სტუდენტის მიღებას, ნაცვლად 28-ის, ხოლო შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“ – 21-ს, ნაცვლად 35-ისა. აგრეთვე, ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში აღნიშნულია, რომ კოლეჯს პრაქტიკული კომპონენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შპს „ავერსთან“, შპს „იმპექსთან“ და სს „გეფასთან“. დაწესებულების განმარტებით, ხელშეკრულება გაფორმებულია მხოლოდ შპს „ავერსი-ფარმასთან“, რომელიც მოიცავს 8 პროფესიულ მოდულს და ერთ მიღებაზე უზრუნველყოფს მაქსიმუმ 80 პროფესიული სტუდენტის სწავლებას. შპს „იმპექსთან“ და სს „გეფასთან“ გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები, რომლებიც ითვალისწინებენ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის სტაჟირებისა და დასაქმების პროგრამების შეთავაზებას. **დასკვნის პროექტში ასევე დაფიქსირდა ტექნიკური ხასიათის უზუსტობები,** კერძოდ: დაწესებულების სახელწოდება, (ინდიკატორი 5.2.3.4 დაწესებულება მოხსენიებული იყო, როგორც „აკადემია“), სტრუქტურაში შემავალი მმართველობითი სუბიექტებისა და ადმინისტრაციული პერსონალის პოზიციების სახელწოდებები, (დამფუძნებელთა საბჭოს ნაცვლად პარტნიორთა საერთო კრება, ასევე სტრუქტურაში ზედმეტად იყო წარმოდგენილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და ქიმიური ლაბორატორიის ხელმძღვანელი). აღნიშნული გარემოებების შეფასების საფუძველზე, დასტურდება, რომ ტექნიკური შესწორებები არ ზღუდავს ფაქტობრივი მონაცემების სიზუსტეს, ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ **ყველა გამოვლენილი ტექნიკური შეცდომა დაწესებულების განმარტებების საფუძველზე გასწორდა,** რაც უზრუნველყოფს დასკვნის პროექტის რეალობასთან სრულ შესაბამისობას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს, კერძოდ:

კოლეჯი ბარაკონი 1992 წელს დაარსდა რკინიგზის საავადმყოფოს ბაზაზე, როგორც სამედიცინო სასწავლებელი. 1992 და 2008 წლებში კოლეჯმა წარმატებით გაიარა ლიცენზირება. 2013 წელს მიენიჭა საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსი, ხოლო 2018 წელს გაიარა რეავტორიზაცია და 6 წლის ვადით მიენიჭა ავტორიზაცია. კოლეჯი ახორციელებს სამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და აგრძელებს განვითარების პროცესს განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად. კოლეჯს 33 წელზე მეტი ისტორია აქვს და ამ პერიოდიდან მოყოლებული

სტუდენტებს სთავაზობს შრომის ბაზარზე მოთხოვნად და პრაქტიკაზე ორიენტირებულ პროგრამებს. ამჟამად კოლეჯი პროგრამებს ახორციელებს ორ ძირითადი მიმართულებით:

- ჯანდაცვისა და სოციალური კეთილდღეობის მიმართულებით - საექთნო საქმე და ფარმაცია (სააფთიაქო);
- ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების მიმართულებით - ინფორმაციის ტექნოლოგია (მილევად რეჟიმში).

დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით სურს მოიპოვოს ფარმაცი (სააფთიაქო), საექთნო საქმე და ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის სპეციალისტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს განხორციელების უფლება. კოლეჯის მისიაა ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა მრავალფეროვანი და მაღალი ხარისხის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებით. ასევე შექმნას უსაფრთხო, მხარდამჭერ და განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, რომელიც პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს წარმატებით განავითარონ კომპეტენციები, შეიძინონ პროფესიული ცოდნა და ჩამოაყალიბონ კარიერული გზები.

ინდიკატორი 1.1.1.1 შესაბამისობაშია

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან.

კოლეჯის მისიით იკვეთება, რომ დაწესებულება სტუდენტის განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაციაა. მას სხვა პროფესიული დაწესებულებებისაგან განასხვავებს ის, რომ კოლეჯი ხარისხიანი სწავლების გზით, სტუდენტებს სთავაზობს შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებს. დაწესებულება ზრუნავს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაზე - მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობით, სოციალური ინკლუზიის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 1.1.1.2 შესაბამისობაშია.

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.

კოლეჯის ხედვა გამომდინარეობს მისიიდან. კოლეჯის ხედვა არის მოკლე, მარტივად გასაგები ნებისმიერი მკითხველისათვის და მასში განსაზღვრულია დროის ის პერიოდი, რომლის ფარგლებში მოხდება შემუშავებული ხედვის რეალიზაცია. კოლეჯის ხედვაა: „შექმნას ისეთი საგანმანათლებლო გარემო, რომელიც პასუხობს სტუდენტების საჭიროებებს და აძლევს მათ შესაძლებლობებს გაუმკლავდნენ გამოწვევებს და იყვნენ აქტიური მონაწილეები ჩვენი ქვეყნის მომავლის განსაზღვრის საქმეში. ამ მიზნით, კოლეჯი გეგმავს მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიოს შემდეგ ათწლეულში, რაც გამოიხატება იმაში, რომლის კურსდამრთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი იქნება 70%-ზე მაღალი.“

კოლეჯის ღირებულებებია:

- მრავალფეროვნება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამების წარმატებით დასრულება;
- პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა;
- ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფა;
- მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლა;
- თანამშრომლობა;
- ერთიანობა.

ინდიკატორი 1.1.1.3 შესაბამისობაშია.

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეებისათვის. ისინი მოცემულია კოლეჯის სტრატეგიული განვითარების 2021-2027წწ. გეგმაში და განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე https://barakoni.edu.ge/ge/. ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში. კოლეჯის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას (კოლეჯის საინფორმაციო დაფაზე). კოლეჯის წარმომადგენლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ იმართება შეხვედრები ახლადმიღებულ ჯგუფებში, სადაც ადმინისტრაციის წარმომადგენლები სტუდენტებს აცნობენ კოლეჯის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს.

ინდიკატორი 1.1.1.4 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები;
- ვებგვერდი, სოციალური ქსელის გვერდი Facebook;
- სტრატეგიული განვითარების 2021-2027 წ.წ. გეგმა
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, კერძოდ:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის წესი, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესი, დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებული სამოქმედო პრინციპები და დაგეგმვის პროცესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენასთან და დამტკიცებასთან დაკავშირებული პროცედურები, გეგმების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი, ანგარიშების წარდგენა და ცვლილებების მომზადების ეტაპები. ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს ანალიტიკური ტიპის დოკუმენტს, რომლის სტრუქტურა შედგება შემდეგი ინფორმაციისგან: სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესი, ინფორმაცია კოლეჯის შესახებ, კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები, SWOT ანალიზი, სტრატეგიული გეგმა (მიზნები და ამოცანები). სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ინიცირების ფაზაში დირექტორი ქმნის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელ მუდმივმოქმედ კომისისას. პოლიტიკის დოკუმენტის პროექტის დამტკიცებამდე იმართება საჯარო კონსულტაცია შეხვედრის ან/და ელექტრონული ფორმატით (დოკუმენტი გადაეგზავნებათ ელექტრონულ ფოსტაზე, იმართება შეხვედრები zoom-ის პლატფორმით); უკუკავშირისთვის განისაზღვრება 10 დღიანი ვადა. შემდგომ დოკუმენტი განსახილველად გადაეცემა დამფუძნებელთა საბჭოს. კოლეჯის დამფუძნებელთა საბჭოსთან შეთანხმებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით. დამტკიცების შემდეგ გეგმა საჯაროდ ქვეყნდება კოლეჯის ვებ გვერდზე.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის (დირექტორის) მიერ და აღწერს ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას, პროცედურას, პროცესს და არეგულირებს ამ პროცესზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის მეთოდს (აღნიშნული მოვალეობები გაწერილია შესაბამისი პერსონალის სამუშაო აღწერილობების დოკუმენტში). დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და შესწავლილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ კოლეჯში აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად მიმდინარეობს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 1.2.1.1შესაბამისობაშია.

2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, კერძოდ:

კოლეჯის მისიისა და ხედვის სისრულეში მოყვანის, განვითარებისა და მდგრადობისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს სტრატეგიული დაგეგმვა, რომელიც დაინტერესებულ მხარეთა ფართო ჩართულობით განხორციელებული თანამშრომლობითი პროცესია. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაწესებულებაში იქმნება მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი კომისია, რომელიც კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენისას ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის პრიორიტეტებს. დაგეგმვის პროცესის ყველა კომპონენტი (ხედვა, ღირებულებები,სტრატეგიული/სამოქმედო გეგმა), მუშავდება სამუშაო ჯგუფის მიერ ძლიერი და სუსტი მხარეების, SWOT ანალიზის, წინა წლების სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებისა და შეფასების საფუძველზე. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, სტრატეგიულ გეგმაში იდენტიფიცირდება დაინტერსებული მხარეების მოლოდინები და მოთხოვნები, დაწესებულება სწორედ მათი საჭიროებების გათვალისწინებით გეგმავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას.

ინდიკატორი 1.2.1.2 შესაბამისობაშია.

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, კერძოდ:

კოლეჯი სტრატეგიული დაგეგმარებისას განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და ამოცანებს, განხორციელების ვადებსა და შესრულების ინდიკატორებს, ხოლო სამოქმედო გეგმის შედგენისას განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების გეგმაში (2021-2027 წწ) დასახული მიზნები შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან. განსაზღვრულია მიზნების/ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. ანალოგიური სტრუქტურა აქვს წლიურ სამოქმედო გეგმებსაც, რომელიც სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარეობს.

კოლეჯის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია 5 მიზანი, რომელიც მოიცავს შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავება-დამატებას, პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფას, კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსების განვითარებით ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფას, კოლეჯის ცნობადობის გაზრდასა და ექსტრაკურიკულური აქტივობების ორგანიზებას, მატერიალური რესურსის განვითარებას.

ინდიკატორი 1.2.1.3 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შპს ბარაკონის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის წესი, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესი (შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანებით N67/29.11.2018 (ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის ბრძანებით N12/30.03.2020);
- შპს ბარაკონის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2021-2027);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმების ანგარიშები;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- დაგეგმვის პროცესში სტრატეგიულ დოკუმენტებზე სამუშაო ჯგუფის/დაინტერესებული მხარეების ელექტრონული კომუნიკაციის მტკიცებულებები;
- კოლეჯის ვებგვერდი;
- პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, კერძოდ:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის წესის, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესის მიხედვით, მონიტორინგი და შეფასება უშუალოდ არის დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზთან, რომელიც კოლეჯს საქმიანობის, სტრატეგიისა თუ მიზნების გაზომვა/შეფასებაში ეხმარება. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგითა და შეფასებით დგინდება, რამდენად შედეგზე ორიენტირებულია გაწერილი ღონისძიებები და რა უნდა გაკეთდეს დასახული მიზნის მიღწევისთვის. მონიტორინგის და შეფასების შედეგები არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იმისა, რომ მკაფიოდ მოხდეს ყოველწლიური საქმიანობის კრიტიკული აღქმა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოხდეს გეგმის შეცვლა/განახლება. სამოქმედო გეგმის მონიტორინგს ახორციელებს კომისია, რომელიც ანგარიშვალდებულია დაწესებულების დირექტორის წინაშე. მონიტორინგის პროცესი ეფუძნება თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირების მიერ კომისიის წინაშე 6 თვეში ერთხელ ინფორმაციის მიწოდებას. ამასთანავე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომისია უფლებამოსილია გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია. სამოქმედო გეგმასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით კომისია ინფორმაციის შეგროვებიდან 25 დღის ვადაში შეისწავლის და ანალიზებს მიღებულ მონაცემებს. კომისიის ხელმძღვანელი ანგარიშს წარუდგენს დირექტორს არაუგვიანეს ყოველი 6 თვის დასრულებიდან მომდევნო თვის 30 რიცხვისა.

ინდიკატორი 1.2.2.1 შესაბამისობაშია.

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე, კერძოდ:

დაწესებულებაში სამოქმედო გეგმის კვარტალური და წლიური შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, კომისიის ხელმძღვანელი, ადგენს წლიურ ანგარიშს და წარუდგენს დირექტორს არაუგვიანეს მომდევნო წლის საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 30 კალენდარული დღისა. თითოეული აქტივობის შეფასება ხორციელდება შესრულების ინდიკატორის სტატუსიდან გამომდინარე: არ დაწყებულა, ნაწილობრივ შესრულდა, მეტწილად შესრულდა, განხორციელდა, განხორციელდა დაგვიანებით, გაუქმებულია. ნაწილობრივი ან ვერ შესრულების შემთხვევაში, მოკლედ არის აღწერილი გარემოება და მიზეზები. გამოვლენილი ხარვეზების მიხედვით კომისიის მიერ იგეგმება სამოქმედო გეგმაში განსახორციელებელი მაკორექტირებელი ქმედებების პროექტი და წარედგინება დირექტორს დასამტკიცებლად.

ინდიკატორი 1.2.2.2 შესაბამისობაშია.

3.სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია, კერძოდ:

კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით, ასევე ვებ გვერდის დათვალიერებით დასტურდება, რომ სამოქმედო გეგმების ანგარიშები და ანალიზის დოკუმენტები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ინდიკატორი 1.2.2.3 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
- ელექტრონულ ფოსტაზე გაზიარებული მასალა;
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის ანალიზის დოკუმენტები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, კერძოდ:

შპს კოლეჯ ბარაკონში ფუნქციონირებს დირექტორის მიერ დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც არეგულირებს პროფესიული სტუდენტის ისეთი უფლებებისა და გარანტიების უზრუნველყოფას, როგორიცაა პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტის პირობები, მობილობა; ადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა შეფასების სისტემას, კოლეჯის მიერ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების, სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების/სახელმწიფო ენაში მომზადების მოდულების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

პროფესიულ სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესში თავისუფლად შეუძლიათ თავიანთი საჭიროებების და ინტერესების გამოხატვა. აღნიშნეს, რომ კოლეჯი რეალურად უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობას სასწავლო რესურსებზე (ბიბლიოთეკა, კომპიუტერები, პროგრამული უზრუნველყოფა). დააფიქსირეს, რომ შეუძლიათ მიმართონ ადმინისტრაციას კონკრეტული პრობლემის ან საჭიროების შემთხვევაში და მიიღონ დროული რეაგირება. განაცხადეს, რომ იცნობენ თავიანთ უფლებებს, რაც განპირობებულია შიდა რეგულაციების ხელმისაწვდომობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურსდამთავრებულებთან, ასევე კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს კოლეჯის მატერიალური რესურსებით, სივრცეები, მათ შორის ბიბლიოთეკით, სარგებლობის ხელმისაწვდომობას.

ინდიკატორი 3.1.1.1 შესაბამისობაშია.

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს, კერძოდ:

კოლეჯი სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა სახის მხარდამჭერ სერვისებს აქტიური და წარმატებული სტუდენტური ცხოვრებისა და ხარისხიანი განათლების მისაღებად. კოლეჯი სტუდენტებს ეხმარება ადაპტირებაში, სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე კოლეჯი უზრუნველყოფს ახლადჩარიცხული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის საინფორმაციო/გაცნობითი/საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზებას. შეხვედრებზე განიხილება სასწავლო პროცესის, პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების, პროგრამის შინაარსის, პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების შეფასების სისტემის, პრაქტიკის ობიექტზე სწავლებისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები. გარდა ამისა, შეხვედრაზე სტუდენტები ეცნობიან ქცევისა და ეთიკის ნორმებსა, უსაფრთხოების წესებს. აღნიშნულის დასტურად დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, საკონსულტაციო შეხვედრის დოკუმენტები სტუდენტთა ხელმოწერებით, რამაც დაადასტურა შეხვედრების ჩატარებისა და მიღებული ინფორმაციის გამოყენების ფაქტი. ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა, დაადასტურეს, რომ იცნობენ განმეორებითი შეფასების მექანიზმებს, თუმცა შეფასების შედეგების გასაჩივრებისთვის არასოდეს მიუმართავთ კოლეჯის ადმინისტრაციისთვის. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც პროფესიული სტუდენტი ხელმოწერით ადასტურებს პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე ნებართვას.

ინდიკატორი 3.1.1.2 შესაბამისობაშია.

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით, კერძოდ:

კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-11 მუხლში გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, ხოლო მე-15 მუხლში გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების გასაჩივრების წესი. აღნიშნული მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის მიერ აპელაციის განხილვის პროცედურებს, ვადებსა და პროცესში ჩართული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული ინფორმაცია გადაამოწმა პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ინტერვიურებისას მათ დაადასტურეს, რომ იცნობდნენ შეფასების სისტემის გასაჩივრების მექანიზმებს, თუმცა გასაჩივრების საჭიროება არ დამდგარა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 3.1.1.3 შესაბამისობაშია.

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა, კერძოდ:

ექსპერტთა ჯგუფმა შემთხვევითი შერჩევის წესით შეამოწმა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სხვადასხვა წელს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, მათ შორის სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტის დოკუმენტები. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ჩარიცხვის წინაპირობებთან პროფესიული სტუდენტების წინარე განათლების შესაბამისობა, ასევე შემოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან, მათ შორის პროფესიული სტუდენტის კანონიერ წარმომადგენელთან, გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულ დებულებებთან.

ინდიკატორი 3.1.1.4 შესაბამისობაშია.

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ:

კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ VII თავის მე-16 მუხლით რეგულირდება პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმები და სპეციფიკა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს პროფესიული სტუდენტის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს, პროფესიული სტუდენტის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომელიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. ინდივიდუალური სასწავლო გემა შემუშავედება თუ განხორციელდა სსსმ პირის ჩარიცხვა, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა, პროფესიული სტუდენტის შიდა ან/და გარე მობილობა, მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანა, პროფესიული სტუდენტებისთვის ფორსმაჟორული ვითარება, სხვა კანონმდებლობით დაშვებულ შემთხვევებში. გეგმის შემუშავებაში ჩართულია პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ იცნობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესახებ რეგულაციას, თუმცა მათთვის მისი შედგენის საჭიროება არ დამდგარა. კოლეჯის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რამდენიმე მაგალითი.

ინდიკატორი 3.1.1.5 შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ბარაკონის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №50/28.04.2022; (ბოლო ცვლილება შესულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №21/28.02.2024);
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი;
- ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N12/16.03.2021 ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის ბრძანებით N133/09.11.20);
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები (შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით N47/09.07.2021 ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის ბრძანებით N80/15.07.2024);
- შპს ბარაკონის სასწავლო შინაგანაწესი (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №111/08.12.2021 ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის ბრძანებით N07/27.01.2023);
- კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ბრძანებები;
- კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
- პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის (ბრძანებით №111/08.12.2021 ; ბოლო ცვლილება N07/27.01.2023) სასწავლო შინაგანაწესის VIII თავის მე-18 მუხლის თანახმად პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს მიიღოს აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერა. პროფესიული სტუდენტი აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად დირექტორის მოადგილისგან, პროგრამის კოორდინატორისგან, პროგრამის განმახორციელებელი პირებისგან/პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან მისი საჭიროებიდან გამომდინარე იღებს სათანადო კონსულტაციას. მსგავს მხარდაჭერას პროფესიული სტუდენტი/მსმენელი განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე სისტემატურად იღებს პროგრამის განმახორციელებლებისგან. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს კოლეჯის პერსონალის მხარდაჭერა და ხელშეწყობა. პროფესიული სტუდენტები და კოლეჯის წარმომადგენლები კომუნიკაციისთვის იყენებენ სოციალური ქსელის ჯგუფებს, ელექტრონული ფოსტის, პირისპირ შეხვედრებსა და ადასტურებენ არსებული პრაქტიკის მოქნილობას. კოლეჯის პერსონალმა დამატებით აღნიშნა, რომ ისინი ყოველთვის გამოხატავენ მზაობას დაეხმარონ პროფესიულ სტუდენტებს და შეუქმნან სწავლებისთვის კომფორტული გარემო. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუირებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ადმინისტრაციულ საჭიროებებზე უმეტესწილად მიმართავენ სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტს. ამასთან, კოლეჯში მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტთა კვლევა, სადაც უფლებამოსილნი არიან დააფიქსირონ საკუთარი აზრი.

ინდიკატორი 3.2.1.1 შესაბამისობაშია.

2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, კერძოდ:

შპს ბარაკონის დირექტორის მიერ დამტკიცებულ (ბრძანებით №111/08.12.2021; ბოლო ცვლილება N07/27.01.2023) სასწავლო შინაგანაწესში გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის მექანიზმები. დოკუმენტის თანახმად, პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან ხელს უწყობს კოლეჯის ადმინისტრაცია. დირექტორის მოადგილე და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი აცნობს პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს კოლეჯის ვებგვერდსა და Facebook გვერდს. სასწავლო პროცესის დაწყებისას იმართება პროფესიული სტუდენტებისა და ადმინისტრაციის შეხვედრები, სადაც სტუდენტებს აცნობენ შინაგანაწესსა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულ რეგულაციებს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს, რაც დასტურდება შეხვედრის ამსახველი ფოტომასალითა და შეხვედრების მონაწილეთა დასწრების ფურცელზე ხელმოწერებით. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი ხელს უწყობს მათ ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს მათ აღნიშნეს, რომ გარდა შეხვედრებისა, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებს უტარდებათ კონსულტაციები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის შეფასების სისტემის გაცნობის, აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის შესაძლებლობების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფორიენტაციისა და კარიერის მართვის სერვისის, ინკლუზიური განათლების გუნდის მხარდაჭერის შესახებ. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს და კონსულტაციას უწევს სტუდენტს მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 3.2.1.2 შესაბამისობაშია.

3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, კერძოდ:

პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერის საკითხები გაწერილია კოლეჯის საქმისწარმოების წესში. პროფესიულ სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფს/მსმენელს/მსმენელებს უფლება აქვს განცხადებით/ინიცირებით მიმართოს კოლეჯს და წარმოადგინოს კონკრეტული ინიციატივა, მოითხოვოს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისება/დაფინანსება. წარმოდგენილ ინიციატივას დირექტორი ფინანსურ მენეჯერთან ერთად განიხილავს 10 სამუშაო დღის ვადაში და განმცხადებელს აცნობებს პასუხს დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. კოლეჯის საქმისწარმოების წესის მიხედვით, კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის, eflow-ს საშუალებით. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა უზრუნველყოფს ავტომატიზირებულ საქმისწარმოებას და ხელს უწყობს დავალებების ეფექტურ მართვას. კოლეჯში კორესპონდენცია შემოდის დაინტერესებული პირის მიერ კოლეჯში ჩაბარებით, ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და აღირიცხება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში. კორესპონდენცია მიიღება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10.00 საათიდან 17:00 საათამდე. 17:00 საათის შემდეგ კოლეჯში შემოსული კორესპონდენცია სისტემაში აღირიცხება მომდევნო სამუშაო დღეს. კოლეჯის მიერ დოკუმენტების/კორესპონდენციაზე პასუხების გაცემის პრაქტიკის შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის საქმისწარმოების სპეციალისტს, რომელმაც აღნიშნა, რომ კოლეჯი გონივრულ ვადებში უზრუნველყოფს ცნობის გაცემის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებას და წარადგინა შესაბამისი კორესპონდენციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ინდიკატორი 3.2.1.3 შესაბამისობაშია.

4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას კერძოდ:

კოლეჯის სასწავლო შინაგანაწესის მიხედვით წახალისებულია დამატებითი/არაფორმალური აქტივობები. კოლეჯი ახორციელებს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ინიციატივების მხარდაჭერას. ამ მიზნით კოლეჯი ყოველმხრივ ახალისებს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო, შემოქმედებითი, სპორტული, საქველმოქმედო და საზოგადოებრივად სასარგებლო სტუდენტური ინიციატივების განხორციელებას, რომელიც შეესაბამება კოლეჯის მიზნებსა და საქმიანობის სფეროს. თითოეულ სტუდენტს შეუძლია მიმართოს კოლეჯს ფეისბუქ გვერდზე ან დაწეროს განცხადება კანცელარიაში და წარუდგინოს: მოსაზრება, წინადადება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროექტი. სტუდენტის/მსმენელის ინიციატივები შემოქმედებითი, შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებების ჩატარების მიმართულებით. კოლეჯი ზრუნავს სტუდენტურ ცხოვრებაზე და სწავლის პერიოდში სთავაზობს სხვადასხვა ტიპის პროექტებს, კონფერენციებს, ტრენინგებს, ექსკურსიებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობებს. მაგ. პროფესიული სტუდენტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის კოლეჯმა C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამასთან დაკავშირებით, საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარა, კოლეჯში აღინიშნება წიგნის საერთაშორისო დღე „პალიტრა L"ის გამომცემლობასთან თამანშრომლობით, მოეწყო ექსკურსია საქართველოს პარლამენტში, ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით; განხორციელდა ტრენინგი საერთაშორისო ორგანიზაცია „Mercy Corps"-თან თანამშრომლობით, პროგრამის "უსაფრთხო ონლაინი: ქალთა გაძლიერება ციფრულ ეკონომიკაში", თემაზე - ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გენდერული ნიშნით ძალადობა (TFGBV): ფორმები და პრევენცია", შეხვედრა მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის თანამშრომლებთან და სხვ. ექსტრაკურიკულური აქტივობების ხელშეწყობის მიზნით კოლეჯში 2022 წლიდან ტარდება სტუდენტური კონფერენცია. ღონისძიების ფარგლებში სტუდენტებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო, სერტიფიკატები და ფასიანი საჩუქრები. დაწესებულების წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სხვადასხვა ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისათვის კოლეჯი წახალისების მიზნით აჯილდოებს სტუდენტებს მადლობის გამოცხადებით, ფულადი პრიზებით, დიპლომებითა და სიგელებით. სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობას სხვადასხვა შემეცნებით, გასართობ, გამაჯანსაღებელ და სხვ. ღონისძიებებში, რომელთა შესახებ ინფორმაცია ასახულია კოლეჯის სამოქმედო გეგმების ანგარიშში, ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში.

ინდიკატორი 3.2.1.4 შესაბამისობაშია.

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას, კერძოდ:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული და დირექტორის 2020 წლის 25 მაისის N27 ბრძანებით დამტკიცებულია „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების", საფუძველზე კოლეჯი უკუკავშირს იღებს პროფესიულ სტუდენტებისგან. შემუშავებული მექანიზმის შესაბამისად, ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა, მუშავდება ანგარიშები და პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება, საჭიროებისამებრ აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურებას.

გარდა სტუდენტებისა, კოლეჯი ახორციელებს კურსდამთავრებულების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვას, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის, რესურსებისა და სასწავლო გარემოს შეფასების გაუმჯობესებას. გამოკითხვის მიზანია ადრესატთა კმაყოფილების დადგენა, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა შემდგომი რეაგირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესებისათვის. პროგრამის განხორციელების შეფასების ფარგლებში სტუდენტებისაგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურებას. გარდა არაფორმალური განათლებისა, გამოკითხვა უზრუნველყოფს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღებული მხარდაჭერის კმაყოფილების დადგენასაც. პროფესიულ სტუდენტთა უმრავლესობა დადებითად აფასებს კოლეჯის ადმინისტრაციულ და საინფორმაციო მხარდაჭერას, პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩართულობას სასწავლო პროცესში, რესურსების ხელმისაწვდომობას, სწორ კონსულტირებას, შეფასებასთან და მიღწევებთან დაკავშირებულ რეფლექსიას, შეფასების პროცესთან დაკავშირებულ მოთხოვნებსა და პრაქტიკული კომპონენტის სწავლების დროს შესაბამის მასალა-ნედლეულთან და აღჭურვილობასთან წვდომის ფაქტს. სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტთან და ბიბლიოთეკართან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა და მასწავლებელთა უკუკავშირის საფუძველზე პერიოდულად ახლდება სასწავლო რესურსები. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ სურვილებს კოლეჯი ითვალისწინებს და რეაგირებს სათანადოდ, თუმცა მიმდინარე ეტაპისთვის რაიმე განსაკუთრებული საჭიროება არ ყოფილა.

ინდიკატორი 3.2.1.5 სტანდარტი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ბარაკონის სასწავლო შინაგანაწესი (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №111/08.12.2021 ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის ბრძანებით N07/27.01.2023);
- შპს ბარაკონის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დანართი 1 შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №50/28.04.2022; ბოლო ცვლილება შესულია კოლეჯის დირექტორის ბრძანებით №21/28.02.2024);
- შპს ბარაკონის საქმისწარმოების წესი (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანებით №44/20.07.2020წ.);
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (დამტკიცებულია დირექტორის მიერ 2020 წლის 25 მაისის N27 ბრძანებით);
- კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში;
- კვლევის ანგარიში (პროგრამების შეფასება 2024);
- შპს კოლეჯ ბარაკონის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის დოკუმენტი (დამტკიცებულია დირექტორის მიერ ბრძანებით N25/20.05.2020)
- აქტივობების და ღონისძიებების დამადასტურებელი ფოტომასალა;
- კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
- პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრება;
- კოლეჯში ჩატარებული ღია კარის დღეების ამსახველი ფოტომასალა;
- ვებ გვერდზე განთავსებული ვიდეო მასალები.

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის, კერძოდ:

კოლეჯში დარეგისტრირების მსურველი აპლიკანტებისათვის ჩამოყალიბებულია პროფესიული ორიენტაციის სერვისი. დაწესებულება ყოველწლიურად მიღების წინა პერიოდში აპლიკანტებს სთავაზობს უფასო მოსამზადებელ ონლაინ კურსს ქიმია-ბიოლოგიაში. აპლიკანტებისთვის აღნიშნული მომსახურება სრულიად უფასოა, ხოლო მასწავლებლებს გაწეული საქმიანობა უნაზღაურდებათ. ინფორმაციის გავრცელების, დაინტერესებულ პირთა მოზიდვის მიზნით კოლეჯი ატარებს სარეკლამო კამპანიებს, მონაწილეობს განათლების საჯარო ღონისძიებებში, ტარდება გაცნობითი და საინფორმაციო შეხვედრები (დამსაქმებლებისთვის, პოტენციური სტუდენტებისთვის, სხვა ჩართული მხარეებისთვის), ლექციები და საგანმანათლებლო აქტივობები, ღია კარის დღეები. კოლეჯის ცნობადობის გაზრდის მიზნით, იგეგმება პიარ კამპანია-ვიდეო რგოლის გადაღება. აღნიშნულ პოსტს სოც. ქსელში 80 000 ნახვა ჰქონდა. კოლეჯი აქტიურ მონაწილეობას იღებს პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით გამართულ ღონისძიებებსა და გამოფენებში. აგრეთვე, აღნიშნულ ღონისძიებათა მეშვეობით ვრცელდება დაწესებულების მიერ განხორციელებადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნად პროფესიათა შესახებ დამატებითი ინფორმაცია. პროფესიულ სტუდენტთა მიერ კარიერული წინსვლის მიზნით, დაწესებულების საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სპეციალისტი რეგულარულად ახორციელებს დაინტერესებულ პირთა კონსულტირებას, როგორც პროფესიულ სტუდენტთა საჭიროების შესწავლის საფუძველზე, აგრეთვე, პროფესიული სტუდენტის მიერ მომართვის შემთხვევაშიც. კონსულტირება გულისხმობს პროფესიული სტუდენტისათვის დასაქმების გზაზე გასავლელი ეტაპების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას. კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სპეციალისტმა ექსპერტთა ჯგუფს მოახსენა, რომ პროფესიულ სტუდენტებს საჭიროების შემთხვევაში კონსულტირებას უწევენ სამოტივაციო წერილის, რეზიუმეს/CV შედგენისა და სოციალურ ქსელებში ვაკანსიის გამოქვეყნების შესახებ.

ინდიკატორი 3.2.2.1 შესაბამისობაშია.

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია დაწესებულების პარტნიორი კომპანიებისა და მათ მიერ შემოთავაზებული დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. დაწესებულება მუდმივად უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთათვის საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული, მათი პროფილის შესაბამისი ვაკანსიების შესახებ განახლებული ინფორმაციის მიწოდებასა და საჭიროების შემთხვევაში, ფორმალურ საკითხებთან მიმართებით სათანადო მხარდაჭერას. კოლეჯი ხელს უწყობს სხვადასხვა ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების, სააგენტოებისა და ასოციაციების მიერ მოწყობილ კონკურსებში, ტრენინგებში, კონფერენციებში, შეხვედრებში, ფორუმებსა და გამოფენებში პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მონაწილეობასა და ჩართულობას. კურსდამთავრებულებს კოლეჯი სთავაზობს დასაქმების შესაძლებლობებს ვაკანსიების მიხედვით. ინფორმაცია არსებული ვაკანსიების შესახებ განთავსდება საინფორმაციო დაფაზე განცხადებების სახით ან ინფორმაცია მიეწოდებათ დამსაქმებელთან გამართულ შეხვედრებზე. მაგალითად, 2024 წელს გაიმართა შეხვედრები დამსაქმებლებთან კორპორაცია „გეფა"-ს წარმომადგენლებთან, ამავე წელს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტები სასწავლო ვიზიტით ესტუმრნენ კოლეჯის პარტნიორ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს. აღნიშნული ინფორმაცია დასტურდება კოლეჯის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ასევე იმ დაწესებულებების/კომპანიების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად, რომლებთანაც კოლეჯი ახორციელებს პრაქტიკული მოდულების შედეგების დადასტურებას.

ინდიკატორი 3.2.2.2 შესაბამისობაშია.

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით, კერძოდ:
კოლეჯის მიერ გარკვეული პერიოდულობის დაცვით (ყოველწლიურად) ტარდება გამოკითხვები სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებასთან დაკავშირებით. ააიპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ჩატარდა 2022 წლიდან ტარდება კურსდამთავრებულთა ე.წ. ქსელური კვლევა, რომელშიც კოლეჯი იყო ჩართული. 2024 წელს ჩატარებულ კვლევაში მოწვეული იყო 2022 წლის კურსდამთავრებულები. საველე სამუშაოები განხორციელდა 2023 წლის შემოდგომასა და ზამთარში. კურსდამთავრებულთა უმეტესობა ხუთქულიან სკალაზე ძალიან დადებითად ან დადებითად აფასებს, კოლეჯის მხრიდან დასაქმების/სამუშაოს ძიებისა და სტაჟირების შესაძლებლობების ძიების პროცესში გაწეულ დახმარებას. სწავლის დაწყების მომენტისთვის, პროფესიით დასაქმებულ გამოკითხულთა რაოდენობა შეადგენდა 50%-ს, სხვა მიმართულებით დასაქმებული იყო 20%, დაუსაქმებული ასევე 20%, ხოლო თვითდასაქმებული (ფრილანსერული სამუშაო) იმავე პროფესიით, რომელ პროგრამაზეც ჩააბარა შეადგენდა 10%-ს. 10% ასევე იყო თვითდასაქმებული სხვა მიმართულებით (რესპოდენტებს ერთი ან რამდენიმე პასუხის მონიშვნა შეეძლოთ). კვლევაში მონაწილე 20 რესპონდენტიდან 18-ს (90%) არასოდეს უფიქრია სწავლის მიტოვებაზე. დასაქმებული რესპონდენტების 68% კმაყოფილია სამუშაოთი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 3.2.2.3 შესაბამისობაშია.

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს, კერძოდ:

პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის დასრულების შემდგომ ტარდება კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა, რომელიც იკვლევს დასაქმდა თუ არა კურსდამთავრებული, კმაყოფილია თუ არა დაწესებულებაში მიღებული უნარებით, იყენებს თუ არა მათ სამუშაო პროცესში და ა.შ. კოლეჯის კოლეჯის წარმომადგენლებმა ექსპერტთა ჯგუფს მოახსენეს, რომ 2024 წელს ჩატარდა კურსდამთავრებულთა კვლევა დასაქმებასთან დაკავშირებით. კვლევის მიზანი იყო კოლეჯის კურსდამთავრებულთა პროფესიული განვითარების დონის დაკმაყოფილების დადგენა მიღებული განათლებით. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, მოწვეული იყო 2022 წლის 51 კურსდამთავრებული. სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (საექთნო საქმე, ფარმაცია (სააფთიაქო), ინფორმაციის ტექნოლოგია) 51 მოწვეული კურსდამთავრებულიდან, 20-მა მიიღო კვლევაში მონაწილეობა, რაც წარმოადგენს გამოპასუხების 39,2%-იან მაჩვენებელს. მათ რამდენიმე თემატური ჯგუფის ფარგლებში შეაფასეს ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებზეც სწავლობდნენ. კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემების ანალიზით, იკვეთება შემდეგი მიგნებები: რესპონდენტების უმეტესობას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისას მაღალი (30%), ან ძალიან მაღალი (40%) მოტივაცია ჰქონდათ; რესპონდენტების უმრავლესობამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა საგანმანათლებლო პროგრამისადმი ინტერესის, სწავლის საფასურის არ არსებობის და კარიერული განვითარების (დაწინაურების) გათვალისწინებით მიიღო; დასაქმებული რესპონდენტების 68% კმაყოფილია სამუშაოთი; დასაქმებული კურსდამთავრებულების 60% დაბალი რგოლის თანამშრომელია, 20% შუა რგოლის თანამშრომელი, ხოლო 20%-ს უჭირს საკუთარი სამუშაოს რანგის განსაზღვრა; კვლევაში მონაწილე 20 რესპონდენტიდან 18-ს (90%) არასოდეს უფიქრია სწავლის მიტოვებაზე.

ინდიკატორი 3.2.2.4 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს კოლეჯ ბარაკონის საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის დოკუმენტი (დამტკიცებულია დირექტორის მიერ ბრძანებით N25/20.05.2020)
- შემუშავებული კითხვარები;
- პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების ანალიზი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სპეციალისტი სამსახურებრივი ბარათები;
- კოლეჯის ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. **ადამიანური რესურსები**

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. კერძოდ:** პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით რეგულირდება. კოლეჯის სტრუქტურა ეფუძნება საქმიანობის ფუნქციონალურ და იერარქიულ დაყოფას, რაც უზრუნველყოფს მმართველობითი პროცესების ეფექტიანობას, რესურსების ოპტიმალურ განაწილებას და ინსტიტუციური განვითარების მდგრადობას.

კოლეჯის მმართველი სუბიექტებია:

- დამფუძნებელთა საბჭო;
- დირექტორი;

კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალი მოიცავს შემდეგ პოზიციებს:

- დირექტორის მოადგილე;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ფინანსური მენეჯერი;
- სამეურნეო, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი;
- იურისტი;
- საქმისწარმოებისა და რეესტრის სპეციალისტი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სპეციალისტი;
- IT მენეჯერი;
- სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლები;
- ბიბლიოთეკარი;
- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
- ექთანი;
- დასუფთავების სპეციალისტი;
- დაცვის სპეციალისტი;

კოლეჯის სტრუქტურული ერთეულები მოქმედებენ თანამედროვე მენეჯმენტის პრინციპებზე დაყრდნობით, რაც უზრუნველყოფს კოლეჯის მიერ დეკლარირებული მისიის, მიზნებისა და ამოცანების თანმიმდევრულ და ეფექტურ რეალიზებას. მათი საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დებულებებითა და სამუშაო აღწერილობებით, რომლებიც თანამშრომელთა პასუხისმგებლობის ზონებს, ფუნქციურ დატვირთვასა და ანგარიშვალდებულებას განსაზღვრავს. კოლეჯის პერსონალს გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები, რომელთა დანართს წარმოადგენს დეტალური სამუშაო აღწერილობები. სამუშაო აღწერილობები მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს:

- პოზიციის დასახელება;
- სტრუქტურული ერთეული (არსებობის შემთხვევაში);
- ძირითადი ფუნქციები და მოვალეობები;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები (განათლება და/ან სამუშაო გამოცდილება, სამუშაოს შესასრულებლად საჭირო კომპიუტერული პროგრამების ფლობა ცოდნის დონის მითითებით, სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ენების ცოდნა შესაბამისი ცოდნის დონისა და კლასიფიკატორების A1, A2, B1, B2, C1, C2 მითითებით);
- პიროვნული თვისებები და უნარები;
- ანგარიშვალდებულება და კომპეტენციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამუშაო აღწერილობები ხელს უწყობს პერსონალის ფუნქციური დატვირთვის ეფექტურ განაწილებასა და ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების მხარდაჭერას.

ინდიკატორი 4.1.1.1 შესაბამისობაშია

2.პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. კერძოდ:

კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება მიზნად ისახავს ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობის შეუფერხებელ და ეფექტურ განხორციელებას. ამგვარი განაწილება უზრუნველყოფს ოპერაციული პროცესების თანმიმდევრულობას, პასუხისმგებლობების მკაფიო განსაზღვრას და კოლეჯის საქმიანობის უწყვეტობას.

ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების პრინციპები

✓ თითოეული თანამშრომლის უფლება-მოვალეობები დეტალურად არის განსაზღვრული შესაბამის სამუშაო აღწერილობებში, რაც გამორიცხავს ფუნქციურ დუბლირებას და უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების მკაფიო გამიჯვნას.

✓ ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება ეფუძნება კოლეჯის სტრატეგიულ მიზნებსა და საქმიანობის სპეციფიკას, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციის ძირითადი ამოცანების ეფექტურ შესრულებას.

სტრუქტურული ერთეულების როლი კოლეჯის ძირითად საქმიანობაში

✓ პასუხისმგებლობების გადანაწილება ემყარება კოლეჯის შიდა რეგულაციებს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს, რომელიც საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

✓ თითოეული თანამშრომელი საქმიანობს თავისი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში, რაც ხელს უწყობს კოლეჯის მისიის, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

ამგვარი ფუნქციური მოდელი უზრუნველყოფს მმართველობითი პროცესების ეფექტურობას, ადმინისტრაციული სტრუქტურის კოორდინირებულ მუშაობას და კოლეჯის საქმიანობის უწყვეტობას.

ინდიკატორი 4.1.1.2 შესაბამისობაშია

3.პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, კერძოდ:

დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის N62 ბრძანებით (ბოლო ცვლილება შეტანილია 2021 წლის 12 მარტი ბრძანება N07) დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, რითაც განსაზღვრულია სამსახურის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები. ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს როგორც ძირითად, ასევე დამხმარე პროცესებს და უზრუნველყოფს მათი სისტემური შეფასების, ხარვეზების გამოვლენისა და გაუმჯობესების პროცესის ეფექტურ მართვას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ორიენტირებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სანდოობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპებზე, რაც ხელს უწყობს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას და მიღებული გადაწყვეტილებების სისწორისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფას. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

✓ **გამჭვირვალობა** – ყველა პროცესი ხორციელდება დოკუმენტურად გამართული და საჯარო მექანიზმებით, რაც უზრუნველყოფს შეფასებების სანდოობას.
✓ **საჯაროობა** – ხარისხის უზრუნველყოფის შედეგები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, რაც ზრდის პროცესის სანდოობასა და ანგარიშვალდებულებას.
✓ **ობიექტურობა** – შეფასებები ეფუძნება მკაფიო და წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რაც გამორიცხავს სუბიექტურ მიდგომას.
✓ **სანდოობა** – მიღებული მონაცემები ეფუძნება დადასტურებულ მტკიცებულებებს, რაც უზრუნველყოფს მათი გამოყენების ეფექტურობას.
✓ **უწყვეტობა** – ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი მუდმივად მიმდინარეობს, რაც ხელს უწყობს ხარვეზების დროულ გამოვლენასა და გაუმჯობესებას.
✓ **ვალიდურობა** – გამოყენებული მეთოდები და ინსტრუმენტები სრულ შესაბამისობაშია განათლების ხარისხის მართვის თანამედროვე სტანდარტებთან.

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მუშაობს ამ მიდგომის საფუძველზე -**PDCA ციკლი (დაგეგმე – განახორციელე – შეაფასე – განავითარე)** – რაც გულისხმობს პროცესების მუდმივ შეფასებას, აღმოჩენილი ხარვეზების ანალიზს და მათ გაუმჯობესებას კონკრეტული სამოქმედო გეგმის მიხედვით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ფუნქციები მკაფიოდ განსაზღვრულია და მიმართულია პროცესების დამოუკიდებელი შეფასებისა და გაუმჯობესებისკენ. მისი საქმიანობა ეფუძნება მიუკერძოებლობის პრინციპს, რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და უზრუნველყოფს ობიექტურ გადაწყვეტილებებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ექვემდებარება მხოლოდ კოლეჯის დირექტორს და არ არის ჩართული ოპერატიულ და ადმინისტრაციულ საქმიანობაში, რაც უზრუნველყოფს შეფასების მიუკერძოებლობას.

სამსახურის მიზნები და ამოცანებია:

- ხარისხის უზრუნველყოფის, როგორც პროცესის დაგეგმვა;
- სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორიგი და შეფასება;
- სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მონაცემების შეგროვება, ანალიზი და ანგარიშების შემუშავება;
- სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;
- ავტორიზაციისთვის თვითშეფასების პროცესის ორგანიზება;
- სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;

სამსახურის ფუნქციებია:

- ხარისნის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და პროცედურების შემუშავება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო პროცესთან, ავტორიზაციასთან დაკავშირებული წესების, დადგენილებების, ბრძანებების შემუშავების ორგანიზება და ხელმძღვანელობა;
- დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი და შეფასება;
- ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციების დირექტორისთვის წარდგენა;
- ავტორიზაციისთვის თვითშეფასების კითხვარის, თვითშეფასების ანგარიშის, სხვა ანგარიშებისა და თანდართული დოკუმენტაციის მომზადების ხელმძღვანელობა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისთვის სხვადასხვა კითხვარების შემუშავება და კვლევების განხორციელება;
- ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების დამუშავება;

დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, რადგან არ ახდენს მის მიერვე შესრულებული სამუშაოს შემოწმებას და შეფასებას. არ იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი არც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და არც სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილესთან. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი გამჭვირვალეა, დამოუკიდებელი და მიმართულია მუდმივ გაუმჯობესებაზე. აღნიშნული სისტემა ხელს უწყობს ორგანიზაციის სწავლის ხარისხის ამაღლებას და უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას.

ინდიკატორი 4.1.1.3 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- სამოქმედო გეგმა;
- სამუშაო აღწერის დოკუმენტი;
- წესდება;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად, კერძოდ:**

დირექტორის 2020 წლის 8 მაისს № 19 ბრძანებით დამტკიცებულია ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა, ხოლო 2022 წლის 24 აპრილს დირექტორის ბრძანებით (**ბოლო ცვლილება დირექტორის ბრძანებით 25.07.2025 წელი. ბრძანება N 76**.) დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო გარემოს გამართული ფუნქციონირებისთვის საჭირო კანონზომიერებას და წესრიგს.

„პერსონალის მართვის წესი“, მოიცავს შემდეგი სფეროების რეგულირებას:

- თანამშრომელთა შერჩევისა და მოზიდვის პროცესი;
- განაცხადის შექმნა და კონკურსის გამოცხადება;
- საკონკურსო-საატესტაციო კომისია;
- პერსონალის სამსახურში მიღების წესი;
- თანამშრომლის პირადი საქმე;
- ხელშეკრულების გაფორმება;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობა;
- თანამშრომელთა სოციალიზაციის არსი;
- სოციალიზაციის ეტაპები;
- კონფიდენციალურობა;
- პერსონალის საქმიანობის შეფასება;
- პერსონალის ატესტაცია;
- კონფლიქტების მართვა;
- პერსონალის მოტივაცია;
- მუშაობის ოპტიმალური განაწესის უზრუნველყოფა.

„შინაგანაწესი“ , მოიცავს შემდეგი სფეროების რეგულირებას:

- შრომითი ურთიერთობის პრინციპები;
- დისკრიმინიაციის აკრძალვა შრომითი ურთიერთობებისას;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დასაქმებულთა ხელშეწყობა;
- შინაგანაწესის შესრულების კონტროლი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კოლეჯის სტრუქტურა;
- შრომითი ურთიერთობების წარმოშობა შეჩერება შეწყვეტა;
- შრომის ანაზღაურება;
- სამუშაო ადგილი, სამუშაო დრო, შესვენების დრო, დასვენების დრო, ზეგანაკვეთური სამიუშაო;
- შვებულება, სხვა საპატიო გაცდენა და მისი ადმინისტრირების წესი;
- მხარეთა ძირითადი უფლება მოვალეობები;
- სამსახურებრივი მივლინება;
- ინფრომაციული ტექნოლოგიებით სარგებლობა;
- ტექნიკური უსაფრთხოება, ელექტრონული ფოსტის მოხმარება და ინტერნეტით სარგებლობის უფლება;
- ეთიკის ნორმები;
- წახალისება და დაწინაურება;
- დისიპლინარული პასუხისმგებლობა;
- შრომითი ურთიერთობების შეჩერება და შეწყვეტა;
- კოლეჯის ტერიტორიაზე გადაადგილება;
- შრომის დაცვის, სამედიცინო დახმარების და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქცია;
- შინაგანაწესის სხვა პირობები.

პერსონალის მართვის პროცესების მონიტორინგი და მათი შეფასება ხორციელდება რეგულარულად, რაც ხელს უწყობს როგორც სამუშაო პროცესის ეფექტიანობის გაუმჯობესებას, ასევე კოლეჯის სტრატეგიული მიზნების და ამოცანების ეფექტურ შესრულებას. ეს რეგულაციები უზრუნველყოფს თანამშრომელთა უფლებების დაცვას და კოლეჯში მუშაობის პრინციპების შესაბამისობას კანონმდებლობასთან, რაც აუმჯობესებს შიდა პროცესების გამართულობა.

ინდიკატორი 4.1.2.1. შესაბამისობაშია

2.პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, კერძოდ:

კოლეჯში პერსონალის შერჩევის პროცესი ეფუძნება სამართლიანობის, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კანდიდატების მოზიდვას და დასაქმებას. აღნიშნული პროცედურები მკაფიოდ გაწერილია ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკაში, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 8 მაისს № 19 ბრძანებით. პერსონალის შერჩევა არის გამჭვირვალე და მკაფიოდ დოკუმენტირებული პროცესი. ვაკანტური პოზიციები თავსდება ვებგვერდზე ან დასაქმების პორტალზე კონკურსის სახით, რაც უზრუნველყოფს შერჩეული კანდიდატების მაღალი კვალიფიკაციის მიხედვით მოზიდვას. თანამშრომლის აყვანა შესაძლებელია ასევე განხორციელდეს პირდაპირი დანიშვნის წესით, როდესაც დაწესებულებამ მოიძია კანდიდატი და შესთვაზა დასაქმება. შერჩევის პროცესში ყურადღება ექცევა საკვალიფიკაციო მოთხოვნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სრულ შესაბამისობას, რაც ხელს უწყობს მხოლოდ კომპეტენტური და გამოცდილების მქონე თანამშრომლების შერჩევას. თანამშრომლის აყვანამდე განისაზღვრება თანამდებობის მიზანი, ფუნქციები, მოვალეობები და დასაქმებულთა პასუხისმგებლობის არეალი. თანამდებობრივი მოვალეობების ჩამოყალიბების შემდეგ, განისაზღვრება დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები: განათლების დონე და სფერო, სამუშაო გამოცდილების ხანგრძლივობა, უნარ-ჩვევები და პიროვნული მახასიათებლები. **პერსონალის მოზიდვა შეიძლება განხორციელდეს შიდა და გარე წყაროებით:**

- პერსონალის მოზიდვის შიდა წყაროა - კოლეჯში დასაქმებული პერსონალი, რომლებიც პირადი
- კონტაქტების გამოყენებით ახდენენ კვალიფიციურ კადრებთან დაკავშირებასა და მათ მოზიდვას;
- პერსონალის მოზიდვის გარე წყაროა - კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ან დასაქმების საიტებზე განთავსებული ვაკანსიები.

პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს და შეიცავს ყველა მნიშვნელოვან პუნქტს, როგორიცაა:

- სამუშაო თარიღი და სამუშაო ურთიერთობის ხანგრძლივობა
- სამუშაო დრო და დასვენების პერიოდი
- სამუშაო ადგილი და თანამდებობა
- მხარეთა უფლება-მოვალეობანი;
- ანაზღაურების პირობები და მისი გადახდის წესი
- ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება
- შვებულებების ხანგრძლივობა და პირობები (ანაზღაურებადი/ანაზღაურების გარეშე)
- ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება შეწყვეტა;
- შრომითი დავის განხილვა და გადაწყვეტა

ვიზიტის დროს გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები; ყველა თანამშრომლის **პირადი საქმე** და მასში არსებული დოკუმენტაცია შესაბამისობაშია **საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან**. ექსპერტთა შეფასებით დადგინდა, რომ პერსონალის დანიშვნა ხდება კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა რეგულაციების დაცვით. კოლეჯი ზრუნავს, რომ ყველა შერჩეული თანამშრომელი იყოს კვალიფიციური და თავის სფეროში გამოცდილი, რაც ხელს უწყობს როგორც ორგანიზაციის სტაბილურობას, ისე ხარისხის გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 4.1.2.2. შესაბამისობაშია

3.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, კერძოდ:

კოლეჯის დირექტორის დამტკიცებულია„სამუშაო აღწერის დოკუმენტი“, პირადი საქმეები, სადაც გაწერილია საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეული თანამდებობისათვის. თითოეული თანამშრომლის პროფესიული გამოცდილება და ცოდნა შეესაბამება პოზიციის შესაბამის მოთხოვნებს. თითოეული თანამდებობისთვის პირადი საქმეები მოიცავს არა მხოლოდ განათლების დიპლომებსა და სერტიფიკატებს, არამედ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სემინარებისა და ტრენინგების დამადასტურებელ დოკუმენტებსაც, ასევე ცნობებს სამუშაო გამოცდილების დადასტურებისათვის. შესაბამისად, კვალიფიკაციის შესაფასებლად გათვალისწინებულია არა მხოლოდ შესაბამისი განათლება, არამედ სამუშაო გამოცდილება. დოკუმენტაციის შესწავლითა და პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ თითოეული თანამშრომლის პირადი საქმე შეიცავს სრულ დოკუმენტაციას, რომელიც შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 4.1.2.3. შესაბამისობაშია

2. **პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, კერძოდ:**

კოლეჯის პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება თანამშრომლობისა და მონაწილეობითი მართვის პრინციპებს. გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიურად არიან ჩართული ადმინისტრაციის წევრები, რაც უზრუნველყოფს ერთობლივ მუშაობას და საერთო ხედვის ჩამოყალიბებას. თითოეული პირი თავისი ფუნქცია- მოვალეობებიდან გამომდინარე ჩართულია, როგორც სასწავლო, ასევე ადმინისტრაციულ პროცესებში. ორგანიზაციული კულტურის გუნდური მუშაობის პრინციპზე დაფუძნებას ადასტურებს იმ სამუშაო ჯგუფებისა თუ კომისიების არსებობა, რომელიც შექმნილია კოლეჯში, ისეთი მნიშვნელოვანი პროცესების წარსამართად როგორიცაა მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრეტეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება და მონიტორინგი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცედურა და ა.შ. კოლეჯი უკვე მრავალი წელია არსებობს და ჩამოყალიბებულია მმართველობის დემოკრატიული და გუნდური სტილი, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციის სტაბილურ განვითარებას და სამუშაო პროცესის ეფექტიანობას. ადმინისტრაციასთან, პროფესიული განთლების მასწავლებვლებლებთან გასაუბრების დროს ყველამ ერთხმად აღნიშნა დაწსებულების ორგანიზაციის კულტურის მაღალი ღირებულბები, პროფესიონალიზმი, გუნდურობა, ინოვაცია და განვითარება, სტუდენტებზე ორიენტირებულობა და ინკლუზიურობა.

ინდიკატორი 4.1.2.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრუქტურის მოქმედი ვერსია;
- სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები/სამუშაო აღწერილობებით;
- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა;
- შინაგანაწესი;
- პირადი საქმეები;
- სამუშაო აღწერის დოკუმენტი;
- სამუშაო ჯგუფებისა და კომისიები შექმნის ბრძანებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას, კერძოდ:**

ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველსაყოფად, კოლეჯი ყოველწლიურად ახორციელებს ადამიანური რესურსის საქმიანობის შეფასებას. თანამშრომელთა საქმიანობის და სამუშაოს შესრულების მონიტორინგი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრულ პერიოდში. კოლეჯში შემუშავებულია კითხვარები, რომელიც ორიენტირებულია პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და კონკრეტული საჭიროებების დადგენაზე. ასევე, პროფესიული სტუდენტები აფასებენ კოლეჯის საქმიანობას სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ კონკრეტულ პირს/პირებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა სახის კითხვარები:

თვითშეფასების კითხვარი ადმინისტრაციისთვის - რომელის მიზანია კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომელთა საქმიანობის შეფასება, პერსონალის საჭიროებების, სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და მათი გამოსწორების გზების დასახვა, პერსონალის შესაძლებლობების გამოვლენა და მათი პროფესიული განვითარება.

კითხვარი პროფესიული სტუდენტებისთვის - კითხვარის მიზანია, რამდენად არიან სტუდენტები ინფორმირებულნი კოლეჯში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კითხვარი პროფესიული განათლების მასწავლებლის/პრაქტიკის ინსტრუქტორისთვის - კითხვარის მიზანია პროფესიული სტუდენტების ცოდნა გახდეს უფრო კონკრეტული, შედეგზე ორიენტირებული და სტუდენტებმა მიიღონ განათლება შესაბამისი პროფესიისათვის დამახასიათებელ გარემოში.

საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი - რომელიც ემსახურება პროფესიული განათლების მასწავლებლების შეფასებას და მათ შემდგომ განვითარებას.

კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარი - კვლევის მიზანია კურსდამთავრებულთა მოსაზრებები პროგრამის შესახებ და გამოცდილება მისი დასრულების შემდეგ.

კითხვარი დამსაქმებელთათვის- კვლევის მთავარი მიზანია დაწესებულებამ გაიგოს დამსაქმებლებისგან მათი მოსაზრებები პროფესიული განათლების შესახებ.

ამ პროცესების შემუშავება და გაუმჯობესება ახორციელებს სიღრმისეულ შეფასებას, რაც ხელს უწყობს კოლეჯის სტაბილურ ზრდას და პერსონალის მუდმივ პროფესიულ განვითარებას. საჭიროების კვლევიდან გამომდინარე დაწესებულება ეტაპობრივად ახორციელებს სხვადასხვა ტრენინგს. ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ პერსონალთან და კუსდამთავრებულებთან გასაუბრებისას გამოიხატა დაწესებულების მიმართ მაღალი კმაყოფილების გრძნობა.

ინდიკატორი 4.2.1.1. შესაბამისობაშია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით, კერძოდ:**

პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე კოლეჯი ახორციელებს პერსონალის განვითარების გეგმაზე მუშაობას. აღნიშნული გეგმა თავის თავში გულისხმობს იმ ძირითად რეკომენდაციებს, რაც კვლევის შედეგების ანალიზის საფუძვლეზე განისაზღვრება. აღნიშნული გეგმა ინტეგრირებულია სამოქმედო გეგმაში. დაწესებულება პერიოდულად ატარებს სხვადასხვა სახის ტრენინგებს. ტრენერებად მოწვეული არიან როგორც შიდა ასევე გარე პირები. დაწასებულების პერსონალთან გასაუბრებისას, დადასტურდა რომ დაწესებულება საჭიროებიდან გამომდინარე ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე.

ინდიკატორი 4.2.1.2. შესაბამისობაშია

3.პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე კოლეჯი ახორციელებს პერსონალის განვითარების გეგმაზე მუშაობას. აღნიშნული გეგმა თავის თავში გულისხმობს იმ ძირითად რეკომენდაციებს, რაც კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება. აღნიშნული გეგმა ინტეგრირებულია სამოქმედო გეგმაში. კოლეჯის ბაზაზე, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ტარდება სხვადასხვა ტრენინგები, რომელთა შესახებ ინფორმაციაც ასახულია დაწესებულების სოციალურ გვერდზე. მაგალითად: 2024 წელს ჩატარებულია ტრენინგი - ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სასწავლო პროცესში, გასვლითი სემინარი ყაზბეგში - პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმები სასწავლო პროცესის მართვაში, ვორქშოფი - ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებისა და შეფასების პროცესში. ასევე, 2024 წელს საქართველოს კარიტასის ორგანიზებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელ ცვლილებებს. ასევე კერძო კოლეჯების ასოციაციის ორგანიზებით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე "ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პრინციპები და ავტორიზაციის პირველი სტანდარტი". ყოველივე ზემოაღნიშნული ცალსახად ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ დაწესებულება ახდენს პერსონალის განვითარების საჭიროებების კვლევას, კვლევის შედეგად მიღებული შედეგების დამუშავებას და შედგომ საჭირო ღონისძიებების განხორციელებას.

ინდიკატორი 4.2.1.3. შესაბამისობაშია

4.პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, კერძოდ:

ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად კოლეჯი უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. კანდიდატის შერჩევის შემდეგ მნიშვნელოვანია, ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია ახალ კოლექტივთან, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ახალდანიშნული თანამშრომლის სამუშაო პროცესებში სწრაფ და ეფექტიან ჩართვას. კოლეჯი ზრუნავს და ეხმარება ახალ წევრებს ორგანიზაციულ კულტურასთან შეგუებაში. ახალი თანამშრომლის ორგანიზაციულ კულტურასთან სწრაფი შეგუებისთვის კოლეჯი აწვდის ინფორმაციას ორგანიზაციული კულტურისა და მთავარი ღირებულებების შესახებ. ორგანიზაციაში შესვლისას ახალი წევრი გადის გაცნობის ეტაპს. გასაუბრების დროს გამოიკვეთა კოლეჯის მხრიდან ახალი თანამშრომლებისთვის მეგობრული გარემოს შექმნა, ძველი თანამშრომლები მაქსიმალურად ცდილობენ ახალმოსულ კოლეგებს მყუდრო და სასიამოვნო გარემო შეუქმნან და მაქიმალურად ერთვებიან მათ სოციალიზაციაში. აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო მეტად ცხადყოფს დაწესებულების მაღალ კულტურულ ღირებულბებს.

ინდიკატორი 4.2.1.4. შესაბამისობაშია

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, კერძოდ:

პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ადამიანური რესურსის საქმიანობის შეფასების ინიციატივები კოლეჯის მიერ წახალისებულია. მაგალითად, 2024 წლის ადამიანური რესურსის საქმიანობის შეფასების კვლევაში ადმინისტრაციული პერსონალის ნაწილი მიიჩნევდა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუმჯობესელი იყო სტუდენტთა აკადემიური მოსწრება. ამ მიზნით, შემუშავდა გამოკითხვის ფორმა, რათა დადგინდა პროფესიული სტუდენტების აკადემიურ მოსწრებაზე ზეგავლენის მქონე ფაქტორები. კვლევის ანგარიშის შესაბამისად, შემუშავებული რეკომენდაციები, გათალისწინებულია დაწესებულების მიერ მომდევნო სასწავლო წელს.

ინდიკატორი 4.2.1.5. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ვებ-გვერდზე განთავსებული პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული სემინარები/ტრენინგები/ვორქშოპების ამსახველი ფოტომასალა - www.barakoni.edu.ge
- სამოქმედო გეგმა 2025.
- სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში 2024
- ადამიანური რესურსის საქმიანობის შეფასების კვლევა 2024
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

1. კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, კერძოდ:

დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის 21 მაისის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N:882025540961. კოლეჯი მდებარეობს ანა პოლიტოვსკაიას 4 ნომერში (ყოფილი ჯიქიას ქუჩა) არსებული შენობა-ნაგებობის მე-6 სართულზე. საერთო ფართი 756 კვ.მ. 2025 წლის 5 იანვარს დაწესებულებას გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადად განსაზღვრულია 2031 წელის 31 დეკემბერი. დაწესებულება აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. კოლეჯის მატერიალური რესურსები, (ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა ინვენტარი), წარმოადგენს კოლეჯის საკუთრებას. საკუთრების დადასტურებისთვის კოლეჯმა წარმოადგინა სხვადასხვა კანონიერი დოკუმენტაცია, კერძოდ: სასაქონლო ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტებით და სხვა სააღრიცხვო დოკუმენტები. დაწესებულებას გააჩნია სხვადასხვა ტიპის კეთილმოწყობილი და ფუნქციურად გამიჯნული სივრცეები:

- ფოიე: ცენტრალური თავშეყრის სივრცე, რომელიც ემსახურება შენობაში მყოფი პირების მიღებას და შემდგომ სხვა ფუნქციებს - ზონებში გადანაწილებას;
- თეორიული სწავლების აუდიტორია/ები;
- სასწავლო ფართი კომპიუტერული ტექნიკით: აუდიტორია/ები სპეციფიკური კომპიუტერული ინვენტარით პრაქტიკული და თეორიული სწავლებისათვის;
- დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი/ები/სახელოსნო/ები;
- ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი;
- ინდივიდუალური სველი წერტილები (მათ შორის – ადაპტირებული შშმ პირთათვის);
- სივრცე არქივისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დასასვენებელი/სარეკრეაციო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის;
- ადმინისტრაციული სივრცე;
- სხვა.

ვიზიტის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე დათვალიერების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანი განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. ინფრასტრუქტურის აღწერა დადასტურებულია დოკუმენტურად – წარმოდგენილია უძრავი ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები, ფოტომასალა და შენობების დეტალური აღწერა. ადგილზე დათვალიერებით დადასტურდა, რომ სივრცეები ფუნქციურია და აკმაყოფილებს საგანმანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო მოთხოვნებს. ასევე, საევაკუაციო გეგმა განთავსებულია ვიზუალურად ხელმისაწვდომ და ადვილად აღსაქმელ ზონაში.

ინდიკატორი 5.1.1.1. შესაბამისობაშია

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის, კერძოდ:

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. დირექტორის ბრძანებით 2019 წლის 1 მაისს (ბოლო ცვლილება დირექტროის ბრძანებით 04.08.2025) დამტკიცებულია კომპიუტერული ტექნიკის განაწილების სქემა აუდიტორიების მიხედვით. აუდიტორიებში დამონტაჟებულია პროექტორები და დემონსტრირების ციფრული საშუალებები (მონიტორები), რომლებიც პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ საჭიროებისამებრ. სქემაში დეტალურად აღწერილია აუდიტორიებში არსებული ინვენტარის რაოდენობა. დაწესებულებას აქვს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, ვიზუალური და აუდიო რესურსებით, მუდმივი ინტერნეტით, კომპიუტერული ტექნიკით. ასევე ხელმისაწვდომია Open biblio-ს ციფრული პლატფორმა. დაწესებულებას წარდგენილი აქვს კვლევის ანგარიში (პროგრამების შეფასება 2024). კვლევაში მონაწილეობა მიიღო:

- ინფორმაციის ტექნოლოგია (2023 წლის მიღება) – 19 რესპოდენტი;
- ფარმაცია (სააფთიაქო) 2023 წლის მიღება - 17 რესპონდენტი;
- ფარმაცია (სააფთიაქო) 2022 წლის მიღება - 15 რესპონდენტი;
- საექთნო საქმე (2023 წლის მიღება) – 7 რესპონდენტი;
- საექთნო საქმე (2022 წლის მიღება) – 5 რესპონდენტი;
- საექთნო საქმე (2021 წლის მიღება) – 9 რესპონდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონაცემთა ანალიზი - პროფესიულ სტუდენტთა კითხვარის ანალიზი, რომელიც მოიცავდა ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესახებ გვაწვდის შემდეგი სახის ინფიორმაციას კერძოდ: გამოკითხვის ფარგლებში, პროფესიულმა სტუდენტებმა შეაფასეს სასწავლო გარემო და რესურსები. მათი შეფასებით, შეთავაზებული სასწავლო რესურსები აკმაყოფილებს მათ სასწავლო საჭიროებებს, სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები ხელმისაწვდომია მათთვის. სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა მთელი ჯგუფისთვის საკმარისია - ძირითადად არ აქვთ პრობლემა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია მოდულის მიზნების შესაბამისად. პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვისუ შედეგად დასტურდება, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების სტუდენტებისათის, ასევე არსებული რესურსები ადეკვატურად აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტებს.

ინდიკატორი 5.1.1.2. შესაბამისობაშია

3.დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, კერძოდ:

დირექტორის 2019 წლის 15 მარტის №15 ბრძანებით (ბოლო ცვლილება დირექტორის ბრძანება **№53/20.05.2024)** დამტკიცებულია წესრიგის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფის წესი. დოკუმენტის მე-2 მუხლის გ ქვეპუნქტში გაწერილია კოლეჯის ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, ხოლო მე-8 მუხლში დასუფთავების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები. დასუფთავების სპეციალისტთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.

დასუფთავების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობებია:

ა) სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით, კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სივრცეების, მათ შორის სასწავლო და სამუშაო სივრცეების ყოველდღიური დასუფთავება;
ბ) ნაგვის ურნების ყოველდღიური დასუფთავება;
გ) იატაკის რეგულარული დასუფთავება;
დ) სველი წერტილების რეგულარული დასუფთავება;
ე) საპირფარეშოებში ტუალეტის ქაღალდებისა და საპნის დროულად განთავსება;
ვ) მის საქმიანობასთან დაკავშირებული მარაგების (სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები, ტუალეტის ქაღალდი, საპონი და სხვ.) კონტროლი და შესაძენი საშუალებების სიის შედგენა.

დაწესებულებაში არსებულ სივრცეებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რაც გამყარებულია დადგენილი რეგლამენტით, პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრების შედეგებით და მათი მაღალი კმაყოფილების დონით.

ინდიკატორი 5.1.1.3. შესაბამისობაშია

4.შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემებით, რაც უზრუნველყოფს სწავლისა და მუშაობისთვის კომფორტული გარემოს შექმნას. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა დაწესებულების შენობაში ცენტრალური გათბობის სისტემების ვიზუალური დათვალიერება. ასევე ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების მიერ უშუალოდ განხორციელდა ცენტრალური გათბობის სისტემების რეალური გამოყენება. ცენტრალური გათბობის სისტემების ფუნქციონირება ასევე დასტურდება პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით და კომუნალური გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციით.

ინდიკატორი 5.1.1.4. შესაბამისობაშია

5.დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები, კერძოდ:

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით 2024 წლის 27 დეკემბერს დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების გეგმა. შენობა აღჭურვილია **შრომის უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და მექანიზმებით**, მათ შორის:

- **საევაკუაციო გეგმები** გამოკრულია თვალსაჩინო ადგილებზე და შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოებთან;
- შენობას გააჩნია სათანადო რაოდენობის **საევაკუაციო გასასვლელები და კიბეები**;
- შენობა აღჭურვილია **ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით**, მათ შორის:
  - სახანძრო სიგნალიზაციით;
  - ევაკუაციის მართვის სისტემითა და მანათობელი, ავარიული ნიშნებით;
  - ავტომატური ცეცხლჩაქრობის სისტემით (სპრინკლერებით);
  - ცეცხლმაქრებით, რომელთა გამოყენებაზე ტარდება რეგულარული ინსტრუქტაჟები და პრაქტიკული სწავლებები;

ყველა აქტივობა დოკუმენტირებულია: იწარმოება ინსტრუქტაჟის ჟურნალები და მოიცავს შესაბამის ფოტო/ვიდეო მტკიცებულებებს. **კოლეჯს ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის** გავლილი აქვს შესაბამისი აკრედიტებული პროგრამა და ფლობა ვადიან სერტიფიკატს.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ახდენს

- შრომის პირობებისა და რისკების შეფასებას;
- პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას;
- შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციების შემუშავებას, მონიტორინგს და დოკუმენტირებას;
- ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარებას;
- აღჭურვილობისა და ტექნიკური საშუალებების შემოწმებას;
- რისკების შეფასებას, აღრიცხვასა და მართვას საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

დოკუმენტური მხარდაჭერა რეგულირდება შემდეგით:

- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკით;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმებით;
- საგანგებო სიტუაციათა მართვის გეგმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან, რომელმაც წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. კერძოდ: ინსტრუქტაჟების ჟურნალები. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი პერიოდულად ატარებს ინსტრუქტაჟებს, ჩატარებული ინსტრუქტაჟები და მონაწილე პირები აღნიშნულია შესაბამის ინსტრუქტაჟის ჟურნალში. ასევე სტუდენტებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს დადგინდა, რომ იცნობენ უსაფრთხოების წესებს. შესაბამისად, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

ინდიკატორი 5.1.1.5. შესაბამისობაშია

6. **დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები, კერძოდ:**

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით №56 /15.10.2018 დამტკიცებულია სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესი (ბოლო ცვლილება დირექტორის ბრძანებით N92/12.08.2025). **დოკუმენტის მე-2 მუხლი სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების წესი ითვალისწინებს შემდეგს:**

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების მასალებისა და ნედლეულის ნაწილის გათვალისწინებით, კოლეჯის დირექტორი ახორციელებს მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას, როგორც მოდულის დაწყებამდე, ისე მოდულის მიმდინარეობისას;
- მოდულის მიმდინარეობისას მასალებისა და ნედლეულის საჭიროების იდენტიფიცირების შემთხვევაში მოდულის განმახორციელებელი პირი აღნიშნულის შესახებ სამსახურებრივ ბარათს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება პრაქტიკის ობიექტზე, კოლეჯი მასალებისა და ნედლეულის შეძენას იმ მოდულის ფარგლებში აღარ ახორციელებს;
- მასალებისა და ნედლეულის შეძენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ვადა, მათი გამოყენების მომენტისათვის;
- მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება შენახვის წესების დაცვით;
- მოდულის დასრულების შემდეგ მოდულის განმახორციელებელი პირისა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირის/ების მიერ ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება კოლეჯის დირექტორისათვის წარდგენილი სამსახურებრივი ბარათის საშუალებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის სასწავლო მიზნებისათვის განკუთვნილი მასალებისა და ნედლეულის გადაცემას ახორციელებს კოლეჯის დირექტორი, მიღება-ჩაბარების აქტით შემოსული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

ექსპერტთა ვიზიტის დროს შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია, ჩატარდა გასაუბრება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიული განათლების სტუდენტებთან. გასაუბრების შედეგად აღინიშნა, რომ დაწესებულებაში შემუშავებული რეგულაციის შესაბამისად ხორციელდება აღნიშნული პროცესი.

ინდიკატორი 5.1.1.6. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას, კერძოდ:

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას PDCA პრინციპის გამოყენებით, რაც გულისხმობს ძირითად და დამხმარე პროცესებზე პასუხისმგებელი პირების მიერ საკუთარი პროცესების დაგეგმვას, შესრულებას, შეფასებასა და განვითარებას. ადმინისტრაციული პირები აფასებენ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში გაწეულ მომსახურებას და შედეგებს იყენებს საქმიანობის გაუმჯობესებისთვის. ხარისხის მართვის მენეჯერი თავად აფასებს ცალკეულ პროცესებს, ასევე აანალიზებს სამსახურის მიერ განხორხციელებული შეფასების შედეგებს. პროგრამების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მონაცემების რეგულარული დამუშავება, ამიტომაც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს ყოველწლიურად პროგრამების შეფასებას. შესაბამისად, კვლევის შედეგები გამოყენებულია რეკომენდაციების შესამუშავებლად, რომელთა მიზანი არის ხელი შეუწყოს პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. დაწესებულებას 2023-2024 ჩატარებული აქვს კვლევის ანგარიში (პროგრამების შეფასება) საიდანაც ირკვევა, რომ მოცემულ წლებში გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებელების/პრაქტიკის ინსტრუქტორების აბსოლიტური უმრავლესობისთვის სასწავლო რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა ხელმისაწვდომი და საკმარისი იყო სასწავლო ჯგუფებისთვის. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებით, შეთავაზებული სასწავლო რესურსები აკმაყოფილებს მათ სასწავლო საჭიროებებს. სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები ხელმისაწვდომია მათთვის. სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა მთელი ჯგუფისთვის საკმარისია და სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია მოდულის მიზნების შესაბამისად. ასევე, გამოკითხულთა აბსოლიტური უმრავლესობის შეფასებით, სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალა-ნედლეული (მაგ: ქაღალდი, მარკერი, საშლელი, ქიმიური ნივთიერებები და სხვა) საკონტაქტო საათის პერიოდში მთელი ჯგუფისთვის იყო საკმარისი. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

ინდიკატორი 5.1.1.7. შესაბამისობაშია

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის, კერძოდ:

დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია. არსებული სივრცე მოწესრიგებულია და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირებისთვის. თითოეულ სველ წერტილთან განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, ქაღალდის ხელსახოცის დისპანსერი, ასევე ნარჩენების კალათა.

ინდიკატორი 5.1.1.8. შესაბამისობაშია

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, კერძოდ:

დაწესებულების მფლობელობაში არსებულ სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართს, მოსასვენებელ სივრცესა და ბიბლიოთეკას აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. აღნიშნული დასტურდება შენობის ვიზუალური დათვალიერებით.

ინდიკატორი 5.1.1.9. შესაბამისობაშია

10.სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას, კერძოდ:

დაწესებულების შენობაში არის ფოიე, სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები და დასასვენებელი სივრცეები, რომლებიც დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან. ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეები და სასწავლო აუდიტორიები გადანაწილებულია ისე, რომ ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას. ადმინისტრაციის ოთახი აღჭურვილია სათავსოებით, ხოლო პროფესიული მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სათავსოები განლაგებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო სივრცეში. შესაბამისად, სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

ინდიკატორი 5.1.1.10. შესაბამისობაშია

11.მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, კერძოდ:

კერძოდ ბიბლიოთეკა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ,,საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონით, დებულებითა და კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 18 ივნისის № 37 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი''-ს შესაბამისად (ბოლო ცვლილება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით № 91 /0 1.08 .2023 წელი). კოლეჯის ბიბლიოთეკა მუშაობს: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00 სთ-დან 18:00 საათამდე, ხოლო შაბათს - 11:00 სთ.-დან 15:00 სთ.-მდე. პროფესიული სტუდენტი და პერსონალი (მკითხველი) უფლებამოსილია ისარგებლოს კოლეჯის საბიბლიოთეკო რესურსით, საბიბლიოთეკო სერვისით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და საინფორმაციო საშუალებებით. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად გამოიყენება დაწესებულების საკუთრებაში არსებული ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებელზე არსებული წიგნადი ფონდი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები დარეგულირებულია შესაბამისი დებულებით. ელექტრონული წიგნები ასევე განთავსებულია აკადემიის ვებ გვერდზე ბიბლიოთეკის სექციაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიბლიოთეკაში არსებობს სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით. ბიბლიოთეკას გააჩნია ლიზენზირებული საკანონმდებლო მაცნე. ბიბლიოთეკით სარგებლობა ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტისათვის ასევე ადმინისტრაციის და პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის. ბიბლიოთეკარის პირადი საქმის შესწავლითა და მასთან ინტერვიუს საფუძველზე დადასტურდა, რომ იგი არის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, საკუთარ სამუშაო პროცესს ახორციელებს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესისა და დებულების შესაბამისად, ხოლო საგანმანათლებლო რესურსები კი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ვიზუალური დათვალიერებით და გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ ბიბლიოთეკაში დაცული საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

ინდიკატორი 5.1.1.11 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან შენობა ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზები;
- იჯარის ხელშეკრულება;
- აზომვითი ნახაზი;
- დირექტორის ბრძანება სივრცეების/ფართების ფლობის შესახებ;
- დირექტორის ბრძანება კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების გადანაწილების თაობაზე;
- მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტაცია;
- წესრიგის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფის წესი;
- კომომუნალური გადასახადის ქვითარი;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- კოლეჯში განხორციელებული ინსპექტირების აქტი;
- შპს ბარაკონის სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები;
- სამსახურეობრივი ბარათები;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- კვლევის ანგარიში (პროგრამების შეფასება) 2023;
- კვლევის ანგარიში (პროგრამების შეფასება) 2024;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- კოლეჯის ვებგვერდი - www.barakoni.edu.ge;
- საკანონმდებლო მაცნესთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები, კერძოდ:

დაწესებულებას დირექტორის 2022 წლის 20 დეკემბრს N153 ბრძანებით დამტკიცებული აქვს საგანგებო მართვის გეგმა. კოლეჯის მთელ პერიმეტრზე განთავსებულია ცეცხლმაქრები, სახანძრო ბოლის დეტექტორები, სახანძრო სირენა, სახანძრო განგაშის ღილაკი და სხვა. დაწესებულებამ შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით 2025 წლის 1 ივლისს განახორციელა ობიექტის სახანძრო სისტემის ტექნიკური შემოწმება. შემოწმების შედეგად დადგენილია, რომ სახანძრო სისტემა გამართულად მუშაობს, ყველა კომპონენტი ფუნქციურია და არ აქვს რაიმე ხარვეზი. შემოწმების შედეგს ადასტურებს ხელმოწერილი მიღება ჩაბარების აქტი. 2025 წლის 11 ივლისს კოლეჯის დირექტორმა განცხადებით მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს. განცხადება მიზანად ისახავდა შენობის შესაბამისობის დადგენას სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან და შესაბამისი რეკომენდაციების მიღებას. ასევე 2025 წლის 11 ივლისს დაწესებულებამ განცხადებით მიმართა „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ (GWP) (განცხადების ნომერი IN25-1108368) განცხადების მიმართვის მიზანს წარმოადგენდა გარე სახანძრო ჰიდრანტების შესახებ ინფორმაციის მიღება. 2025 წლის 5 აგვისტოს დაწესებულებამ გაგზავნილ განცხადებაზე (განცხადების ნომერი IN25-1108368) მიიღო შესაბამისი პასუხი, სადაც ნათქვამია რომ დაწესებულების მისამართის ა. პოლიტოვსკაიას N4 მიმდებარედ L=200 მეტრის რადიუსში კომპანიის ბალანსზე რიცხული სახანძრო ჰიდრატი დამონტაჟებული არ არის. კომპანიის მხრიდან გაცემული პასუხის შემდგომ 2025 წლის 6 აგვისტოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ კომპანია GWP-ს განმეორებითი განცხადებით მიმართა. წერილის შინაარსიიდან გამომდინარე დაწესებულება ითხოვს განმარტებას, თუ რომელი ჰიდრანტის გამოყენება შეუძლიათ საგანგებო სიტუაციის დროს. კერძოდ, არის თუ არა შესაძლებელი უნივერსიტეტის ქუჩა N2-თან მდებარე ჰიდრანტის გამოყენება. გამოვლენილი გამოწვევის (გარე წყალმომარაგება) აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებას დირექტორის 2025 წლის 13 აგვისტოს N94 ბრძანებით დამტკიცებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც დეტალურადაა გაწერილი შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა/ები, პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერტეული, დაფინანსების წყარო, დაფინანსების ოდენობა და მოცემული საკითხის მოგვარების პერიოდი. დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში, 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით აუცილებელია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში მოცემული აქტივობების შესრულება. კერძოდ, უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა და დადებითი დასკვნის წარმოდგენა.

ინდიკატორი 5.1.2.1 მეტწილად შესაბამისია.

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები:

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია წესრიგის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფის წესი **№15/15.03.20219** (ბოლო ცვლილება **№53/20.05.2024).** კოლეჯში პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფისათვის შრომითი ხელშეკრულებით აყვანილია ექთანი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს პირველად გადაუდებელ დახმარებას. ექთნის პირადი საქმის შესწავლით დასტურდება მისი კომპეტენცია. კოლეჯში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ექთნის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის საკონტაქტო ტელეფონის ნომრები. კოლეჯის თანამშრომლებს პერიოდულად უტარდებათ პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგი. უცილებლობის შემთხვევაში, ექთანი უფლებამოსილია გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარება. კოლეჯში, წარმოებს უბედური შემთხვევებისა და ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი. კოლეჯი პასუხისმგებელია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო ინვენტარისა და სამკურნალო საშუალებების ვარგისიანობაზე. ვარგისიანობას აფასებს ექთანი. ამისათვის, ექთნის მიერ ხდება არსებული მედიკამენტების ვადის რეგულარული გადამოწმება.

ინდიკატორი 5.1.2.2 შესაბამისობაშია

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი, კერძოდ:

დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 20 დეკემბრის N153 ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. გეგმა განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების წესს. ასევე, მოსამსახურეების, მოსახლეობის, მატერიალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფასეულობათა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას. ამასთანავე, კოლეჯში ფუნქციონირებს საგანგებო შტაბი, რომელიც წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების მაკოორდინირებელ და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს. 2024 წლის 27 დეკემბერიდან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და ვადიანი სერთიფიკატი. დაწესებულება მასში დასაქმებულ პირებს და პროფესიულ სტუდენტებს პერიოდულად უტარებს ინსტრუქტაჟს უსაფრთხოების ტექნიკის, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და შრომის დაცვის წესების შესახებ. აღნიშნული აქტივობა გაწერილია კოლეჯის სამოქმედო გეგმით და დასტურდება შეხვედრის სარეგისტრაციო ფორმით. მტკიცებულებად ასევე წარმოდგენილი იქნა აღრიცხვის ჟურნალები.

ინდიკატორი 5.1.2.3 შესაბამისობაშია

4.დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას, კერძოდ:

დირექტორის 2022 წლის 26 აპრილის №48 ბრძანებით დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელიც მოიცავს კოლეჯის მთელ პერიმეტრზე წესრიგის დაცვის მექანიზმებს. დოკუმენტში გაწერილია კოლეჯის ტერიტორიაზე თანამშრომლების, ასევე, სხვა პირთა ქცევისა და გადაადგილების ზოგადი წესები. ამასთანავე, იჯარის ხელშეკრულებით (ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2025 წლის 5 იანვრიდან 2031 წლის 31 დეკემბრის ჩათლით). საიჯარო ქირა მოიცავს საიჯარო ფართის დაცვის სპეციალური თანამშრომლის მომსახურებასა და ვიდეოკონტროლს. შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემა. ესპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა დაწესებულებაში არსებული უსაფრთოხოების კამერების ვიზუალური დათვალიერება.

ინდიკატორი 5.1.2.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შინაგანაწესი;
- იჯარის ხელშეკრულება;
- შპს ბარაკონის საგანგებო მართვის გეგმა;
- ვებ-გვერდზე განთავსებული ფოტომასალა ინსტრუქტაჟის ჩატარების თაობაზე უსაფრთხოების ტექნიკის, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვისა და შრომის დაცვის წესების შესახებ - www.barakoni.edu.ge
- წესრიგის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, დაცვისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფის წესი;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შრომის უსაფრხოების სპეციალისთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, კერძოდ:

კოლეჯი სისტემატიურად ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების მონიტორინგს, რაც გულისხმობს როგორც მათ ტექნიკურ შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში, შეუსაბამოებების აღმოფხვრას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას. კოლეჯის ინფორმაციული ტექნოლოგიის ბაზის შეფასების მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების დაცვის, საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეუფერხებელი მიღწევისა და ადმინისტრაციის მუშაობის მდგრადობის უზრუნველყოფა. დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კვალიფიციური IT თანამშრომელი. სასწავლო პროცესის დაწყებამდე და პერიოდულად ხდება სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული პროგრამული უზრუნველყოფისადმი მოთხოვნების შეგროვება, რომელთა საფუძველზეც IT მენეჯერის მიერ ხორციელდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპიუტერული კლასებისა და ლაბორატორიების უზრუნველყოფა. ადმინისტრაციული საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით თანამშრომლებისათვის გამოყოფილია პერსონალური კომპიუტერები ან/და ლეპტოპები, რომელთა ტექნიკურ მომსახურებასა და განახლებას უზრუნველყოფს IT მენეჯერი. დაწესებულებას ინტერნეტ პროვაიდერთან მაგთიკომთან და სკაიტელთან გაფორმებული აქვს ინტერნეტ მომსახურების სააბონენტო ხელშეკრულებები. დაწესებულებას გაფორმებული აქვს დოემინის და ფოსტინგის ხელშეკრულება. ასევე დაწესებულებას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ტექნიკის განაწილების სქემა აუდიტორიების მიხედვით. დაწესებულებაში ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი. IT მენეჯერთან და სტუდენტებთან გასაუბრებით ასევე დომეინისა და ჰოსტინგის გადახდის ქვითრებით დგინდება, რომ დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

ინდიკატორი 5.2.1.1 შესაბამისობაშია

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას, კერძოდ:

დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საგანმანათლებლო პროცესების მართვაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტურ გამოყენებას და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფას. დაწესებულებას დირექორის ბრძანებით 2020 წლის 10 ივლისი (ცვლილება 2025 წლის 20 ივნისი) დამტკიცებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა. ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს შპს ბარაკონის (შემდგომში - კოლეჯი) მიერ დანერგილი ინფორმაციული ტექნოლოგიების, მართვის ინფორმაციული სისტემების, ელექტრონული სერვისების მოხმარების წესს, რეგულაციებსა და განვითარების მექანიზმებს.

ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სისტემა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- მიმდინარე პროცესებზე ორიენტირებულობა - ინფორმაციული ტექნოლოგიები უნდა პასუხობდეს კოლეჯის მიზნებს და სისტემატიურად აუმჯობესებდეს ტექნოლოგიურ პარკს.
- IT უსაფრთხოების უზრუნველყოფა - სისტემის ფიზიკური დაცვა ადამიანური ფაქტორისა და ბუნებრივი, ტექნოლოგიური მოვლენებისგან.
- ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა - სისტემის დაცვა გარე და შიდა შეტევებისგან.

ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა ვრცელდება:

- კოლეჯის პერსონალზე;
- პროფესიულ სტუდენტებზე;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებზე;
- პრაქტიკის ინსტრუქტორებზე;
- ყველა პირზე, რომლებსაც ეძლევათ დაშვება კოლეჯის ინფორმაციაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპიუტერული ტექნიკა გაერთიანებულია კოლეჯის შიდა ქსელში და ჩართულია გლობალურ ქსელში. ასევე, მთელ პერიმეტრზე რეალიზებულია ერთიანი ცენტრალიზებული უსადენო ქსელი WIFI. ისეთი მოწყობილობები, რომლებიც არ განეკუთვნებიან კოლეჯის აქტივებს და იყენებენ კოლეჯის უსადენო ქსელს (WIFI), შეუძლიათ წვდომა ჰქონდეთ მხოლოდ დაშვებული ვებ-გვერდების კატეგორიასთან. IT მენეჯერი ქსელის მართვაში იყენებს ქსელის მართვისა და უსაფრთხოების სისტემას (FIREWALL), რომელიც იცავს ლოკალურ ქსელს გარედან მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისგან და მოიცავს აპლიკაციების კონტროლს (არასაჭირო და საფრთხის შემცველი აპლიკაციების დაბლოკვა), ასევე ვებ-ფილტრს, რომლითაც ხდება არასასურველ ვებგვერდებზე წვდომის შეზღუდვა. კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის განთავსება ხდება კოლეჯის „ღრუბლოვან საცავში“ (Google drive) და გარე მყარ დისკზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 5.2.1.2 შესაბამისობაშია

3.დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას, კერძოდ:

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 8 სექტემბრის N54 ბრძანებით დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი. მექანიზმის მიზანია პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, აგრეთვე ნორმატიული სამართლებრივი აქტების და სხვა დოკუმენტების დებულებების რეალიზაცია პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხში. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მიზანია:

- პერსონალური მონაცემების (ფიზიკური პირების) სუბიექტის უფლების დარღვევის თავიდან აცილება იმ ინფორმაციის კონფიდენციალობის დასაცავად, რომლის დამუშავება ხდება კოლეჯის მიერ;
- პერსონალური მონაცემების იმ ინფორმაციის დამახინჯების ან არასანქცირებული მოდიფიკაციის თავიდან აცილება, რომლის დამუშავება ხდება კოლეჯის მიერ;
- პერსონალური მონაცემების ინფორმაციის მიმართ არასანქცირებული ქმედებების თავიდან აცილება.

დაწესებულების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

- პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნების და მეთოდების კანონიერება და კეთილსინდისიერება;
- პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნების შესაბამისობა წინასწარ განსაზღვრულ და განცხადებულ მიზნებთან პერსონალური მონაცემების შეგროვების დროს;
- დამუშავებული პერსონალური მონაცემების მოცულობის და ხასიათის შესაბამისობა, პერსონალური მონაცემების დამუშავების მეთოდების შესაბამისობა პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებთან;
- პერსონალური მონაცემების უტყუარობა, მათი საკმარისობა დამუშავების მიზნებისათვის, პერსონალური მონაცემების შეგროვების დროს განცხადებულ მიზნებთან მიმართებაში გადაჭარბებული პერსონალური მონაცემების დამუშავების დაუშვებლობა;
- პერსონალური მონაცემები ინახება იმ ვადით, რაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად.

პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძველებია:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა;
- მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;
- მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა დამმუშავებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს **კონფიდენციალურობის პოლიტიკა (პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, ვიზიტორებისა და დარგის მოწვეული წევრებისათვის),** სადაც დეტალურადაა გაწერილი რა სახის მონაცემები მუშავდება , როგორ და რა მიზნით. ამ დოკუმენტში ასევე გაწერილია მონაცემთა გადაცემა მესამე პირებისთვის კოლეჯი მონაცემებს მესამე პირებს გადასცემს შესაბამისი პიროვნების თანხმობის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად, ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საფუძვლებით. მონაცემები გადაეცემა:

- სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას;
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს;
- პრაქტიკის კომპონენტის თანაგანმახორციელებელ ორგანიზაციას;
- ა(ა)იპ- პროფესიული უნარების სააგენტოს.

აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაიცვან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი და უზრუნველყონ მონაცემთა უსაფრთხოება. აღნიშნულ პირებთან თანამშრომლობა ხდება მხოლოდ შესაბამისი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, სადაც გათვალისწინებულია მონაცემთა დამუშავებისა და უსაფრთხოების საკითხები და მათ შორის ის, რომ დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი მონაცემებს ამუშავებს მხოლოდ კოლეჯის საქმიანობის მიზნებისთვის. აღნიშნულის ეფექტურად განხორციელებისათვის დაწესებულებას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. პროფესიულ სტუდენტებთან, განმახორციელებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმირებულები არიან ინსტიტუციური მიზნებისთვის, პერსონალური მონაცემების დამუშავების საჭიროების შესახებ.

ინდიკატორი 5.2.1.3 შესაბამისობაშია

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, კერძოდ:

დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი მექანიზმები, რომელიც აფასებს როგორც IT ინფრასტრუქტურის, ისე პროცესების ეფექტიანობას და ახორციელებს მის გაუმჯობესებას. სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით კოლეჯში ფუნქციონირებს: კომპიუტერული კლასები, კომპიუტერით აღჭურვილი ბიბლიოთეკა და სხვა. აუდიტორიებში დამონტაჟებულია პროექტორები და სადემონსტრაციო ციფრული საშუალებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(მონიტორები). სასწავლო პროცესის დაწყებამდე და პერიოდულად ხდება სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული პროგრამული უზრუნველყოფისადმი მოთხოვნების შეგროვება, რომელთა საფუძველზეც IT მენეჯერის მიერ ხორციელდება კომპიუტერული კლასებისა და ლაბორატორიების უზრუნველყოფა. დაწესებულება საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შესაფასებლად იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით გათვალისწინებული კვლევის შედეგების ანალიზს. პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს აქვთ შესაძლებლობა შეაფასონ დაწესებულების სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა, ინტერნეტ რესურსების ხელმისაწვდომა და სხვა. კვლევის ანგარიშში (პროგრამების შეფასება 2024) მოცემულია მასწავლებლის კითხვარის ანალიზი, რომელშიც ჩანს, რომ გამოკითხული 17-ვე რესპოდენტისთვის (100%) სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები ხელმისაწვდომი და ამავდროულად საკმარისია საკონტაქტო საათის პერიოდში მთელი ჯგუფისთვის. კვლევაში ასევე ნათლად ჩანს, რომ პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, დამატებით რაიმე მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის საჭიროება მხარდაჭერილი და დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი 5.2.1.4 შესაბამისობაშია

5.პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება, კერძოდ:

პროფესიული სწავლებისთვის და მართვისთვის განკუთვნილ ფართში კოლეჯს გააჩნია სასწავლო პროცესისა და ადმინიტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომლებიც აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერული ტექნიკით. კოლეჯის ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში, სასწავლო აუდიტორიებში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი კომპიუტერები, რომლითაც სარგებლობენ პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები. პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ ასევე ისარგებლონ ბიბლიოთეკების სამკითხველო დარბაზში განთავსებული კომპიუტერებით, სადაც მათთვის ხელმისაწვდომია პრინტერი, სკანერი, ინტერნეტი, რომლით სარგებლობაც შესაძლებელია შეუფერხებლად, პაროლის გარეშე.

ინდიკატორი 5.2.1.5 შესაბამისობაშია

6.პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით, კერძოდ:

დაწესებულებაში კომუნიკაცია პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ხორციელდება ერთიანი საკომუნიკაციო სისტემით. კოლეჯის თანამშრომლებს შორის ელექტრონული ფოსტით კომუნიკაციის გამარტივების მიზნით თანამშრომელთა პერსონალურ კომპიუტერებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შექმნილია თანამშრომელთა ელექტრონული ფოსტების მისამართების სია. ახალი თანამშრომლის დანიშვნის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს მისთვის ელექტრონული ფოსტის აქტივაციას. კოლეჯის მიერ, პროფესიული სტუდენტების ინფორმირების მიზნით, სწავლების პროცესში გამოიყენება სოციალურ ქსელის (Facebook) ჯგუფები. ყოველი კონკრეტული მიღებისთვის, თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის იქმნება სოციალური ქსელის ჯგუფი. ჯგუფში წევრიანდება პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები და კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. აღნიშნული დასტურდება როგორც პროფესიულ სტუდენტთა მხრიდან გასაუბრების შედეგებით ასევე ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროგრამის განმახორციელებლებთანაც.

ინდიკატორი 5.2.1.6 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი;
- ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- კონფიდენციალურობის პოლიტიკა;
- დაწესებულების სოც. მედიაში შექმნილი ჯგუფები;
- თანამშრომელთა ელექტრონული ფოსტების მისამართების სია;
- ადამიანური რესურსის საქმიანობის შეფასება - კვლევის ანგარიში 2024;
- კვლევის ანგარიში (პროგრამების შეფასება) 2024;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა;
- ხელშეკრულება ჰოსტინგისა და დომეინის მომსახურეობის შესახებ;
- პერსონალური მონაცემთა გუნდთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი, კერძოდ:

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის N44 ბრძანებით დამტკიცებულია „საქმისწარმოების წესი“. დაწესებულება საქმის წარმოებას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საქმისწარმოების ერთიანი წესის და კოლეჯში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. საქმისწარმოების ერთიანი წესში შედის:

- დოკუმენტაციის დამუშავების წესი;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებების აღრიცხვის წესი;
- ხელშეკრულებების აღრიცხვის წესი;
- შიდა დოკუმენტაციის სისტემაში აღრიცხვის წესი;
- შემოსული კორესპონდენციის სისტემაში აღრიცხვის წესი;
- გასული კორესპონდენციის აღრიცხვის წესი;
- დოკუმენტის განხილვისა და პასუხის მომზადების წესი;
- უცხოეთიდან შემოსული დოკუმენტაციის განხილვის თავისებურებანი;
- კონტროლი შემოსული კორესპონდენციის შესრულებაზე;
- კოლეგიური ორგანოსა და დროებითი კომისიის მიღებული დოკუმენტაცია;
- ცნობის გაცემის წესი;
- ბლანკის გაფორმების წესი;
- კოლეჯის ბეჭდის გამოყენების წესი;
- ფაქსიმილეს გამოყენების წესი;
- დოკუმენტის დანართის გაფორმების წესი;

დაწესებულებაში საქმისწარმოებას ახორციელებს საქმისწარმოების და რეესტრის სპეციალისტი, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება დაწესებულების დირექტორს. ასევე საქმისწარმოებელი ახორციელებს საქმიანობას, მათ შორის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის eflow-ს საშუალებით.

ინდიკატორი 5.2.2.1 შესაბამისობაშია

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული („eflow") სისტემის საშუალებით და მატერიალური ფორმით, რაც უზრუნველყოფს ავტომატიზირებულ საქმისწარმოებას და ხელს უწყობს დავალებების ეფექტურ მართვას. ასევე გამოიყენება მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორიცაა teams, Google, office 365 , zoom და სხვა პლატფორმები.

3. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის, კერძოდ:

კოლეჯში ძირითად ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო პროცესებში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის, eflow-ს საშუალებით. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა უზრუნველყოფს ავტომატიზირებულ საქმისწარმოებას და ხელს უწყობს დავალებების ეფექტურ მართვას. კოლეჯში კორესპონდენცია შემოდის დაინტერესებული პირის მიერ კოლეჯში ჩაბარებით, ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და აღირიცხება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში. კორესპონდენცია მიიღება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10.00 საათიდან 17:00 საათამდე. 17:00 საათის შემდეგ კოლეჯში შემოსული კორესპონდენცია სისტემაში აღირიცხება მომდევნო სამუშაო დღეს. დოკუმენტების მატერიალური აღრიცხვის მიზნით კოლეჯში არსებობს:

- ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი;
- შპს ბარაკონსა და სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებისა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების აღრიცხვის ჟურნალი;
- შპს ბარაკონსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი;
- შპს ბარაკონსა და პროფესიულ სტუდენტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი;
- დიპლომის და დუბლიკატების რეგისტრაციის ჟურნალი;
- სერტიფიკატების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი.

ელექტრონული ფორმით აღირიცხება:

- შიდა დოკუმენტაცია;
- შემოსული კორესპონდენცია;
- გასული კორესპონდენცია.

ყოველივე ეს გულისხმობს, რომ კოლეჯში რეალურად ხორციელდება ტექნოლოგიური სერვისების ინტეგრაცია სხვადასხვა მიმართულებით, რაც საშუალებას აძლევს დაწესებულებას მართოს პროცესები უფრო ზუსტად, გამჭვირვალედ და ეფექტურად.

ინდიკატორი 5.2.2.3 შესაბამისობაშია

4.პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯი მუდმივ მოქმედ რეჟიმში, დროულად აწვდის შესაბამის ინფორმაციას ზემდგომ ორგანოებს. საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროში წლის განმავლობაში, ეტაპობრივად ხდება ინფორმირება ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება კოლეჯის ძირითად საქმიანობას. შემოსულ კორესპოდენციასთან დაკავშირებით ხდება უკუკავშირი, ინფორმაციის გაცვლა, განაცხადების შეტანა, რეკომენდაციების მიღება და ა.შ. ისეთ მნიშვნელოვან ზემდგომ ორგანოებთან, როგორიცაა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო და ა.შ. აღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულება ზემდგომ ორგანოებს დროულად აწვდის შესაბამის ინფორმაციას, შემოსულ კორესპოდენციასთან დაკავშირებით ხდება დროული უკუკავშირი და შესაბამისი საქმისწარმოება.

ინდიკატორი 5.2.2.1 შესაბამისობაშია

დასტურდება (მკიცებულებები):

- საქმისწარმოების წესი;
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა e-flow;
- საქმისწარმოებისა და რეესტრის სპეციალისტის სამუშაო აღწერილობა;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს, კერძოდ:

დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, შემდეგი მისამართით: https://barakoni.edu.ge/ და სოციალური ქსელის გვერდი: https://www.facebook.com/share/18usnWtNay/ ორივე სახის გვერდზე განთავსებულია დაწესებულების ძირითადი საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომრები, ელ-ფოსტის მისამართი, ვებ-გვერდის მისამართი). სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია პოსტები, ვიზუალური და ტექსტური კონტენტი, სხვადასხვა კონკურსების, მიღებების, ჩარიცხვებისა და დაწესებულებაში განხორციელებული სხვადასხვა სახის ვიზიტების/აქტივობების შესახებ ინფორმაცია. დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ. ატვირთულია დაწესებულების წესდება, სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმების ანგარიშები, სხვადასხვა მარეგულირებელი და იურიდიული დოკუმენტი, ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ინფორმაცია ბიბლიოთეკის შესახებ, სტრუქტურა და სხვა. მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით განთავსებულია სიახლეების ველი, სხვადასხვა სახის კითხვარები, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი და სხვა.

ინდიკატორი 5.2.3.1 შესაბამისობაშია

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას, კერძოდ:

დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე. შესაბამისად, დაწესებულების პროფესიული განთლებისთვის განკუთვნილი ვებგვერდი ქართულენოვანია. ვებ-გვერდის ქართულენოვანი ვერსია მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ.

ინდიკატორი 5.2.3.2 შესაბამისობაშია

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სპეციალისტი. კოლეჯის კომუნიკაციის მთავარი მიზნებია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კოლეჯის მიმართულებებისა და პროგრამების, სწავლების ხარისხის შესახებ, კოლეჯის ცნობადობის გაზრდა და მის მიმართ ნდობის გაჩენა და გაღრმავება. ფეისბუქ გვერდის მართვაზე, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კარიერის სპეციალისტი. კოლეჯში მოქმედი საზოგადოებათან ურთიერთობისა და კომუნიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც შეთანხმებულია კოლეჯის დირექტორთან და პასუხისმგებელ პირებთან.

ინდიკატორი 5.2.3.3 შესაბამისობაშია

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ, კერძოდ:

კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახლებული კატალოგი, კოლეჯი ყოველ სასწავლო წელს აქვეყნებს განახლებულ კატალოგს. კატალოგში მოცემულია სრული ინფორმაცია კოლეჯში მოქმედი ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების შესახებ, რომელიც მოიცავს პროგრამების დასახელებას, სხვადასხვა პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციების ჩამონათვალს, პროგრამის მიზნებსა და დაშვების წინაპირობებს, ინფორმაციას პროგრამის მოცულობასა და ხანგრძლივობაზე, თითოეული პროგრამისთვის მისაღწევი სწავლის შედეგების ჩამონათვალს, პროგრამის განხორციელების ადგილს, ინფორმაციას პროგრამის ხელმძღვანელისა და პარტნიორი ორგანიზაციების/პრაქტიკის ობიექტების შესახებ.

ინდიკატორი 5.2.3.4 შესაბამისობაშია

5.პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, კერძოდ:

საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შემთხვევაში მყისიერად ხორციელდება ცვლილებების ასახვა კატალოგში. სტანდარტულად ყოველი სასწავლო წლის დაწყებისას ხორციელდება კატალოგის განახლება.

ინდიკატორი 5.2.3.5 შესაბამისობაშია

6.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად გამოიყენება სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო არხები. კოლეჯის წარმომადგენელთა განმარტებით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დაწესებულება დაინტერესებულ მხარეებთან/საზოგადოებასთან კომუნიკაციის, უკუკავშირის მიღებისა და გამოყენების მიზნით სარგებლობს ოფიციალური ელექტრონული ფოსტით, info@barakoni.edu.ge , რომელიც მითითებულია ოფიციალურ ვებგვერდზე. გარდა ამისა, აღნიშნული უკუკავშირის მისაღებად, შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს Facebook სოციალური ქსელიდან, დახურული ჯგუფებიდან, გამოკითხვებიდან მიღებული ინფორმაცია. კოლეჯის საკომუნიკაციო არხებიდან როგორც ოფიციალური სოციალური ქსელიდან, ისე ელექტრონული ფორმის ტიპის გამოკითხვებიდან; შემოსულ ინფორმაციაზე ხდება სათანადო რეაგირება. მაგალითად, თავდაპირველად სოციალურ ქსელში, კონკრეტული წლის მიღებისათვის, ფასიანი რეკლამირებისას მითითებული არ იყო გეოგრაფიული არეალი. აღნიშნული იწვევდა არამიზრობრივი აუდიტორიის მოზიდვას, რაც გათალისწინებულ იქნა მომდევნო წლებისთვის. ზემოაღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ საზოგადოებისაგან მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი 5.2.3.6 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების ვებ-გვერდი: www.barakoni.edu.ge
- დაწესებულების Facebook სოციალური ქსელის გვერდი: https://www.facebook.com/share/18usnWtNay/
- საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
- დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება, კერძოდ:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა ბიუჯეტი, რომლის ანალიზის მიხედვით დასტურდება, რომ დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. აღნიშნულ ბიუჯეტში გათვალისწინებულია გეგმების ამოცანებისა და პროფესიული პროგრამების განხორციელება-განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი დაფინანსება. ამ ეტაპისთვის კოლეჯის პროგრამების განხორციელება ხდება ვაუჩერული დაფინანსების სახით. ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისგან. ბიუჯეტი ხარჯების ნაწილი მოიცავს ინფორმაციას შრომის ანაზღაურების, საერთო, ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯების შესახებ. დაწესებულებაში სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგება ყოველი წლის ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმა. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში ჩართულნი არიან დაწესებულების საფინანსო მიმართულებით პასუხისმგებელი პირები. პროფესიული განათლების განვითარებისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს ყოველწლიური სამოქმედო გეგმემა. აღნიშნულ გეგმაში მითითებულია დასახული მიზნებისა და ამოცანებისათვის საჭირო კონკრეტული ფინანსური რესურსი. დაწესებულება ორიენტირებულია ფინანსური სტაბილურობის საფუძველზე, იზრუნოს ინფრასტრუქტურის, მატერიალური და ადამიანური რესურსის განვითარებაზე. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა ინტერვიუები კოლეჯის ხელმძღვანელობასა და ფინანსურ მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, რის შედეგადაც დადასტურდა გამოყოფილი თანხების საკმარისობა დაგეგმილი აქტივობებისა და სამუშაოების წარმართვისთვის.

ინდიკატორი 5.3.1.1 შესაბამისობაშია

2.საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით, კერძოდ:

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტში გთვალისწინებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისთვის ყველა ძირითადი კომპონენტის საოპერაციო ხარჯები. გარდა დოკუმენტური მტკიცებულებებისა, საოპერაციო ხარჯების უზრუნველყოფა ფინანსური რესურსით, დასტურდება პერსონალთან და კოლეჯის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით.

ინდიკატორი 5.3.1.2 შესაბამისობაშია

3.დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას, კერძოდ:

დაწესებულება აწარმოებს ფინანსურ ანგარიშს და ასაჯაროვებს მას კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, ამ ანგარიშებს იყენებს საკუთარი საქმიანობის ფინანსური მდგრადობის ანალიზისა და შეფასებისთვის. გარდა კანონმდებლობით დადგენილი ანგარიშებისა, დაინტერესებულ მხარეებისათვის დაწესებულების ფინანსური ანგარიშები საჯაროა და ატვირთულია შესაბამის პორტალზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 5.3.1.3 შესაბამისობაშია

4.დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე, კერძოდ:

დაწესებულება ყოველი წლის ბოლოს აკეთებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს. აღნიშნული ანგარიშის და საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად, იგეგმება შემდგომი აქტივობები და ხდება სათანადო რეაგირება შეფასების შედეგებზე. დაწესებულების მიერ წლების მიხედვით, შემუშავებული ანგარიშები ხელმისაწვდომია კოლეჯის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი 5.3.1.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები;
- ვებგვერდზე განთავსებული წლიური სამოქმედო გეგმის ანგარიშები;
- კოლეჯის დაფინანსების დინამიკა;
- სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში 2024;
- საოპერაციო ხარჯები;
- ვებ-გვერდზე განთავსებული შემუშავებული ყოველწლიური ანგარიშები - www.barakoni.edu.ge;
- 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება
- ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Higher Vocational Qualification in Pharmacy
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	00916
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 17ივნისის N36 ბრძანებით (ბოლო ცვლილება დირექტორის 2025 წლის 7 აგვისტო N91 ბრძანებით).
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი. ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	კოოპერაციული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	80
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

დასაბუთება ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ:

დირექტორის 2020 წლის 1 მაისის ბრძანებით №17 დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი”. პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რაც მოიცავს ბაზრის კვლევას, შეხვედრების ორგანიზებას პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და

პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, დაწესებულების რესურსების ანალიზს, კონსულტაციებს ადმინისტრაციასთან. შესაბამისად გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ სრულად ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიულ განვითარებას. მიზანშეწონილობის არგუმენტი მისაღებია თუ:

- არსებობს მოთხოვნა ან პროგნოზირებული მოთხოვნა შესაბამის უნარებზე, რაც დასტურდება კვლევებით და დამსაქმებლების ინიციატივებით;
- დაწესებულება აფართოებს მომსახურების/პროგრამების სპექტრს პროფილური მიმართულებით;
- პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარები იძლევა თვითდასაქმების/პიროვნული განვითარების/პიროვნების სოციალურ ინტეგრაციის შესაძლებლობას.

პროგრამის დამატების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით კოლეჯის მისიის კონტექსტი არ აჩენს კითხვის ნიშნებს, ვინაიდან დაწესებულების მისიაა თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის საგანმანათლებლო და სასწავლო საჭიროებების დაკმაყოფილებაში მრავალფეროვანი და ხარისხიანი პროგრამების შეთავაზებით. გარდა ამისა, სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, დაწესებულების ერთ- ერთი ამოცანაა ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დამატება. შესაბამისად, კოლეჯს წინასწარ აქვს გაწერილი სამოქმედო გეგმაში საგანმანათლებლო პროგრამების დამატების აქტივობა, რაც დასტურდება სამოქმედო გეგმის შესაბამისი აქტივობებით. ამასთან, კოლეჯი ამ ეტაპზე არც ცვლის და არც აფართოებს მიმართულებებს, რადგან აღნიშნული პროგრამა კოლეჯის მიერ უკვე წლებია ხორციელდება. საქართველოში ჯანდაცვის მიმართულება პრიორიტეტულია, რაც პროფესიას ხდის შრომის ბაზარზე ერთ-ერთ მოთხოვნად და დასაქმებად მიმართულებად. ასევე მნიშვნელოვანია ეროვნულ ბაზარზე, არსებული ფარმაცევტული კომპანიების „შპს „ავერსი ფარმას“, “ჯი პი სის“, „ფარმადეპოს“, „პსპ-ს“ და „იმპექსის““-ის ინიციატივები პროფესიული კადრის მიწოდება/დასაქმების შესახებ. კურსდამთავრებულთა უმეტესობა დასაქმდება შპს „პსპ აფთიაქი“-ს, შპს „ავერსი ფარმას“, შპს „გეფასა“ და შპს „ჯი პი სი“-ს სააფთიაქო ქსელებში, თუმცა თბილისში ამ ქსელური აფთიაქების გარდა კიდევ სხვა მრავალი ფარმაცევტული დაწესებულებები არსებობს.

ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათალება, რაც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტის (09110-პ) მოთხოვნასთან. პროგრამაზე განსაზღვრულია ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება. ჩარიცხვის პროცედურები კი ითვალისწინებს გამოცდების ეროვნული ცენტის მიერ ორგანიზებული გამოცდის ჩაბარებას ქიმიასა და ბიოლოგიაში.

ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, კერძოდ:

ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- AC გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური სამუშაო ადგილები);
- პრაქტიკის ობიექტის/პარტნიორი საწარმოს რესურსი;
- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ პროგრამების უმეტესი ნაწილი ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე. შესაბამისად, A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ დატვირთულია 50%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი რაოდენობა, რაც შეადგენს 348 პროფესიულ სტუდენტს. კოლეჯის ბაზაზე ორი B სასწავლო გარემოა განთავსებული. ერთ სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობაა - 20, ხოლო მეორე სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობაა - 10. სასწავლო გარემო B (კომპიუტერული ლაბორატორია 1), რომელშიც პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობაა 20, გამოიყენება ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის და ორი ცვლის პირობებში დატვირთულია დაახლოებით 61%-ით. ამას გარდა, კომპიუტერული ლაბორატორია გამოყენებულია ინფორმაციული წიგნიერების მოდულის სწავლების მიზნებისთვის. მოდულის განხორციელებისთვის საჭირო საწარმოო პრაქტიკის ობიექტის რესურსი საკმარისია ობიექტზე განაწილებული პროფესიული სტუდენტებისთვის. პრაქტიკის ობიექტთან/ პარტნიორ საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულებებით/მემორანდუმებით გათვალისწინებულია პრაქტიკის ობიექტზე/პარტნიორ საწარმოში მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა. შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა განახორციელოს სხვადასხვა მოდული, კვირაში მაქსიმუმ 40 საათიანი დატვირთვით.

ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ:

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. საგნმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური და სასწავლო რესურსი შესაბამისია მოდულების სწავლის შედეგების და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის დაწესებულების ბაზაზე გათვალისწინებულია:

1.სასწავლო გარემოს მოდელი -A გარემო-(აუდიტორია N6)-განკუთვნილია 40 პროფესიული სტუდენტისთვის და განთავსებულია: სამუშაო 40 მაგიდა- სკამი, 1 ცალი პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის). აქვე მოთავსებულია სააფთიაქო კარადები და ფარმაცევტული პროდუქციის სიმულაციური ნიმუშები.

2.სასწავლო გარემოს მოდელი B გარემო (აუდიტორია N2), რომელშიც განთავსებულია 20 პერსონალური კომპიუტერი განკუთვნილია 20 პროფესიული სტუდენტისთვის, ხოლო ერთი კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. (სულ21 კომპიუტერი), მაგიდები და სკამები სტუდენტებისა და მასწავლებლითვის, დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფა, და სხვა.

B სასწავლო გარემო ამ პროგრამის ფარგლებში საჭიროა მხოლოდ ერთ მოდულზე, რომლის ხანგრძლივობა არის 3 კრედიტი(მოდული ხორციელდება 8 კვირიდან 16 კვირის ჩათვლით სასწავლო გეგმის მიხედვით) კომპიუტერული აუდიტორიის დატვირთვა არ აღემატება 40 (ორმოცი) საათს კვირაში.

3.სასწავლო გარემოს მოდელი C გარემო - (აუდიტორია N 14 ტექნოლოგიურ - ბიოლოგიურ - ქიმიური ლაბორატორია განკუთვნილია 24 პროფესიული სტუდენტისათვის) თეორიული მეცადინეობებისა ქიმიური მაგიდები და სკამები 24 პროფესიული სტუდენტისათვის ჯგუფური მუშაობისთვის (2 ც ქიმიური მაგიდა 12 ადგილიანი +1 მაგიდა 24 ლაბორატორიული სკამი), რომელიც აღჭურვილია: პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (1ც მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით(1ც მონიტორი), დაფით(1 ცალი), სასწავლო თვალსაჩინოებებით /სასტენდო ვიზუალიზაციით, გამწოვი მოწყობილობით, კარადით ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადით რეაქტივებისათვის, რომელიც აღჭურვილია მოდულების განხორციელებისთვის აუცილებელი ინვენტარითა და აღჭურვილობით. მიკროსკოპებით, რეფერაქტომეტრით, კოლბებით, როდინებით და ყველა საჭირო ჭურჭლით პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად შპს„ბარაკონს“ გაფორმებული აქვს პარტნიორ ორგანიზაციებთან:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხელშეკრულება პროფესიული საგამანათლებლო პროგრამის /მოდულების პრაქტიკული ნაწილის განხორციელების შესახებ 5-05/23 14 12 2023 წ. გაფორმებული შპს „ავერსთან“;
- მემორანდუმი სს „გეფასთან“ 5-05 22 28 ივნისი 2022წ;
- მემორანდუმი შპს „იმპექსფარმთან“ 5-03 22 11 მარტი 2022წ

პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგს: პროგრამის სახელწოდება, ხელშეკრულების საგანს, მხარეთა უფლება მოვალეობებს, პრაქტიკანტ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობას (80), მომსახურების ღირებულებას და ანაზღაურების წესს, ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა, ფორს-მაჟორი, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი გაუქმებას. პრაქტიკის ობიექტი იღებს ვალდებულებას სასწავლო პროცესის განსახორციელებლად პროგრამის ფარგლებში მოემსახურონ კოლეჯის 80 პროფესიულ სტუდენტს. ხელშეკრულებაში აღნიშნული მოდულების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის სწავლებასა და შეფასებას მთელი პროგრამის განმავლობაში, სტუდენტებისთვის მატერიალურ-ტექნიკური სშუალებების ხელმისაწვდომობას, და უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი 8 მოდულის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას:

1. “სანიტარიულ ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში“;
2. „მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება-შეფუთვა, მარკირება“;
3. „პროდუქციის მიღება განთავსება, ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება“;
4. „მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებებში“;
5. „მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა“;
6. „მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა“;
7. „მომხმარებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის/საშუალებების შერჩევა“;
8. „მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა“.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 80 სტუდენტზე. დაწესებულება თითო მიღებაზე ღებულობს 40 პროფესიულ სტუდენტს. შესაბამისად, სწავლების მეორე წელს განხორციელდება 40 პროფესიული სტუდენტის მიღება და ამ შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა იქნება საერთო კვოტის - 80 პროფესიული სტუდენტის ფარგლებში. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით 80 სტუდენტზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან, კერძოდ:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ არ მოიცავს არჩევით მოდულს, შესაბამისად კრედიტების რაოდენობა პროგრამისთვის არის 120.

ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ დამტკიცებულია შპს ბარაკონის“დირექტორის 2019 წლის 17 ივნისს N36 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია დირეტორის ბრძანებით 2025 წლის 7 აგვისტოს N91).

ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ:

პროგრამის სახელწოდება ფარმაცია (სააფთიაქო) შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „ფარმაცია (სააფთიაქო)“ ანალოგიურია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდების, აქედან გამომდინარე, შესაბამისია პროგრამის შინაარსის და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, მოქმედ საგანმანათლებლო სტანდარტს. დაწესებულების მიერ წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (3 ზოგადი მოდული, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 26 პროფესიული მოდული, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით), სასწავლო გეგმა, ინფორმაცია დისტანციური სწავლების შესაძლებლობების, ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა (120 კრედიტი ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის, 150 კრედიტი არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 21 სასწავლო თვე (82 კვირა) პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებსაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია და 29 სასწავლო თვე (116 კვირა) არაქართულენოვანი პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტებისთვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია ფარმაცია (სააფთიაქო) ჩარჩო დოკუმენტი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy, მეხუთე დონე, უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში - 0916. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულების წინაპირობებს (მათ შორის ლოგიკურსაც), დაცულია დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისთვის,(10 დღე) პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო დატვირთვა არ აღემატება დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის დირექტორის №17/01.05.2020 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი";
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" ;
- ხელშეკრულება პროფესიული საგამანათლებლო პროგრამის /მოდულების პრაქტიკული ნაწილის განხორციელების შესახებ 5-05/23 14 .12 2023 წ. გაფორმებული შპს „ავერსთან";
- მემორანდუმი სს „გეფასთან" 5-05 22 28 ივნისი2022წ;
- მემორანდუმი შპს „იმპექსფარმთან" 5-03 22 11 მარტი 2022წ;
- საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)" დამტკიცებულია შპს ბარაკონის"დირექტორის 2019 წლის 17 ივნისს N36 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2025 წლის 7 აგვისტოს N91 დირეტორის ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით 2018 წლის 29 ნოემბერს (ბოლო ცვლილება დირექტორის მიერ 2020 წლის 30 მარტი ბრძანება N12) დამტკიცებული "მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის წესი;
- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებებით - განთავსებული ვებგვერდზე.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ:

დაწესებულება "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)" თეორიულ კომპონენტს ახორციელებს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. N4, სადაც პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები:

გარემო A აფთიაქის მოდელით თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის 40+1 სამუშაო ადგილით. აუდიტორიები აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი). სააფთიაქო აღჭურვილობით.

B-1 გარემო/კომპიუტერული კლასი - აუდიტორია პროფესიული სტუდენტისთვის 20+1 სამუშაო ადგილით სკამით და მაგიდით. აუდიტორია აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პრინტერი).

B -2 გარემო/კომპიუტერული კლასი - აუდიტორია პროფესიული სტუდენტისთვის 10+1 სამუშაო ადგილით სკამით და მაგიდით.. აუდიტორია აღჭურვილია სადემონსტრაციო საშუალებებით, დაფებით, მასწავლებლისთვის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, კომპიუტერი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრინტერი). ექსპერტების მიერ გადამოწმდა B გარემოს გამტარუნარიანობა, გამომდინარე იქედან, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია (სააფთიაქო), რომელიც საჭიროებს პროგრამული უზრუნველყოფის შესწავლას, ხორციელდება დარგობრივ კაბინეტში. B გარემო, არსებული აღჭურვილობით, გამტარუნარიანია საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული წიგნიერების“ მოდულის განხორციელებისთვის.

C გარემო - ქიმიურ-ბიოლოგიური - ტექნოლოგიური ლაბორატორია- განკუთვნილია 24 პროფესიული სტუდენტისათვის. C გარემოში განთავსებულია: სველი წერტილი, სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი კარადა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის, რეაქტივები, მაშრობი კარადა, მაცივარი, რეფრაქტომეტრი, მიკროსკოპები, შტატივები, სითხოვანი წამალთფორმების დასაფასოებელი ჭურჭელი თავსახურებით, წყლის აბაზანა, სამკურნალო მცენარეული ნედლეულის წყლის შთანთქმის კოეფიციენტების ცხრილები, ალკოჰოლომეტრული ცხრილები, ხსნარის მოცულობითი ზრდის კოეფიციენტების ცხრილები, მილესილსაცობიანი კოლბები, გრადუირებული გამზომი ცილინდრები (10, 50, 100, 500 მლ), მინის კოლბები, შტანგლასები, წყლის აბაზანა, თერმომეტრების ნაკრები, სასწორები (ხელის), საწონების კომპლექტი, სპირტქურები, როდინები, არეომეტრები, ნორმატიულ–ტექნიკური დოკუმენტაცია მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადების წესებთან დაკავშირებით, მიკროსკოპები, ლუპა და სხვა. კედლებზე გაკრულია ქიმიურ ლაბორატორიაში უსაფრთხოდ მუშაობის წესები, აუდიტორიაში განთავსებულია ცეცხლმაქრები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულება შპს „ავერსთან“; მემორანდუმები შპს“ იმპექსთან“ და სს „გეფასთან“. ხელშეკრულებას თან ახლავს პრაქტიკის ობიექტზე განსახორციელებლი მოდულების ჩამონათვალი, პრაქტიკის მოცულობის შესახებ ინფორმაცია. დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 80 პროფესიულ სტუდენტს. საგანმანათლებლო პროგრამის 26 მოდულიდან, სასწავლო გეგმით 8 მოდული ხორციელდება პრაქტკის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებაში, შპს „ავერსში“-ში,სს „გეფა“-ში, „იმპექსში“ რომლებიც უზრუნველყოფენ ყოველწლიურად თითოეული 40 სტუდენტის მიღებასა და პრაქტიკული კომპონენტის გატარებას. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, როგორც დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ისე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ობიექტი თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსით, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 28 პირი, მათ შორის 8 ზოგადი მოდულების განმახორციელებლი, ხოლო დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი - 24. ყველა პროფესიული პედაგოგი თავისი საქმის პროფესიონალია, კარგად იცნობს მოდულს, ზოგი მათგანი ჩართული იყო აღნიშნული პროგრამის შემუშავებაში და შეფასების სისტემის ბანკის შექმნის სამუშაოებშიც. ეს დასტურდება მათი დოკუმენტაციით და გამოკითხვის შედეგებით. აგრეთვე ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა პერსონალის დატვირთვის ფურცლები. წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კერძოდ:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შემოწმდა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები (კვალიფიკაციის, სწავლების ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია). შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. ვიზიტის ფარგლებში, ექპერტები გაესაუბრნენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს. ყველა მათგანი არის კვალიფიციური და გამოცდილი, პროფესიული განათლების მასწავლებლები იცნობენ პროგრამას, მონაწილეობას იღებენ მოდულების ადაპტირებაში, აქვთ ინფორმაცია მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში. გავლილი აქვთ როგორც კოლეჯის, ისე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის სწავლებით.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროგრამის ხელმძღვანელი შესაბამისი დარგობრივი განათლების მქონე პირი, მოქმედი დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს დარგობრივი საქმიანობისა და სწავლების, მათ შორის პრაქტიკული სწავლების, მრავალწლიანი გამოცდილება. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება პირის შესაბამისობა საკანონმდებლო, დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებსა და დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებთან შესაბამისობა, რომელიც გაწერილია დირექტორის 2024 წლის 2 სექტემბრის N 01-15 ბრძანებით დამტკიცებულ პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობაში. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელების, ისე პროგრამის ადმინისტრირების პროცესებში, შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ფარგლებში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერიოდულად ესწრება მეცადინეობებს, ინტერესთა კონფლიქტის პრინციპების დაცვით, საჭიროებისამებრ ერთვება შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესებში. ზრუნავს პროგრამისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარებაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსი (ბეჭდური და ელექტრონული) განთავსებულია ბიბლიოთეკაში. დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის ყველა კომპიუტერში, ასევე დარგობრივი კაბინეტების კომპიუტერებში. დაწესებულების ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია საბიბლიოთეკო საძიებო სისტემა სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით. ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები, რომლებიც მატერიალური სახით ინახება ბიბლიოთეკაში, მათი უმრავლესობა გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე. პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსები - ნორმატიული აქტების კონსოლიდირებული ვერსიები ხელმისაწვდომია პროგრამის ხელმძღვანელისთვის და პერსონალისთვის. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, კერძოდ:

დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 28 მარტის №50 ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელდა დირექტორის ბრძანებით 2024 წლის 28 აპრილს) დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც მე-16 მუხლში გაწერილია "ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი. დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირებისათვის ინიდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის კოლეჯის ინფრსატრუქტურის და საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. დაწესებულებას შიდა რეგულაციით იდენტიფიცირებული აქვს სხვადასხვ შეზღუდვების/საჭიროებებიდან გამომდინარე ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მექანიზმები, როგორიცაა ტექნიკის/პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, სასწავლო რესურსების ადაპტირება (შინაარსობრივი, ვიზუალური), დამატებითი მომსახურების მიწოდება (სპეციალისტების ჩართვა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავება და სხვა. დაწესებულებაში არსებული გარემო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებულ სერვისებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმისაწვდომობას. ასევე დაწესებულებას ყავს შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე ინკულიზიური განათლების სპეციალისტი, რომელთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.

ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კოლეჯში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო), ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ფინანსურად მდგრადია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენილი ბიუჯეტის მაჩვენებლების მიხედვით. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. ხარჯვითი ნაწილი მოიაზრებს: ადმინისტრაციის და პროფესიული მასწავლებლების ხელფასის ხარჯს, პროფესიული მასწავლებლებისა განვითარების, კომუნალური გადასახადების ხარჯს, მასალებისა და ნედლეულის და სხვა ხარჯს. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება. პროგრამის განხორციელების ხარჯები ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე: მასწავლებლის და ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება, პრაქტიკის განხორციელების ხარჯი, სასწავლო მასალები და კომუნალური ხარჯები, რეკლამისა და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები. პროგრამის რენტაბელობის ზღვარია 16 პროფესიული სტუდენტი. პროგრამისა და პსდ-ს ბიუჯეტის ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს „ბარაკონის“ საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ თანდართული დოკუმენტაციით;
- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულება პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ;
- ვიზუალური დათვალიერებისა და გასაუბრების შედეგები დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ, კერძოდ:

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, პროცესების კონტროლს, რაც დაფუძნებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ მოდელზე. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დაწესებულებას ჩამოყალიბებული აქვს რეგულაციის სახით. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სწავლის შდეგების შეფასების სისტემას, სადაც დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესების, შესახებ. შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვას. შეფასების პროცესის შესახებ პროფესიული სტუდენტის ინფორმირება ევალება მოდულის განმახორციელებელ პირს. პროფესიული მასწავლებელი ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების მტკიცებულებების განთავსება სტუდენტთა პორტფოლიოში. შეფასების სისტემა გამორიცხავს ინტრესთა კონფლიქტს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება/ვალიდაციის პროცესში. ასევე დოკუმენტით გაწერილია იმ პირთა და პროცესების წრე, რომელთა კვლევის შედეგადაც ხდება შეფასება. დაწესებულების ხარისხის მართვის სისტემის პრინციპების მართვა ხორციელდება ISO 9001-2015 -ის მოთხოვნებისა და შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვლევების განხორციელების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო და სხვადასხვა სახის კითხვარები, რომელთა გამოყენებით ატარებს დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, ადმინსტრციული პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პრაქტიკის ობიექტის, დამსაქმებლების) გამოკითხვას საგანმათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის/რესურსების, მათ შორის, დაწესებულების, საკმარისობისა და ეფექტიანობასთან მიმართებით. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ასევე გამოკითხვის პერიოდულობა/სიხშირე. შეფასების წესი მოიცავს განმეორებითი შეფასების, შუალედური და საბოლოო შეფასებების, შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესების ადმინისტრირების საკითხებს. კვლევის შედეგები/ანგარიშები საჯაროა, გამოქვეყნებულია დაწესებულების ვებგვერდზე.

ხარისხის მექანიზმების თანხმად, პროფესიული განმანათლებლო პროგრამების განხორციელების და შეფასების მიზნით, დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე, იქმნება შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დაწესებულების ადმინისტრაციის სხვა წამომადგენელი/წარმომადგენლები და პროფესიული განმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. შიდა მხარდაჭერის ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ჯგუფი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი. გეგმა ითვალისწინებს: სასწავლო პროცესზე დასწრებას, დაკვირვების კითხვარების შეგროვება-ანალიზს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ შიდა მხარდაჭერის ჯგუფის აქტივობები პრაქტიკაში ხორციელდება. ჯგუფის წევრები აგროვებენ ინფორმაციას და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლის საფუძველზე, პროგრამის განხორციელების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი განახორციელებს მის უფლებამოსილების ფარგლებში ცვლილებებს ან უზრუნველყოფს განათლების ხარისიხს ეროვნული ცენტრის ინფორმირებას.

ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ: კოლეჯში მუდმივად **აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს, კერძოდ:**

გამოკითხვის/კვლევების ანალიზის და გამოკვეთილი რეკომენდაციების საფუძველზე, მისი შინაარსიდან გამომდინარე, პროგრამაში ცვლილების განხორციელებისათვის შესაძლებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება პროგრამის შემუშვების ეტაპების ანალოგიურად. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი, რისთვისაც გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხისუზრუნველყოფის მექანიზმები;
- შპს "ბარაკონის" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- დირექტორის 2020 წლის 1 მაისი ბრძანებით №17 დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,განხორციელების,შეფასების, ცვლილების და გაუქმების წესი;
- ფაქტობრივი გარემოება და ინტერვიუირების შედეგები პროფესიულ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, კერძოდ:

პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება, საწავლო გემაში ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პსდ-ს მოთხოვნების თანახმად შემუშავებული აქვს ორი სასწავლო გეგმა - ქართულენოვანი და არაქართულენოვანი კონტიგენტებისთვის. გეგმა გაწერილია 2 აკადემიურ წელზე - არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის პროგრამის ხანგრძლივობაა 29 სასწავლო თვე, 116 სასწავლო კვირა, ხოლო არა ქართულენოვანი კონტიგენტისთვის 21 სასწავლო თვე, 82 სასწავლო კვირა. საგანმანათლებლო პროგრამით კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ დაცულია მოდულების წინაპირობები. წინაპირობების არსებობის შემთხვევაში დაცულია განმეორებითი დადასტურებისთვის გონივრული ვადები.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, კერძოდ:

დაწესებულებას „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ გაწერილი აქვს ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცედურები. დაწესებულება ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილავს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ ხორციელდება. მაგ: სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში, შიდა/გარე მობილობა, დამატებითი შეფასების საჭიროება, პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები. სტუდენტთა მომსახურებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს აკადემიის სხვა სტრუქტურული ერთეულების ინფორმირებას და ჩართულობას. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ დამატებითი კონსულტაცია, ინფორმაცია საგანმანათლებლო სერვისებთან და პროგრამასთან დაკავშირებით, როგორც ადმინისტრაციისგან, ისე პროფესიული განათლების მასწავლებლისგან. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების, ასევე მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, კერძოდ:

სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება ელ-რესურსები. ასევე მოდულებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქციული მეთოდები: ინეტრაქციული ლექცია, დემონსტრირება, პრეზენტაცია, გონებრივი იერიში, ფოტო-ვიდეო მასალების ჩვენება-განხილვა, ჯგუფური სამუშაო, პრაქტიკული შემთხვევების და კრიტიკული შემთხვევების განხილვა, როლური თამაში, პრაქტიკული დავალება და სხვ. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის შერჩეულია დარგის ლიდერი კომპანიები, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და ტექნოლოგიებით. გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართულები არიან პროფესიული განათლების სისტემაში განხორციელებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროექტებში (საგანმანათლებლო პროგრამის განხილვა/ცვლილებების ინიცირება), ასევე გადიან სხვადასხვა ტრენინგებს, მუდმივად ეცნობიან დარგის სიახლეებს და ზრუნავენ პიროვნულ განვითარებაზე.

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, კერძოდ:

დირექტორის 2022 წლის 28 აპრილის N50 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის ბრძანება N21/28.02.2024) წესში გათვალისწინებულია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. კოლეჯს გაწერილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურა, რომელიც პროფესიული სტუდენტის ჩართულობის გზით უზრუნველყოფს მისთვის ოპტიმალური ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას და დამტკიცებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება დგება შემდეგ შემთხვევებში: სსსმ პირებისთვის, პროფესიული სტუდენტის მობილობისას, სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის, ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო/საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას, პროფესიული სტუდენტებისთვის ფორსმაჟორული ვითარების დროს, სხვა შემთხვევები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა და სპეციფიკა დიფერენცირებულია სხვადასხვა საჭიროებების დადგომის შემთხვევების მიხედვით. პროფესიულ სტუდენტთა/კანონიერ წარმომადგენელთა ჩართულობა და მათი ინტერესების გათვალისწინება, განსაზღვრულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. ასევე, დაწესებულებას ყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ინკლუზიური განათლების სპეციალისტი.

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, კერძოდ:

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ავერსთან“ და მემორანდუმები შპს „იმპექსთან“, სს „გეფასთან“. ხელშეკრულებაში დარეგულირებულია: ხელშეკრულების საგნის შესახებ ინფორმაცია, მომსახურების პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები, მოდულების (8 პროფესიული მოდული) და სწავლის შედეგების დასახელება, საათობრივი დატვირთვა, რომელიც განხორციელდება ბაზაზე, თანამშრომლობის ვადა, ორგანიზების საკითხები, კომპანიის გამტარუნარიანობა (სულ 80 პროფესიული სტუდენტის მიღება), მატერიალურ - ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობა და უსაფრთხოება. დაწესებულება უზრუნველყოფს სწავლების განხორციელებას შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების დაცვით. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და ჯანმრთელობ. ასევე ხელშეკრულებაში გაწერილია კოლეჯსა და პარტნიორს შორის კოორდინაციის საკითხები. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტიორი ორგანიზაციის წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა, რომ იცნობს ხელშეკრულებით და მოდულით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (მათ შორის მოდული, სასწავლო გეგმა, შეფასების ინსტრუმენტის შედგენა, ვალიდაცია, ვერიფიკაციის პროცესები).

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კერძოდ:

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამის ფარგლებში A და B სასწავლო გარემოში განხორციელებული მოდულები არ საჭიროებს, სპეციფიურ უსაფრთხოებას. მოდულების პრაქტიკული კომპონენტი, რომლებიც ხორციელდება კოლეჯის ლაბორატორიაში (C გარემოში) განთავსებულია ცეცხლმაქრი, გამწოვი კარადა. კედელზე გამოკრულია ქიმიურ ლაბორატორიაში უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქცია, რომელთა დაცვა ევალება ლაბორატორიაში მყოფ ყველა პირს. კოლეჯის მიერ ასევე შემუშავებულია „შპს ბარაკონის სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები“. უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება შპს ეკო ლაინ-თან, რომელიც უზრუნველყოფს სამედიცინო, სახიფათო, სარისკო ნარჩენების გაუნებელყოფის სამუშაოების ჩატარებას. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში განხორციელდა გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან. ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა მიღება- ჩაბარების აქტი შესრულებული სამუშაოს შესახებ შპს ეკო ლაინ-თან, რომლითაც დასტურდება ზემოხსენებული საქმიანობის პრაქტიკული განხორციელება.

ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- კოლეჯის ვებგვერდზე www.barakoni.edu.ge განთავსებული ინფორმაცია ტრენინგების შესახებ;
- კვლევის ანგარიში 2024 (პროგრამების შეფასება);
- შპს ავერსი-ფარმასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების გეგმა;
- უსაფრთხოების ტექნიკა ქიმიურ ლაბორატორიაში;
- დაწესებულების სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებული მასალებისა და ნედნეულის შესყიდვის, შენახვის, გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და ნარჩენების უტილიზაციის წესები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- წესრიგის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფის წესი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, კერძოდ: დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. ამ წესი მე-11 მუხლში გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესი, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტითა და მოდულებით. წესის მიხედვით არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: სწავლის შედეგი დადასტურდა, სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა. მოდულის კრედიტები ათვისებულად ითვლება მოდულის ყველა სწავლის შედეგის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადასტურების შემთხვევაში. **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-11 მუხლის 7 პუნქტში გაწერილია: შეფასების ინსტრუმენტი მუშავდება „შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების ინსტრუქცი“-ის შესაბამისად და მოდულის სწავლის შედეგის დადასტურებამდე მოდულის განმახორციელებლის მიერ, ვალიდაციის მიზნით თანხმდება სხვა მოდულის განმახორციელებელთან ან პროგრამის კოორდინატორთან და დირექტორის მოადგილესთან ან სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტთან, რომლებიც წარმოადგენენ ვერიფიკატორებს (შემდგომ - შიდა შემმოწმებელი).** შეთანხმებული შეფასების ინსტრუმენტი გამოიყენება შეფასების პროცესში. შეფასების თარიღს ადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელი და აცნობებს პროფესიულ სტუდენტებს შეფასების განხორციელებამდე სულ მცირე 5 დღით ადრე. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს წინაპირობიანი მოდულის დაწყების შემდგომაც, რომელზეც ის არ არის დაშვებული, მოითხოვოს იმ მოდულის განმეორებითი შეფასება, რომელიც წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას. საჭიროების შემთხვევაში, დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის შემუშავებაში პირი უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად, ასევე მეილზე გაგზავნილი ინსტრუმენტებით დასტურდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართულნი არიან ვალიდაციის პროცესში და შემდგომ ხორციელდება ინსტრუმენტის შეთანხმება. ექსპერტთა ვიზიტის დროს ასევე მოთხოვნილ იქნა ვალიდაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ფარმაცია(სააფთიაქო) შემავალი ერთ-ერთი მოდულის „ბოტანიკა“ შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც ნამვილად იყო ვალიდური, თუმცა ვალიდაციის პროცესში არ იყო დაფიქსირებული, რომ შეფასების ინსტრუმენტის შეთანხმება მოხდა დაწესებულების მიერ „შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების ინსტრუქცი“-ის მიხედვით. **ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაცია,** დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტში გაწერილია ვალიდაციის პროცედურა, რომელიც საჭიროებს კორექტირებას, კერძოდ, „ვერიფიკატორის“ ნაცვლად გამოიყენონ ტერმინი „ვალიდატორი“. ასევე, რამდენადაც, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია და შეფასების შიდა ვერიფიკაცია, ორივე მიემართება პსდ სტანდარტების 2.4.2 კრიტერიუმს, სასურველია მარეგულირებელ აქტებში თანმიმდევრულად იყოს გაწერილი პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები (ვალიდაცია, ვერიფიკაცია). ასევე, ინსტრუმენტის ვალიდაციის დროს, ვალიდატორმა უკუკავშირით დაადასტუროს, რომ ინსტრუმენტი შეითანხმა დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების ინსტრუქციის მიხედვით. (დირექტორის ბრძანება, N53/12.08.2021 ბოლო ცვლილება ბრძანება N20/26.02.2024). ეს პროცესი შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მატერიალური ფორმით, ასევე, ელექტრონული მიმოწერით, ვალიდატორების ოფიციალურ მეილებზე.

ინდიკატორი 2.4.2.1. შესაბამისობაშია

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაციის მექანიზმი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც მიზნად ისახავს შეფასების პროცესისა და გამოყენებული ინსტრუმენტების მართვას, რათა შეამოწმოს მათი ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა და სამართლიანობა. ამ პროცესში ჩართულ მხარეებთან ინტენსიური თანამშრომლობა და სისტემატიური ანალიზი უზრუნველყოფს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამებოდეს ხარისხის სტანდარტებს. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ძირითადი ამოცანებია:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსობრივი ასპექტების შეფასება;
- სწავლა-სწავლების პროცესის მიმდინარეობის ადეკვატურობის დადგენა;
- გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების რელევანტურობის შეფასება შესაფასებელ სწავლის შედეგებთან;
- მტკიცებულებათა ავთენტურობის და მოდულის განმახორციელებელი პირების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება;
- მოდულის განმახორციელებელი პირების საქმიანობის შეფასება;
- პროგრამის კურსდამთავრებულთა საქმიანობისა და მათი დამოკიდებულების შესწავლა;
- პარტნიორ ორგანიზაციათა და პოტენციურ დამსაქმებელთა დამოკიდებულების შესწავლა;
- პრობლემების გამოვლენა, მათი აღმოფხვრის გზების დასახვა და რეკომენდაციების შემუშავება.

შესაბამისად, შეფასების პროცესში შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სტანდარტის მიხედვით, მოწმდება თუ არა მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებები ობიექტურია თუ არა. ამ მიზნით ყოველწლიურად დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით იქმნება ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელსაც საერთო ხელმძღვანელობას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ვერიფიკაციის ჯგუფში შედიან დარგის მასწავლებლები. დარგის სპეციალისტი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, ვერ შეამოწმებს იგივე ინსტრუმენტს. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება:

- შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის შესაბამისად, ვერიფიკაციის პროცესი იწყება ვერიფიკაციის გეგმის შემუშავებით და სრულდება ვერიფიკაციის ანგარიშის შედგენითა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგით. ვერიფიკაციისას არ განიხილება ყველა სტუდენტის მტკიცებულებები, თუმცა დაწესებულება თავად განსაზღვრავს საკმარისი რაოდენობის ნამუშევრების შერჩევას იმისთვის, რომ მოდულის ფარგლებში დადგინდეს, რამდენად ობიექტურია მასწავლებლის შეფასება და რამდენად იცავს ის სტანდარტს. შერჩევის რაოდენობაზე გავლენას ახდენს რისკ-ფაქტორები. შესაბამისად, რისკ-ფაქტორების ანალიზმა შეიძლება განაპირობოს შერჩევის ზომის ზრდა. ვერიფიკატორის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მუშავებულ ვერიფიკაციის დასკვნაში, ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო ან არ იყო პროფესიული სტუდენტის შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. ვერიფიკატორების მიერ შემუშავებული დასკვნების განხილვა ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე და ახორციელებენ შემდგომ ნაბიჯებს შეფასების სისტემის განვითარების მიზნით. დაწესებულებას გაწერილი აქვს, რომ საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია იდენტიფიცირებული შეუსაბამობა გაიწეროს სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ აქტივობად, ან უშუალოდ იდენტიფიცირებული შეუსაბამობიდან გამომდინარე, ცალკე შემუშავდეს გაუმჯობესების უზრუნველყოფის გეგმა. ვერიფიკატორების დასკვნების განხილვის შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მუშავდება ერთიანი ვერიფიკაციის ანგარიში, რომელიც წარედგინება დირექტორს.

ექსპერტთა ვიზიტის დროს შემოწმდა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა გასაუბრება ვერიფიკაციის პროცესში ჩართულ პირებთან. 2024 წლის 31 მაისსის დირექტორის N64 ბრძანებით შქმნილია ვერიფიკაციის ჯგუფი. ვერიფიკაციის პროცესში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შესაბამისი რისკ- ფაქტორები:

- დამწყები პროფესიული განათლების მასწალებელი;
- კოლეჯის ახალი პროფესიული განათლების მასწავლებელი, მოდულში პრაქტიკული დავალებების სიმრავლე 3 და მეტი;
- ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შეფასებული 5 და მეტი სწავლის შედეგი;
- ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შეფასებული 3-4 სწავლის შედეგი;
- ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შეფასებული 1-2 სწავლის შედეგი;
- დაწესებულებაში (შპს ბარაკონი) მუშაობის რამდენიმეწლიანი (5 წლამდე) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- დაწესებულებაში (შპს ბარაკონი) მუშაობის მრავალწლიანი (5 და მეტი წელი) გამოცდილების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი.

დაწესებულებას თითოეული რისკ-ფაქტორი დაყოფილი აქვს დაბალ,საშუალო, მაღალ და კრიტიკუ რისკ-ფაქტორად. ასევე მოცემულ რისკ-ფაქტორებს მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა. დაბალი რისკ-ფაქტორი 1 ქულა, საშუალო რისკ-ფაქტორი 2 ქულა, მაღალი რისკ-ფაქტორი 3 ქულა, კრიტიკული რისკ-ფაქტორი 4 ქულა. 2024 წლის ვერიფიკაციის დასკვნაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) შემავლ მოდულზე „ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები“ გაცემული შემდეგი რეკომენდაცია, კერძოდ: მოდულის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი და რეკომენდირებულია მე-7 და მე-8 შედეგების გადახედვა. ხოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულში „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ მე-4 და მე-5 შედეგში სიტუაციურ პრაქტიკულ დავალების აღმწერ ცხრილში პაციენტის ვიტალური პარამეტრები აღწერილია არასწორად, ასევე დავალების შეფასების კრიტერიუმები, რიგ შემთხვევაში არ იძლევა დადებითად შეფასების საშუალებას და მიზანშეწონილია გადაიხედოს დადასტურების პირობებს. დაწესებულებას ორივე მოდული შეფასებული აქვს მაღალ რისკ-ფაქტორად და მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა. ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის ვერიფიკაციის ანგარიში. დირექტორის 2025 წლის 30 მაისის N51 ბრძანებით შექმნილია ვერიფიკაციის ჯგუფი, ვერიფიკაციის ჯგუფში შედიან ის პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა ინსტრუმენტის შექმნაში, ამას ადასტურებს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებაც. ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ შესწავლილია საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) 2024-2025 წელს შემუშავებული მოდულების მტკიცებულებები, სადაც 2024 წლის ვერიფიკაციის დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები, რაც ეხებოდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაციაში (სააფთიაქო) შემავლ მოდულებს „ნივთიერებათა კლასიფიკაცია და მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები“, „პირველადი გადაუდებელი დახმარება“ შესრულებულია. დაწესებულება ინსტრუმენტის ვერიფიკაციას ახორციელებს, მატერიალური და ელექტრონული ფორმით. ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა ვერიფიკატორების მიერ შევსებული (ვერიფიკაციის დასკვნის ფორმა), სადაც დეტალურად გაწერილია: მოდული/სწავლის შედეგი, შემფასებელი, შეფასების პერიოდი, ვერიფიკატორი, ვერიფიკაციის ჩატარების პერიოდი და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. თუმცა ვერიფიკატორების მიერ შევსებული ვერიფიკაციის დასკვნის ფორმა არ ითვალისწინებს ვერიფიკატორების ხელმოწერას. **ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაცია,** ვერიფიკატორების მიერ შევსებულ (დასრულებულ) ვერიფიკაციის დასკვნის ფორმაში გაჩნდეს ვერიფიკატორების ხელმოწერა. შესაბამისად, დაწესებულებას ექნება ვერიფიკაციის დოკუმენტის უფრო მყარი მტკიცებულება.

ინდიკატორი 2.4.2.2. შესაბამისობაშია

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, კერძოდ:

კოლეჯის მოქმედი რეგულაციით შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, მტკიცებულებების, ინფორმაციის სათანადო აღრიცხვა და შენახვა უზრუნველყოფილია. მოდულის დასრულების შემდეგ, მოდულის განმახორციელებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტს, რომელიც აღრიცხავს ელექტრონულად და ინახავს შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, სპეციალურად მტკიცებულებებისთვის გამოყოფილ ადგილას. მტკიცებულებები 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში ნადგურდება ან მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს. მტკიცებულებები დაცულია უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად. დოკუმენტების შენახვა და მართვა ხორციელდება საქმისწარმოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათ სანდოობას, უსაფრთხოებას და ადვილად ხელმისაწვდომობას. რეგულაციის და არსებული მდგომარეობის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ კოლეჯი ეფექტურად უზრუნველყოფს შეფასების პროცესთან დაკავშირებული მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.

ინდიკატორი 2.4.2.3. შესაბამისობაშია

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ:

დაწესებულება იყენებს განსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას პროფესიულ სტუდენტთა განვითარების ხელშეწყობისთვის. შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამის განმახორციელებელი პირები ნერგავენ ახალი მიდგომებს და ინიციატივებს, ხოლო შეფასების შედეგების საფუძველზე ინიცირებული ცვლილებები და რეკომენდაციები ეხმარება განვითრებაში როგორც სტუდენტებს, ასევე სასწავლო პროცესს მთლიანობაში.

ინდიკატორი 2.4.2.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები)

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- კვლევის ანგარიში 2024 (პროგრამების შეფასება) ;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- სამოქმედო გეგმის შვალედური ანგარიში 2025;
- შევსებული ერიფიკაციის დასკვნის ფორმა;
- გასაუბრება შესაბამის პირებთან;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის „საექთნო საქმე" შესახებ

IV.ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/ Higher Vocational Qualification in Nursing
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცებულია დირექტორის ბრძანება № 36/17.06.2019 ცვლილება დირექტორის ბრძანებაN91/07.08.2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ანა პოლიტოვსკაიასN4 (ყოფილი ჯიქია),სართული N6
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	180
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

V. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	180
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

დასაბუთება.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „საექთნო საქმე “ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ:

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა “ საექთნო საქმე” სრულად შეესაბამება კოლეჯის მიერ ჩამოყალიბებულ მისიას. შესაბამისობა ჩანს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: მრავალპროფილური საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება. მისიაში აღნიშნულია, რომ კოლეჯი მრავალპროფილურ საგანმანათლებლო პროგრამებს სთავაზობს დაინტერესებულ პირებს. საექთნო საქმე ერთ-ერთი მათგანია და წარმოადგენს მაღალი საზოგადოებრივი საჭიროების მქონე პროფესიას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ჯანმრთელობის დაცვასა და მოსახლეობის კეთილდღეობას. სამედიცინო და ჯანდაცვის სექტორი ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, სადაც სახელმწიფოსა და კერძო კლინიკების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია. "საექთნო საქმის" პროგრამის განხორციელება ეფუძნება ამ პრინციპს, რადგან სასწავლო პროცესში აქტიურად არის ჩართული როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სამედიცინო დაწესებულებები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას. ექთნის პროფესია მოითხოვს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. კოლეჯის მისია განათლების მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიღების შესაძლებლობას გულისხმობს, რაც სრულად შეესაბამება "საექთნო საქმის" დინამიკას – ექთნებს მუდმივად სჭირდებათ გადამზადება, ახალი მეთოდებისა და ტექნოლოგიების სწავლა. მისიაში ასევე ნათქვამია, რომ კოლეჯი ზრუნავს კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებასა და გადამზადებაზე, რომლებიც შესაბამისობაში იქნებიან თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. "საექთნო საქმის" პროგრამა მოიცავს იმ პრაქტიკულ და თეორიულ კომპონენტებს, რომლებიც ექთნების დასაქმებას უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე.

საექთნო პროფესია გლობალურად მოთხოვნადია, რაც ნიშნავს, რომ პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ დასაქმების პერსპექტივა ,როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. კოლეჯის მისია განსაკუთრებით ხაზს უსვამს, რომ კურსდამთავრებულები უნდა ფლობდნენ როგორც თეორიულ ცოდნას, ისე პრაქტიკულ უნარებს. "საექთნო საქმის" პროგრამა სწორედ ამ პრინციპს ემყარება, რადგან სწავლების მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავს კლინიკურ პრაქტიკას, რაც სტუდენტებს ეხმარება ცოდნის რეალურ სამუშაო გარემოში გამოყენებაში. შესაბამისად, კოლეჯის "საექთნო საქმის" საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება მისიას. ის მრავალპროფილური განათლების ნაწილია და აკმაყოფილებს სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობის მოთხოვნებს. პროგრამა უზრუნველყოფს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას და შრომის ბაზრის საჭიროებებზე მორგებული კადრების მომზადებას. სწავლების პროცესში სტუდენტები იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც სრულად შეესაბამება მისიის მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებს.

აქედან გამომდინარე, დაწესებულების მიერ მიღებული გადაწყვეტილება "საექთნო საქმე" პროგრამის განხორციელების შესახებ დასაბუთებულია და ემყარება მისიას. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება ერთ-ერთი საკვანძო პრიორიტეტია. მისი მიღწევა შესაძლებელია რამდენიმე ძირითადი მიმართულებით:

1. შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა
2. სწავლების ხარისხის გაუმჯობესება
3. პროგრამების საერთაშორისო შესაბამისობა და სხვა

აღნიშნული სტრატეგიული მიზნის მიღწევა გულისხმობს პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას, ინკლუზიურობის გაძლიერებას და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. ამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიდგომით, კოლეჯი უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების მიწოდებას და ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა პროფესიულ წარმატებას.

ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ:

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია, ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით“, რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, დასრულებული პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებას (ცვლილება 26.09.2019 N203/ნ). "საექთნო საქმის" საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა– სრული ზოგადი განათლება – სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. პროცედურა კი გულისხმობს გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებული პროფესიული ტესტირების საფუძველზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში, განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაშვების წინაპირობის დაცვა უზრუნველყოფს სწავლის პროცესის ეფექტურობას და პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, კერძოდ:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი მეთოდოლოგიით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. დამტკიცებული მეთოდოლოგია ზღვრული რაოდენობის განსაზღვისათვის ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს, მათ შორის:

- ✓ სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს;
- ✓ ადამიანური რესურსის საკმარისობას;
- ✓ პროგრამის განხორციელების სპეციფიკას და მიდგომებს;
- ✓ საპროგნოზო ბიუჯეტის გათვალისწინებით დადგენილ რენტაბელობის ზღვარს;
- ✓ სწავლების სხვადასხვა მოდელების გამოყენების შესაძლებლობას;
- ✓ პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის მოთხოვნებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ✓ პროგრამის მოთხოვნადობასა და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს.

ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, წარმოდგენილი პროგრამის შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე " საექთნო საქმე" მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. დაწესებულებას შეუძლია პროგრამის ფარგლებში 180 პროფესიული სტუდენტის მიღებას. პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან ითვალისწინებს აღნიშნულ კვოტას. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება წარმოდგენილ კვოტას.

ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, სრულად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

"საექთნო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი. ასევე აღსანიშნავია, რომ დაწესებულება ამ პროგრამას 1992 წლიდან ახორციელებს და შეიძლება ითქვას, რომ მას უკვე აქვს ამ პროგრამის განხორციელების გამოცდილება. დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო რესურსების შესაბამისობის რეგულარულ კვლევას, რომელშიც ჩართულია პროფესიული განათლების მასწავლებლები. მათი ჩართულობა მნიშვნელოვანია რესურსების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის პროცესში. კვლევის შედეგების ანალიზს დაწესებულება იყენებს პროცესის დაგეგმვისათვის და სრულფასოვნად განხორციელებისათვის. განმახორციელებელთა და ადმინისტრაციის შეფასებით, არსებული სასწავლო და მატერიალური რესურსები სრულად შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს და კოლეჯი შეუფერხებლად აწვდის საჭირო რესურსებს სასწავლო პროცესის განმავლობაში. მოდულის დაწყებისას განმახორციელებელ პირს გადაეცემა მოთხოვნილი რესურსი. საგანმანათლებლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად და თავისუფლად ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის და განმახორციელებლებისათვის. საგანმანათლებლო რესურსები წარმოდგენილია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით, რაც უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან გამოყენებას. მოდულებში მითითებული ელექტრონული ლიტერატურა განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე თავისუფალი წვდომის რეჟიმში. მოდულებში საგანმანათლებლო რესურსების სახით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების გამოყენებიათვის კოლეჯის მასწავლებლებს მუდმივად აქვთ განახლებულ აქტებზე წვდომა. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულებით გათვალისწინებული რესურსები რელევანტურია და სრულად შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მიზნებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “ საექთნო საქმე” არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, კერძოდ:

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“-ს მიხედვით, კოლეჯის დირექტორი ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დირექტორის მიერ დამტკიცებულია 2019 წლის 17 ივნისს №36 ბრძანებით (ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2025 წლის 7 აგვისტოს N91 ბრძანებით). შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ:

პროგრამის მიზანი არის კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს შრომის ბაზარზე წარმატებით ინტეგრირებას. პროგრამის ფარგლებში მომზადებული კურსდამთავრებული შეძლებს:

- შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
- განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა;
- განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
- დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მის შინაარსსა და სასწავლო მიზნებს, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კეროდ:

კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ პროგრამა შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ პროგრამის პოტენციურ ხელმძღვანელებთან, განმახორციელებლების მიერ, სხვა განმახორციელებლებთან და და ადმინისტრაციის შესაბამის პირებთან თანამშრომლობით. კოლეჯს შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია“. პროგრამა შემუშავდა და დამტკიცდა დირექტორის ბრძანებით, სისტემატიურად ხორციელდება განმახორციელებელი პირების შეხვედრები, პროგრამის ხელმძღვანელის ინიცირებით და ხდება დარგში არსებული სიახლეების განხილვა. ძირითადად ცვლილებები ეხება საგანმანათლებლო რესურსს და განხორციელების თემატიკას, რათა პროგრამა პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს.

პროგრამა შემუშავებულია და დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. იგი ეფუძნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 21.05.2018 N407/ი ბრძანებით დამტკიცებულ (ცვლილება 2021 წლის 11 თებერვლის N93013) ჩარჩო დოკუმენტს - ,, საექთნო საქმე“. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულ(ებ)ის გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე გამოცდის ან/და ტესტირების ჩაბარების გზით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. მათთვის პროგრამის მოცულობა შეადგენს 210 კრედიტს. მათ შორის, 15 კრედიტი განკუთვნილია ,,ქართული ენა A2” მოდულის და 15 კრედიტი ,,ქართული ენა“ B1 სწავლებისათვის.

ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამით (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- პროგრამის დამტკიცებისა და პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ბრძანებებით-დირექტორის ბრძანება №91/07.08.2025 წელი;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია";
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
- მატერიალური რესურსების მართვის წესი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმია;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სამუშაო შეხვედრების ფურცლები;
- სამსახურებრივი ბარათები;
- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებებით - განთავსებული ვებგვერდზე;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით , კერძოდ;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქალაქ თბილისი ანა პოლიტოვსკაია N4 მე - 6 სართული (ყოფილი ჯიქიას ქ.). პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. ორი A გარემო აღჭურვილი 30/30 პროფესიულ სტუდენტზე საჭირო აღჭურვილობით, ორი B გარემო მთლიანობაში 30 პროფესიულ სტუდენტზე აღჭურვილი. საექთნო საქმის კლინიკური მოდულები ხორციელდება კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციებში. შესაბამისად, დაწესებულებას აქვს საშუალება მიიღოს საექთნო საქმის პროგრამის ფარგლებში 30/30 პროფესიული სტუდენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დამტკიცებული მეთოდოლოგიით შესაბამისად, სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა მისაღები ოდენობა - 180 პროფესიული სტუდენტი (ერთი სასწავლო წლისათვის ერთი ჯგუფი სტუდენტი). ანუ პირველი სასწავლო და მეორე სასწავლო წლის სტუდენტები, ხოლო მესამე სასწავლო წელი სრულად გადის პრაქტიკის ობიექტებზე. ყველა გარემოში განთავსებულია პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი, კომპიუტერი) და 30/30პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) ასევე დაფა, პრინტერი, მონიტორი და პროგრამაში დანართის სახით წარმოდგენილი საჭირო მატერიალური რესურსი, რომელიც სრულად შეესაბამება სტანდარტში გაწერილ მატერიალური რესურსის ჩამონათვალს. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შესაბამისი ლიცენზიების მქონე კლინიკებთან. წარმოდგენილი ხელშეკრულებები ითვალისწინებს კვოტას 180 პროფესიული სტუდენტი. აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტზე დაწესებულების მატერიალური რესურსის გამოყენებას სწავლის შედეგების მისაღწევად. პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას მათ დაადასტურეს, რომ საგანმანათლებლო პროცეში შეფერხების გარეშე იყენებენ მოდულების შესაბამის რესურს. პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრებით, პსდ-ს პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი სუბიექტები აკმაყოფილებენ საქართველოს მთავრობის №416 დადგენილებით კოოპერაციული სწავლების სუბიექტებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ:

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო აღწერილობები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურეობრივი ინსტრუქცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას მოდულებზე ჰყავს ორი და ზოგ მოდულზე უფრო მეტი, განმახორციელებელი პერსონალი. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის მენეჯერი სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახდენს მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები (მაგალითად, მათი დატვირთვა სხვა პროგრამის ფარგლებში, სხვა დაწესებულებაში შესაძლო საქმიანობა), შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა. წამოდგენილ პროგრამაზე გათვალისწინებულია 33 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი. მათ შორის - პროფესიული მოდულების 30, ხოლო 3 ზოგადი მოდულების განმახორციელებელია. ინსტრუქტორი კი 29, შესაბამისად, პროგრამის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. გასაუბრების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ როგორ კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ, ასევე უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრეინინგი „ სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრეინინგი, „საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“. პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ჩართული არიან მოდულური პროგრამის ადაპტირების/შემუშავების პროცესში, შემდგომ უკვე პროგრამის განვითრების მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება. მონაწილეობენ ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესებში. მათთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კანონმდებლობით მოთხოვნილ არსებით პირობებს და მასში გაწერილია ის მოდულები, რომლებსაც ახორციელებს მასწავლებელი.

ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ:**

დაწესებულებაში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. პირადი საქმის შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „ საექთნო საქმე“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიციური. მას მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაში, პროფესიული მასწავლებლების შერჩევაში, ასევე აქვს დარგში მუშობის პრაქტიკული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელი ეხლაც ჩართულია უნარების სააგენტოში პროგრამის დახვეწა/განვითარების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა გაუძღვეს პროგრამის განხორციელებას, იზრუნოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსის განვითარებაზე, საჭირო ცვლილებების განხორციელების ინიცირებაზე, იგი ჩართულია ვალიდაცია/ვერიფიკაციის პროცესებშიც არის მოქმედი ექთანი.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია.

5.**საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

"საექთნო საქმის" მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი (ლიტერატურა) ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით.

ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს:

- სამკითხველო სივრცეს, რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისთვის;
- კომპიუტერს, რომელიც ჩართულია ინტერნეტქსელში;
- პრინტერს და მრავალფუნქციურ კომბაინს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალების ბეჭდვასა და სკანირებას.

ბიბლიოთეკის რესურსები ორგანიზებულია ისე, რომ სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ შეუფერხებელი წვდომა სასწავლო მასალებზე. ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო ბიბლიოთეკის მართვისა და ელექტრონული კატალოგის სისტემისთვის კოლეჯი იყენებს OFEN Biblio-ს. დამატებითი ინფორმაცია ბიბლიოთეკის რესურსებზე, მათ შორის სარგებლობის წესებზე, მოცემულია შესაბამის დოკუმენტში(ბიბლიოთეკის დებულება); აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ კოლეჯის სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ ხელმისაწვდომი, თანამედროვე და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ:

კოლეჯში უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის სწავლისა და მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ აღნიშნულ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა როგორც პროგრამით გათვალისწინებულ, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებზე(ასეთის საჭიროების შემთხვევაში), რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

კოლეჯის მიერ შეთავაზებული მხარდაჭერის ღონისძიებები მოიცავს:

- სპეციალისტის ჩართულობას, რათა მოხდეს თითოეული სტუდენტის საჭიროების დეტალური შეფასება და მათი სასწავლო პროცესში ეფექტური ინტეგრაცია;
- სპეციალურად ადაპტირებული სასწავლო რესურსების უზრუნველყოფას, რომელიც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ელექტრონულ და ბეჭდურ მასალებს, ადაპტირებულ შრიფტსა და ფორმატს, ვიზუალური აღქმის გამარტივებულ საშუალებებს;
- კოლეჯის ინფრასტრუქტურისა და სივრცის მორგებას, რათა უზრუნველყოს სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება და სრულფასოვანი ჩართულობა სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერის გაწევას, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მენტორული დახმარების ორგანიზებას. ინდივიდუალური გეგმის შემუშავების რეგულაცია გაწერილია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ "სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში".
- ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, რაც მოიცავს პროცედურების გამარტივებას და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას;
- სხვა დამატებით ღონისძიებებს, რომლებიც განისაზღვრება ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად.

გარდა ამისა, შეზღუდული შესაძლებლობის ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სასწავლო პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობის მიზნით, აღნიშნული პირები შესაძლოა დაიშვან მოდულებზე მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე, იმ პირობით, რომ მათი სასწავლო წარმატების უზრუნველყოფისთვის გათვალისწინებული იქნება შესაბამისი დამატებითი ღონისძიებები. ამ მიდგომის გათვალისწინებით, კოლეჯი უზრუნველყოფს ინკლუზიურ და ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს, რომელიც ყველა სტუდენტს საშუალებას აძლევს სრულფასოვნად განავითაროს თავისი უნარები და მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება.

ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია.

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ:

კოლეჯის ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს.

ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას, რომელიც შეადგენს არანაკლებ 18 სტუდენტს. აღნიშნულ რაოდენობაზე დაყრდნობით, საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა საჭირო ფინანსურ რესურსს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ეფექტური ფუნქციონირება, მათ შორის:

- სასწავლო პროცესის მართვა;
- სტუდენტთა საჭიროებების დაკმაყოფილება;
- სასწავლო რესურსების განახლება;
- ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა;
- ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ანაზღაურება.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს კოლეჯის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებას და საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაცია;
- "საექთნო საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა-ბრძანება N91/07/08/2025 წელი;
- პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებება;
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ბიბლიოთეკის დებულება ;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ადმინისტრაციასა და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია", რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებების გატარებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე განახორციელე-შეაფასე - გადახედე გაუმჯობესე" მოდელს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. მექანიზმის შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის ანკეტა - კითხვარები და კვლევის მეთოდოლოგიები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა სწავლებასთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, კოლეჯის კურდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი და სხვ.ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ კონკრეტული მიზნებისათვის საჭიროების შემთხვევაში ხდება კვლევის ინსტრუმენტთა დამატება-გამრავალფეროვნება. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კერძოდ: კოლეჯში მუდმივად **აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს, კერძოდ:**

დაწესებულება ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამების განხორციელების ხარისხის მონიტორინგი. ასევე თავის მხრივ მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. ასევე პროგრამის ხელმძრვანელი პროგრამის განმახორციელებლებთან სისტემატიური შეხვედრის გზით. გამოკვეთილი საჭიროებების/რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილებები ხორციელდება პროგრამაში. რეკომენდაციებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე შეიცვალა შეფასებისათვის გამოყოფილი საათები, თემატიკა, სასწავლო რესურსი. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულთან დაკავშირებით გაესაუბრა ჩართულ მხარეებს, შედეგად შეფასდა, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სხვადასხვა ტიპის კითხვარები;
- გასაუბრება შესაბამის პირებთან;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 7 აგვისტოს ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საექთნო საქმის" პაკეტი, რომელიც მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის. ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

დაწესებულების სასწავლო პროცესის დანერგვის დროს მოქნილად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე. აღნიშნული გათვალისწინებულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, კოლეჯი ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებს, რაც გამოიხატება შემდეგში:

- სასწავლო გეგმები შედგენილია პროგრამის კრედიტების გათვალისწინებით გონივრული ხანგრძლივობით.
- საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სასწავლო ცხრილის კორექტირება, რათა სტუდენტებისთვის სასურველი განრიგი შეიქმნას.
- სტუდენტები ადასტურებენ, რომ ცხრილის ცვლილებების პროცესში მათი ინტერესები გათვალისწინებულია.

სასწავლო პროცესის ორგანიზების შეფასების მიზნით ჩატარდა გასაუბრებები კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან. კოლეჯის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და მაქსიმალურად ითვალისწინებს სტუდენტების საჭიროებებს. გასაუბრება ასევე განხორციელდა დასაქმებულ კურსდამთავრებულებთან. დაწესებულებაში **3 წლის განმავლობაში 114 პროფესიული სტუდენტი სწავლობს, აქედან 23 დასაქმებულია სხვადასხვა კლინიკებში**, გასაუბრების დროს მათ გამოხატეს კმაყოფილება ცოდნის მიღებაზე, პრაქტიკულ/თეორიულ საკითხებზე, ამაყობდნენ რომ სწორად შეარჩიეს სასწავლებელი და პროფესია, შესაბამისად სხვებსაც უწევენ რეკომენდაციას აღნიშნულ სასწავლებელში აირჩიონ საჭირო პროფესია. ექსპერტთა ვიზიტის დროს ასევე განხორციელდა ჩართვა შპს „ თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკის" მთავარ მენეჯერთან და შპს „ქირურგიის ინსტიტუტის ისტრუქტორებთან. გავეცანით კლინიკაში მიმდინარე პროცესებს. დაწესებულებებს აქვთ სიმულაციური სწავლებისათვის საუკეთესო ბაზა და ყავთ ტრენერი მედდები,რომლებიც პრაქტიკაზე მისულ სტუდენტებს გადაამზადებენ იმ მოდულების ფარგლებში რაც ხელშეკრულებითაა გაწერილი. პროგრამის ხელმძღვანელები ადასტურებენ, რომ კოლეჯში შექმნილია მოქნილი სისტემა, რომელიც საჭიროების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემთხვევაში სწავლის პროცესში ცვლილებების ეფექტურად განხორციელებას უზრუნველყოფს. ასევე ჩავერთეთ სს „ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრს, გავესაუბრეთ ინსტრუქტორებს, პრაქტიკაზე მყოფ სტუდენტებს და დასაქმებულ კურსდამთავრებულს. პროფესიულმა სტუდენტებმა გამოხატეს კმაყოფილება სასწავლო პროცესის ორგანიზებით და აღნიშნეს, რომ მათი ინტერესები და საჭიროებები გათვალისწინებულია. განსაკუთრებით დადებითად შეფასდა სასწავლო განრიგის მოქნილობა და დამატებითი საკონსულტაციო შეხვედრების შესაძლებლობები. ასევე აღნიშნეს კოლეჯში მიმდინარე კონფერენციები, რომელიც მიზნად ისახავს წარმატებული პრეზენტატორის წარმოჩენას. ისაუბრეს დაჯილდოვებებზე და წახალისების სხვადასხვა ფორმებზე. ასევე სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ, სადაც ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი აღმოჩნდა ღონისძიება ერთი დღე პარლამენტში და ერთი დღე ჯარში.

კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. არსებული მექანიზმები, მათ შორის სასწავლო პროცესის რეგულაციები, ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის რეგულაცია, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები და სასწავლო ცხრილის ადაპტაციის შესაძლებლობა, ხელს უწყობს სტუდენტების საჭიროებებზე დროულ რეაგირებას. ჩართული მხარეების (ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელები, მასწავლებლები) შეფასებები ადასტურებს, რომ კოლეჯში პროცესი გამჭვირვალედ და ეფექტურად იმართება.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

კოლეჯი აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, ხოლო ადგილზე დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. კოლეჯი უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში, რაც მოიცავს კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიებს. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას. სასწავლო მასალები და რესურსები ელექტრონულადაც ხელმისაწვდომია, რაც ზრდის სტუდენტების შესაძლებლობას, დამოუკიდებლად იმუშაონ და გაამყარონ მიღებული ცოდნა. ვიზიტის ფარგლებში გასაუბრებები ჩატარდა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სწავლების მეთოდოლოგია რეგულარულად გადაისინჯება და ვითარდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ციფრულ ტექნოლოგიებსა და დარგისთვის შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას. სტუდენტებმა აღნიშნეს,რომ თავისუფლად აქვთ წვდომა რესურსთან.

შეფასების პროცესის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი სრულად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში. სასწავლო მეთოდები ითვალისწინებს ინოვაციურ მიდგომებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სწავლების პროცესს. კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და კომპიუტერული აპროგრამის ინტეგრაცია პროფესიულ სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, განივითარონ მათთვის საჭირო პრაქტიკული უნარები.

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ასახულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ინგ) შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მოქნილობას, სტუდენტთა უფლებების დაცვასა და მათი წარმატებული აკადემიური წინსვლის ხელშეწყობას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში რეგულაციის თანახმად გეგმის შემუშავების აუცილებლობა დგება შემდეგი გარემოებების შემთხვევაში:

- პროფესიულ სტუდენტს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება (სსს);
- პროფესიული სტუდენტი დროებით საჭიროებს სპეციალურ საგანმანათლებლო რეჟიმს/ინგ-ს ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო;
- პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით (შიდა/გარე);
- სტუდენტს ნაწილობრივ უფორმდება ფორმალური განათლების აღიარება/დადასტურება და ამის საფუძველზე სჭირდება განსხვავებული სასწავლო გეგმა;
- პროფესიული სტუდენტი აგრძელებს სწავლის პროცესს ფორმალური განათლების აღიარების შემდეგ;
- სხვა შემთხვევები, როდესაც პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით ჩნდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის აუცილებლობა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს კონკრეტული პირისთვის ან სტუდენტთა ჯგუფისთვის, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს ან ამის საჭიროება დგება მოცემულ სიტუაციაში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება შეიძლება დადგეს სასწავლო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში ჩართული მხარეები:

- სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი
- პროფესიული სტუდენტი (ან მისი კანონიერი წარმომადგენელი)

ექსპერტთა ვიზიტის დროს პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესახებ რეგულაციას. დაწესებულება ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებს და ზრუნავს სტუდენტთა უწყვეტ განათლებაზე.

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, კერძოდ:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო საქმის ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ დაწესებულებებთან:

1) ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი „საქართველოს კარეტასი“ თბილის ნუცუბიძის მე-2 მ/რ ჟღენტის ქ N3-ა; 30 პროფ.სტუდენტზე. 1/7 ინსტრუქტორის თანაფარდობით; შემსრულებელი მზადაა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დამკვეთის 105 პროფესიული სტუდენტი მიიღოს, შემდეგ პრაქტიკულ მოდულებში:

- ავადმყოფის მოვლა;
- შინმოვლა;
- გერინტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები;

2) სს „ კ.ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი“ მის.თბილისი კ.ჩაჩავას ქN7 ხელ.N5-11/21 ერთჯერადად 21 პროფესიულ სტუდენტს მიიღება შეუძლია, 1/7 ინსტრუქტორის თანაფარდობით;

შემსრულებელი მზადაა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დამკვეთის 105 პროფესიული სტუდენტი მიიღოს,შემდეგ პრაქტიკულ მოდულებში:

- კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა

3) შპს „თბილისის ცენტრალური საავადმყოფო ‘’ მის.ქ.თბილისი ლუბლიანას ქN5,ს/კ-203826645 ერთჯერადად 28 პროფესიულ სტუდენტს მიღება შეუძლია, 1/7 ინსტრუქტორის თანაფარდობით შემდეგ პრაქტიკულ მოდულებში:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა-სამეანოდა გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა.

4)შპს „ჰერა 2011“ თბილისი ლუბლიანას ქN5. ს/კ 404404042 . ხელშეკრულება N5-08/2130. ერთ ეტაპზე 21 პროფესიულ სტუდენტს მიიღებს, 1/7 ინსტრუქტორის თანაფარდობით. შემსრულებელი მზადაა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დამკვეთის 105 პროფესიული სტუდენტი მიიღოს,შემდეგ პრაქტიკულ მოდულებში:

- კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა-სამეანოდა გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა -პედიატრია და მოზარდები;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები.

5)შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ მისამართი თბილისი იპოლიტოვ-ივანოვის ქN43 ხელშეკრულება N5-15/19. ს/კ-209446900 ერთ ეტაპზე 21 პროფესიულ სტუდენტს მიიღებს, 1/7 ინსტრუქტორის თანაფარდობით. შემსრულებელი მზადაა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დამკვეთის 105 პროფესიული სტუდენტი მიიღოს,შემდეგ პრაქტიკულ მოდულებში:

- კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;

ექსპერტთა აზრით, აღნიშნული კლინიკა უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ განსაზღვრული მოდულების ფარგლებში პრაქტიკის განხორციელებას.

6) შპს „ლ.მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრი“ მის.თბილისი წინანდლის ქN27. ხელ.N5-07/2,ს/კ 206063383 ერთ ეტაპზე 28 პროფესიულ სტუდენტს მიიღებს, 1/7 ინსტრუქტორის თანაფარდობით. შემსრულებელი მზადაა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დამკვეთის 105 პროფესიული სტუდენტი მიიღოს,შემდეგ პრაქტიკულ მოდულებში:

- კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;

7) შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“ თბილისი გორგასლის ქN93. ს/კ 405064594 . ხელშეკრულება N26/03/19 ერთ ეტაპზე 35 პროფესიულ სტუდენტს მიიღებს, 1/7 ინსტრუქტორის თანაფარდობი შემდეგ პრაქტიკულ მოდულებში:

- კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა-სამეანოდა გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა.

8) შპს „თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა“ თბილისი ზღვის უბანი დასახლება 11მკ.1კვარტალი. ს/კ 200010022 . ხელშეკრულება N5-16/19 ერთ ეტაპზე 28 პროფესიულ სტუდენტს მიიღებს, 1/7 ინსტრუქტორის თანაფარდობით; შემსრულებელი მზადაა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დამკვეთის 105 პროფესიული სტუდენტი მიიღოს,შემდეგ პრაქტიკულ მოდულებში:

- კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა-ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა -პედიატრია და მოზარდები ;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები.

9)შპს „აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკა“ თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ.N16. ს/კ405018831 . ხელშეკრულება N5-12/21 ერთ ეტაპზე 21 პროფესიულ სტუდენტს მიიღებს, 1/7 ინსტრუქტორის თანაფარდობით. შემსრულებელი მზადაა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დამკვეთის 105 პროფესიული სტუდენტი მიიღოს,შემდეგ პრაქტიკულ მოდულებში:

- კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა -პედიატრია და მოზარდები;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები;

10) სს თ.ცერცვაძის სახ.ინფექციური პათოლოგიისა, შიდსისა და იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი; თბილისი ლუბლიანას ქ.N70 ხელშეკრულება N5-06/25; ს/კ-2121153756 ერთ ეტაპზე 21 პროფესიულ სტუდენტს მიიღებს, 1/7 ინსტრუქტორის თანაფარდობით; შემსრულებელი მზადაა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში დამკვეთის 105 პროფესიული სტუდენტი მიიღოს,შემდეგ პრაქტიკულ მოდულებში:

- კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
- კლინიკური პრაქტიკა- კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა.

პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს შედეგს: პროგრამის სახელწოდება, ხელშეკრულების საგანი,მხარეთა უფლება მოვალეობები, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა, მომსახურების ღირებულება და ანაზღაურების წესი, ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა, ფორს-მაჟორი, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი გაუქმება, შეთანხმება პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №416 თანახმად. მათ ახლავს შემდეგი დანართები:

დანართი N 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო საქმე

დანართი 2 - საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმის“ დანართი N 1 მითითებული მოდულ(ებ)ის სწავლების პროცესში ჩართული პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ძირითადი ფუნქციები-მოვალეობა.

დანართი N3 -საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმის“ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში საჭირო რესურსების ჩამონათვალი

დანართი N 4 სასწავლო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლობის მიზანია პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ–ჩვევები. პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს კოორდინაცია გაუწიოს პრაკტიკული კომპონენტის განხორციელებას, რისთვისაც გამოყოფს ინსტრუქტორ(ებ)ს/კოორდინატორებს/განმახორციელებლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ სწავლებას და მხარდაჭერას 1/7 თანაფარდობით. ექსპერტების მიერ განხორციელდა პრაქტიკის პრაქტიკის ხელმძღვანელთან გასაუბრება. შედეგად დადგინდა, რომ „საექთნო საქმის“ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (ჯგუფში 40/40 პროფესიული სტუდენტი, პროგრამაზე 80 სტუდენტი).

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კერძოდ:

კოლეჯში მოქმედებს უსაფრთხოების პოლიტიკა და შესაბამისი შიდა რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნისა და დაცვის პროცედურებს. კოლეჯში დაცულია შრომის უსაფრთხოების ნორმები, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა დაცულ გარემოში სწავლას. ჩართულ მხარეთა უკუკავშირი დადებითია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კოლეჯი აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოთხოვნებს. პარტნიორთან/სასწავლო განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტებისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას.

ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “საექთნო საქმე”;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- კოლეჯის ვებგვერდზე www.barakoni.edu.ge განთავსებული ინფორმაცია ტრენინგების შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- წესრიგის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფის წესი;
- შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების გეგმა;
- გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

5. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
6. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
7. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
8. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, კერძოდ:

როფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა უნდა იყოს ვალიდური, სანდო, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ განსაზღვრულია შეფასების სისტემის პრინციპები, რაც ითვალისწინებს შედეგებზე დაფუძნებულ, სამართლიან და დასაბუთებულ მიდგომას. შეფასების სისტემის ზოგადი პრინციპებია:

- ვალიდურობა – შეფასება ადეკვატურად ასახავს პროფესიული სტუდენტის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს;
- სანდოობა – შეფასების ინსტრუმენტები უზრუნველყოფს შედეგების ობიექტურ და ერთგვაროვან შეფასებას;
- სამართლიანობა და ობიექტურობა – შეფასების პროცესი არ არის სუბიექტური და უზრუნველყოფილია სამართლიანი მიდგომა ყველა სტუდენტის მიმართ;
- გამჭვირვალობა – სტუდენტები წინასწარ იღებენ სრულ ინფორმაციას შეფასების სისტემისა და კრიტერიუმების შესახებ.

წესის მიხედვით არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: სწავლის შედეგი დადასტურდა, სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა. მოდულის კრედიტები ათვისებულად ითვლება მოდულის ყველა სწავლის შედეგის დადასტურების შემთხვევაში. ასევე წესში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების ინსტრუქცია. ვალიდაციის მიზნით შეფასების თანხმდება სხვა მოდულის განმახორციელებელთან ან პროგრამის კოორდინატორთან და დირექტორის მოადგილესთან ან სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტთან, რომლებიც წარმოადგენენ ვერიფიკატორებს (შემდგომ - შიდა შემმოწმებელი). მოდულის განმახორციელებელი ან პროგრამის კოორდინატორი, სწავლის შედეგების დადასტურებამდე, მოდულის განმახორციელებელთან ერთად ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივ/დარგობრივ თავსებადობას, ხოლო დირექტორის მოადგილე ან სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრუქტურულ/ მეთოდოლოგიურ თავსებადობას. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ სრული ინფორმაცია შეფასების მექანიზმების შესახებ, იცნობენ გადაბარებისა და აპელაციის წესს და სარგებლობენ ამ შესაძლებლობით. ასევე გასაუბრებისას პროფესიულმა მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ მონაწილეობას ღებულობენ ვალიდაციის პროცესში და იციან ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

ინდიკატორი 2.4.2.1. შესაბამისობაშია

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, კერძოდ:

ვერიფიკაციის მექანიზმი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც მიზნად ისახავს შეფასების პროცესისა და გამოყენებული ინსტრუმენტების მართვას, რათა შეამოწმოს მათი ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა და სამართლიანობა. ამ პროცესში ჩართულ მხარეებთან ინტენსიური თანამშრომლობა და სისტემატიური ანალიზი უზრუნველყოფს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამებოდეს ხარისხის სტანდარტებს. დაწესებულებაში არსებული რეგულაციის თანახმად ვერიფიკაციის პროცესის დაწყებამდე, პროცესის მიმდინარეობა განისაზღვრა კომპეტენტური ჯგუფის მიერ. შეფასების სისტემის ყველა სტრუქტურის გადამოწმებისას მტკიცებულებების საფუძველზე, ჯგუფი შეიმუშავებს ვერიფიკაციის გეგმას, რომელიც განსაზღვრავს:

- ვერიფიკაციის პროცესში ჩართულ მოქმედებებს და ვადებს;
- ინსტრუმენტების, პროცესების და მტკიცებულებების განსაზღვრულ საზღვრებს;
- პროცესის მთავარ მიზნებს, რომლის მიხედვითაც, სხვადასხვა ეტაპზე ანალიზის ხანგრძლივობა და შეფასების შედეგები დგინდება.

ვერიფიკაციის პროცესში ჩართულ მხარეებთან- პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან და სხვა პირებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება ვერიფიკაციის პროცესს ახორციელებს დაწესებულების მიერ არსებული რეგულაციების შესაბამისად და გამორიცხავს ინტერესთა კომფლიქტს.

ინდიკატორი 2.4.2.2. შესაბამისობაშია

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, კერძოდ:

შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროგრამის დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში. შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ხელმისაწვდომობას საჭიროების შემთხვევაში.დოკუმენტების შენახვა და მართვა ხორციელდება საქმისწარმოების წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათი სანდოობას, უსაფრთხოებას და ადვილად ხელმისაწვდომობას. რეგულაციის და არსებული მდგომარეობის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ კოლეჯი ეფექტურად უზრუნველყოფს შეფასების პროცესთან დაკავშირებული მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.2.3. შესაბამისობაშია

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ:

კოლეჯი წარმატებით იყენებს განსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას პროფესიულ სტუდენტთა განვითარების ხელშეწყობისთვის. შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამის განმახორციელებელი პირები ნერგავენ ახალი მიდგომებს და ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობს როგორც მეთოდების გაუმჯობესებას, ისე შეფასების სისტემის დახვეწას. პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგები არა მხოლოდ შეფასების მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს, არამედ ასახავს მომავალი განვითარების გზას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- გასაუბრება;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" შესახებ

VI.ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support;
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით 08/23.01.2018. (ბოლო ცვლილება განხორციელდა N86/04.08.2025)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ვაკე-საბურთალო, ანა პოლიტკოვსკაიას №4 (ყოფ. ჯიქია) VI სართული
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40 პროფესიული სტუდენტი
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

VII. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-

დასაბუთება

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას კერძოდ:

დაწესებულები-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ სრულად ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიულ განვითარებას. დაწესებულების მისიაა თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის საგანმანათლებლო და სასწავლო საჭიროებების დაკმაყოფილებაში მრავალფეროვანი და ხარისხიანი პროგრამების შეთავაზებით, შექმნას პროფესიული სტუდენტების საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისთვის უსაფრთხო სასწავლო გარემო და პროფესიული სტუდენტების

წარმატებული დასაქმებისთვის პირობები, რათა მათ შეიძინონ ცოდნა პროფესიისა და კარიერის შესახებ კრიტიკული აზროვნების, ეფექტური კომუნიკაციის განვითარების გზით. მისიიდან გამომდინარეობს კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა. კოლეჯის განვითარების სტრატეგიული მიზნებიდან პირველ მიზანს წარმოადგენს შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავება, დამატება. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მიზანშეწონილობის დოკუმენტის ანალიზი ცხადყოფს, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნა სტრატეგიული მნიშვნელობისაა და გრძელვადიან პერსპექტივაში კიდევ უფრო გაიზრდება. მოთხოვნას აძლიერებს როგორც IT სექტორის ზრდა, ისე ეკონომიკის სხვა დარგების გაციფრულების აუცილებლობა. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ არსებობს მაღალი, მზარდი და პროგნოზირებადი მოთხოვნა იმ უნარებსა და კომპეტენციებზე, რომელთა მიღებასაც უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია „შრომის ბაზრის ანალიზი. 2024“-ის წელს საქართველოში განხორციელებული FDI-ის 75% თბილისზე მოდის (1.178 მილიარდი აშშ დოლარი). ეს ნიშნავს, რომ ახალი კომპანიებისა და პროექტების უმეტესობა, რომლებიც სამუშაო ადგილებს ქმნის, დედაქალაქში იწყებს ფუნქციონირებას. ქვეყნის მასშტაბით შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების (ეკონომიკური პროდუქტის) ნახევარი თბილისში იქმნება. ეს პირდაპირ მიუთითებს, რომ ეკონომიკური აქტივობა დედაქალაქშია კონცენტრირებული. დასაქმების კონცენტრაცია - „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა - 2025“-ის მიხედვით, დასაქმებულთა 63% თბილისში მუშაობს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ყოველწლიურად აქვეყნებს შრომის ბაზრის კვლევას. 2023 წლის შრომის ბაზრის კვლევის თანახმად, 2022 წელს ჩარიცხული სტუდენტების 51% ოთხი დარგის პროგრამაზე მოდის, მათ შორის ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიებზე მოდის 13%-ანი წილი. 2022 წელს დასაქმებულთა რაოდენობა თითქმის ყველა სექტორში გაიზარდა. ყველაზე მაღალი ზრდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორში დაფიქსირდა - 27.5%. აღნიშნული ტენდეცია გაგრძელდა 2023 წელსაც. 2023 წლის მონაცემებით, დასაქმების მაჩვენებელის გაზრდით გამორჩეულია, ინფორმაციისა და კომუნიკაციების სექტორი, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 36.5%-ით გაიზარდა. 2023 წელს, შედარებით მაღალი მედიანური ხელფასის დაფიქსირებულ დარგებს შორის პირველ ადგილზეა ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორი. 2022 წელსა და 2023 წლის ანალოგიური პერიოდების შედარებით, იკვეთება რომ დასაქმებულთა რაოდენობა ყველა სექტორში გაიზარდა. ყველაზე მაღალი ზრდა კი ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორში დაფიქსირდა - 21.1%. ერთ დასაქმებულზე არსებული დამატებული ღირებულების მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ინფორმაციისა და კომუნიკაცების სექტორში - 83.5 ათასი ლარი (წინა წელთან შედარებით ზრდა 9%-ით). საქართველოს IT სექტორი 2022 წლიდან ქვეყნის ყველაზე სწრაფად მზარდი დარგია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება სრულად შეესაბამება კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ:

ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამით და საგანმანათლებლო სტანდარტით დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო განათლება, ხოლო ჩარიცხვის პროცედურები ითვალისწინებს შიდა შერჩევის ჩატარებას მოტივაციური გასაუბრების გზით.

ინდიკატორი 2.1.1.2 შესაბამისობაშია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, კერძოდ:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი მეთოდოლოგიით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. დამტკიცებული მეთოდოლოგია ზღვრული რაოდენობის განსაზღვისათვის ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს, მათ შორის:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- პრაქტიკის ობიექტის/პარტნიორი საწარმოს რესურსი;
- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა.

ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, წარმოდგენილი პროგრამის შესწავლის, საგანმანათლებლო გარემოს ვიზუალური დათვალიერების, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა პროგრამაზე მოხდა დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაეფუძნა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს. დაწესებულებას შეუძლია პროგრამის ფარგლებში 40 პროფესიული სტუდენტის მიღებას.

ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური და სასწავლო რესურსების ჩამონათვალი. დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო რესურსების შესაბამისობის რეგულარულ კვლევას, რომელშიც ჩართულნი არიან პროფესიული განათლების მასწავლებლები. მათი ჩართულობა მნიშვნელოვანია რესურსების შეფასებისა და საჭიროებების განსაზღვრის პროცესში. კვლევის შედეგების ანალიზს დაწესებულება იყენებს პროცესის დაგეგმვისათვის და სრულფასოვნად განხორციელებისათვის. განმახორციელებელთა და ადმინისტრაციის შეფასებით, არსებული სასწავლო და მატერიალური რესურსები სრულად შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს და კოლეჯი შეუფერხებლად აწვდის საჭირო რესურსებს სასწავლო პროცესის განმავლობაში. საგანმანათლებლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად და თავისუფლად ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის და განმახორციელებლებისათვის. საგანმანათლებლო რესურსები წარმოდგენილია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით, რაც უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან გამოყენებას. მოდულებში მითითებული ელექტრონული ლიტერატურა განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე თავისუფალი წვდომის რეჟიმში. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული რესურსები რელევანტურია დაშეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მიზნებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან, კერძოდ:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, კერძოდ:

დამფუძნებელთა საბჭოს მიერ დამტკიცებული წესდებისა და „პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“-ს საფუძველზე, კოლეჯის დირექტორი ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. 2018 წელის 23 იანვარს დირექტორის N08 ბრძანებით დამტკიცებულია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ხოლო პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ბოლო ცვლილება შესულია დირექტორის 2025 წლის 4 აგვისტოს N86 ბრძანებით. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ:

პროგრამის მიზანი არის კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს შრომის ბაზარზე წარმატებით ინტეგრირებას. პროგრამის სახელწოდება ასრულებს პროგრამის იდენტიფიკატორის ფუნქციას და ლოგიკურ კავშირშია პროფესიული სტუდენტის/ კურსდამთავრებულის საქმიანობასთან. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, რადგან გამომდინარეობს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდებიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მის შინაარსსა და სასწავლო მიზნებს, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების, ცვლილების და გაუქმების მეთოდოლოგია“. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული პროგრამის პროექტი წარედგინება დირექტორს. პროგრამის დამტკიცების შესახებ გამოიცემა დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტი. პროგრამის შერჩევის პროცესში სხვადასხვა ფორმით შესაძლოა ჩართული იყოს კოლეჯის ადმინისტრაცია, პროფესიული განათლების მასწავლებლები ან/და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირ დოკუმენტს, მოდულებს და სასწავლო გეგმას. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდული, რომლის მიზანია არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად.

ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამით (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი;
- პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები;
- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები - განთავსებული ვებგვერდზე ;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ქალაქ თბილისი ანა პოლიტოვსკაია N4 სართული 6. (ყოფილი ჯიქიას ქ.). პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- BC სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური სამუშაო ადგილები);
- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა.

დაწესებულებას ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მიზნებისთვის აქვს ერთი BC სასწავლო გარემო კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც პროფესიული სტუდენტებისთვის დგას 20 კომპიუტერი სრული კომპლექტით, 1 პერსონალური კომპიუტერით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, კომბაინი, მონიტორი, სტანდარტული უწყვეტი კვების წყაროთი. ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით, კომპიუტერული ლაბორატორიის რესურსი შეადგენს მხოლოდ ამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის 40 პროფესიულ სტუდენტს. იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიული სტუდენტი კრედიტების გარკვეულ ოდენობას ითვისებს A გარემოში, ერთი ცვლის პირობებში დატვირთვა შეადგენს დაახლოებით 22%-ს. A გარემოში ჩასატარებელი ზოგადი მოდულები შესაძლებელია განხორციელდეს აუდიტორიაში N8 /N7. გარდა ამისა, A გარემოდ შესაძლებელია გამოყენებული იყოს პროფესიულ სტუდენტთა BC სასწავლო გარემო.

პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განხორციელება სასწავლო გეგმის შესაბამამისად ისეა დაგეგმილი, რომ კვირეული დატვირთვა როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით, არ სცდება 40 საათს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის, სასწავლო გარემოს დატვირთვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ:

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო აღწერილობები, რომლის მიხედვით განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სამსახურეობრივი ინსტრუქცია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესის მენეჯერი სასწავლო პროცესის დაწყებამდე ახდენს მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის განაწილებას, რომლის დროსაც გათვალისწინებულია მათი შესაძლებლობები (მაგალითად, მათი დატვირთვა სხვა პროგრამის ფარგლებში, სხვა დაწესებულებაში შესაძლო საქმიანობა), შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა. წამოდგენილ პროგრამაზე გათვალისწინებულია 14 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი. მათ შორის - პროფესიული მოდულების 4 განმახორციელებელია, ხოლო 10 ზოგადი მოდულების განმახორციელებელია. შესაბამისად, პროგრამის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას და აკმაყოფილებენ მათ მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კერძოდ, პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ასევე, უმეტეს მათგანს აქვს მასწავლებლად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. ასევე გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გავლილი აქვთ შეფასების, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის/კალენდარული გეგმების შედგენის შესახებ დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტრენინგები, ასევე უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებული სხვადასხვა ტრეინინგები.

ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი,კერძოდ:
საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება დიპლომით და შესაბამისი გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს პროფესიული განათლების მიზნებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასა და მხარდაჭერის მექანიზმებს, არის დარგის აქტიური სპეციალისტი, რომელსაც გააზრებული აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები და როლი, სასწავლო პროცესისა და პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელებისათვის. აქტიურად უწევს კონსულტაციებს მოდულების განმახორციელებელ პირებს დარგის სიახლეებთან მიმართებით, ზრუნავს საგანმანათლებლო რესურსების განახლებაზე, კოორდინაციას უწევს პროგრამის განხორციელებას, მონაწილეობას ღებულობს ინდივიდუალური გეგმების შემუშავებაში და სხვა აქტივობებში.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში,კერძოდ:
დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომი იყოს როგორც ელექტრონული სახით, ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. აღნიშნული რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ეფექტურ სწავლებასა და პროფესიულ განვითარებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ინფორმაციის ტექნოლოგიების მხარდაჭერა მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი (ლიტერატურა) ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსების მიწოდებას პროფესიულ სტუდენტებსა და განმახორციელებლებს. ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა მოიცავს: სამკითხველო სივრცეს, რომელიც ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და განმახორციელებლებისთვის, კომპიუტერს, რომელიც ჩართულია ინტერნეტქსელში, პრინტერს და მრავალფუნქციურ კომბაინს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო მასალების ბეჭდვასა და სკანირებას. ბიბლიოთეკის რესურსები ორგანიზებულია ისე, რომ სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ შეუფერხებელი წვდომა სასწავლო მასალებზე. ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ხოლო ბიბლიოთეკის მართვისა და ელექტრონული კატალოგის სისტემისთვის კოლეჯი იყენებს OFEN Biblio-ს. დამატებითი ინფორმაცია ბიბლიოთეკის რესურსებზე, მათ შორის სარგებლობის წესებზე, მოცემულია შესაბამის დოკუმენტში(ბიბლიოთეკის დებულება). აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ კოლეჯის სტუდენტებსა და პერსონალს ჰქონდეთ ხელმისაწვდომი, თანამედროვე და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, კერძოდ:

კოლეჯში უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის სწავლისა და მხარდაჭერის ხელმისაწვდომობა. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ აღნიშნულ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა როგორც პროგრამით გათვალისწინებულ, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებზე(ასეთის საჭიროების შემთხვევაში), რომლებიც ადაპტირდება მათი საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

კოლეჯის მიერ შეთავაზებული მხარდაჭერის ღონისძიებები მოიცავს:

- **სპეციალისტის ჩართულობას**, რათა მოხდეს თითოეული სტუდენტის საჭიროების დეტალური შეფასება და მათი სასწავლო პროცესში ეფექტური ინტეგრაცია;
- **სპეციალურად ადაპტირებული სასწავლო რესურსების უზრუნველყოფას**, რომელიც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ელექტრონულ და ბეჭდურ მასალებს, ადაპტირებულ შრიფტსა და ფორმატს, ვიზუალური აღქმის გამარტივებულ საშუალებებს;
- **კოლეჯის ინფრასტრუქტურისა და სივრცის მორგებას**, რათა უზრუნველყოს სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება და სრულფასოვანი ჩართულობა სასწავლო პროცესში;
- **სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერის გაწევას**, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მენტორული დახმარების ორგანიზებას. ინდივიდუალური გეგმის შემუშავების რეგულაცია გაწერილია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ "სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში"
- **ადმინისტრაციულ მხარდაჭერას**, რაც მოიცავს პროცედურების გამარტივებას და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას;
- **სხვა დამატებით ღონისძიებებს**, რომლებიც განისაზღვრება ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე, პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილია მიმართოს სწავლების განსხვავებულ მეთოდებს და სტრატეგიებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა და სასწავლო რესურსი. 2024 წლის მიღების ფარგლებში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დადასტურდა ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 2 პროფესიული სტუდენტისთვის. დირექტორის მოადგილე შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელთან და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან ერთად მუშაობდა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავებაზე. პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩართული იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესში. ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა შემუშავებული ინდივიდუალური გეგმების შემოწმება. დაწესებულება არსებული წესების სრული დაცვით ახორციელებს ინდივიდუალური გეგმების შემუშავებას. დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომელთანაც გაფორმებულია. ხელშკრულება. ინდივიდუალური გეგმების შემუშავებაში აქტიურად ჩართულია იკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომელიც პროგრამის განმახორციელებელთან ერთად ახორციელებს თითოეული მოდულის დაწყების პერიოდში შესაბამისი დაკვირვების პროცეს. დააკვირვების პროცესის დასრულების შემდეგ ინკლუზიური განათების სპეციალისტი და შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი აკეთებს დასკვნას, რის საფუძველზეც დაწესებულება ახდენს ინსტრუმენტის მოდიფიკაციას. პროცესში ასევე ჩართულია სპეციალური საჭიროების მქონე პირი და მისი კანონიერი წარმომადგენელი.

ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ:

დაწესებულება ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრად და უწყვეტ განხორციელებას. დაწესებულება ახორციელებს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების კალკულაციას. განახლებული ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განფასების მაჩვენებელი ამ ეტაპისთვის არაა დადგენილი. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილს. ბიუჯეტირება ეფუძნება პროფესიულ სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრას, რომელიც შეადგენს არანაკლებ 10 სტუდენტს. აღნიშნულ რაოდენობაზე დაყრდნობით, საპროგნოზო ბიუჯეტი ითვალისწინებს ყველა საჭირო ფინანსურ რესურსს, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ეფექტური ფუნქციონირება, მათ შორის:

- სასწავლო პროცესის მართვა;
- სტუდენტთა საჭიროებების დაკმაყოფილება;
- სასწავლო რესურსების განახლება;
- ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა;
- ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ანაზღაურება.

ხარჯის დიდი ნაწილი მოდის პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ადმინისტრაციის ხელფასებზე. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს კოლეჯის ფინანსური მდგრადობის შენარჩუნებას და საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტაცია;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ვიზუალური დათვალიერება;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ადმინისტრაციასა და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ, კერძოდ:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დანიშნულებაა კოორდინირებული ქმედებების ერთობლიობით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მართვა, რომელიც მოიცავს ხარისხის დაგეგმვას, კოტროლს და მიმართულია პროგრამების მუდმივი გაუმჯობესებისაკენ. ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მართვის პროცესში ცენტრალურ ადგილს იკავებს სწავლა/სწავლების პროცესის გაუმჯობესება. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის ციკლს „დაგეგმე- განახორციელე-შეაფასე - გადახედე გაუმჯობესე“ მოდელს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამებში ხორციელდება შესაბამისი ცვლილებები. მექანიზმის შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა ტიპის ანკეტა - კითხვარები და კვლევის მეთოდოლოგიები, კერძოდ, პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის ფორმა სწავლებასთან დაკავშირებით, პროფესიული სტუდენტის მიერ პარტნიორ ორგანიზაციებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, კოლეჯის კურდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია და კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასებისა და საჭიროებების კვლევის კითხვარი და სხვ. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯში კვლევების ჩატარების არსებულ პრაქტიკას, შეისწავლა კვლევის ანგარიშები და მათზე რეაგირების დოკუმენტები. ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან.

ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“-თ განსაზღვრულია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შიდა ანგარიშების, შრომის ბაზრის მოთხოვნების ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების, განხორციელების ფორმის ცვლილების ან საკუთარი ინიციატივით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების დამატების ან/და ამოღების, ასევე სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილების შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია აღნიშნული ცვლილების შესახებ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს აცნობოს ცვლილების განხორციელების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და ცენტრს წარუდგინოს შესაბამისი დასაბუთება და მტკიცებულებები. პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, რომელიც შედის დაწესებულების კომპეტენციაში, გამოიცემა დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი და განისაზღვრება ვისზე გავრცელდება აღნიშნული ცვლილება. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითადად ცვლილებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაკავშირებული იყო ადამიანური რესურსის/პერსონალის, საგანმანათლებლო სტანდარტისა და ნორმატიულ ცვლილებასთან. აღნიშნულთან დაკავშირებით განხორციელდა გაესაუბრება ჩართულ მხარეებთან, შედეგად შეფასდა, რომ დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი;
- კვლევის ანგარიშით 2024 (პროგრამების შეფასება);
- პროგრამის შეფასების ფორმა;
- კვლევების მეთოდოლოგია;
- სხვადასხვა ტიპის კითხვარები;
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, კერძოდ:

დაწესებულების დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის. ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაბამისობა სასწავლო გეგმასთან.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

დაწესებულების სასწავლო პროცესის დანერგვის დროს მოქნილად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე. აღნიშნული გათვალისწინებულია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, კოლეჯი ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესებს, რაც გამოიხატება შემდეგში: სასწავლო გეგმები შედგენილია პროგრამის კრედიტების გათვალისწინებით გონივრული ხანგრძლივობით. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სასწავლო ცხრილის კორექტირება, რათა სტუდენტებისთვის სასურველი განრიგი შეიქმნას. გასუბრების დროს სტუდენტები დაადასტურეს, რომ ცხრილის ცვლილებების პროცესში მათი ინტერესები გათვალისწინებულია. გასაუბრების და მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ, რომ ცხრილის ცვლილებების პროცესში მათი ინტერესები გათვალისწინებულია. არსებული მექანიზმები, მათ შორის სასწავლო პროცესის რეგულაციები, ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის რეგულაცია, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები და სასწავლო ცხრილის ადაპტაციის შესაძლებლობა, ხელს უწყობს სტუდენტების საჭიროებებზე დროულ რეაგირებას. ჩართული მხარეების (ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელები, მასწავლებლები და სტუდენტები) შეფასებები ადასტურებს, რომ კოლეჯში პროცესი გამჭვირვალედ და ეფექტურად იმართება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, კერძოდ:

კოლეჯი აქტიურად უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. აღნიშნულის დასადასტურებლად შეფასების პროცესში განხილული იქნა სხვადასხვა კომპონენტი, ჩატარდა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, ხოლო ადგილზე დათვალიერებულ იქნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდები, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკულ ჩართულობას და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას. მათ შორის აღსანიშნავია: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – სტუდენტები მუშაობენ რეალურ ან სიმულირებულ ამოცანებზე. კოლეჯი უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურ გამოყენებას სასწავლო პროცესში, რაც მოიცავს:კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვილ ლაბორატორიებს, რომლებიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, იმუშაონ შესაბამისი დარგის პროგრამულ უზრუნველყოფაზე. ყველა კომპიუტერი აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერული პროგრამით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას რეალური სამუშაო პროცესისთვის. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება სწავლების თანამედროვე სტანდარტებს და სრულად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკულ მომზადებას. სასწავლო მასალები და რესურსები ელექტრონულადაც ხელმისაწვდომია, რაც ზრდის სტუდენტების შესაძლებლობას, დამოუკიდებლად იმუშაონ და გაამყარონ მიღებული ცოდნა. შეფასების პროცესის ფარგლებში გასაუბრებები ჩატარდა კოლეჯის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და სტუდენტებთან, რომელთა შეფასებები დადებითია: პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სწავლების მეთოდოლოგია რეგულარულად გადაისინჯება და ვითარდება თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გათვალისწინებით. მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებსა და დარგისთვის შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას.

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებს, კერძოდ:

დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, რაც ასახულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ინგ) შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მოქნილობას, სტუდენტთა უფლებების დაცვასა და მათი წარმატებული აკადემიური წინსვლის ხელშეწყობას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. რეგულაციის თანახმად გეგმის შემუშავების აუცილებლობა დგება შემდეგი გარემოებების შემთხვევაში:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიულ სტუდენტს აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება (სსს);
- პროფესიული სტუდენტი დროებით საჭიროებს სპეციალურ საგანმანათლებლო რეჟიმს/ინგ-ს ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო;
- პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით (შიდა/გარე);
- სტუდენტს ნაწილობრივ უფორმდება ფორმალური განათლების აღიარება/დადასტურება და ამის საფუძველზე სჭირდება განსხვავებული სასწავლო გეგმა;
- პროფესიული სტუდენტი აგრძელებს სწავლის პროცესს ფორმალური განათლების აღიარების შემდეგ;
- სხვა შემთხვევები, როდესაც პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით ჩნდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის აუცილებლობა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს კონკრეტული პირისთვის ან სტუდენტთა ჯგუფისთვის, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს ან ამის საჭიროება დგება მოცემულ სიტუაციაში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება შეიძლება დადგეს სასწავლო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში ჩართული მხარეები: დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის სპეციალისტი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული სტუდენტი (ან მისი კანონიერი წარმომადგენელი), სპეციალური საჭიროების პირის შემთხვევაში ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ რომ იცნობენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესახებ რეგულაციას. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯი სრულად ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები შეესაბამება სტუდენტთა ინტერესებს და მათი საჭიროებების შესაბამისად მიმდინარეობს. სტუდენტთა, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის უკუკავშირი ადასტურებს, რომ პროცესი ეფექტურად და რეგულაციის თანახმად იმართება.

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, კერძოდ:

პროგრამა არ მოიცავს საწარმოო პრაქტიკის მოდულს.

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კერძოდ:

კოლეჯში მოქმედებს უსაფრთხოების პოლიტიკა და შესაბამისი შიდა რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნისა და დაცვის პროცედურებს. კოლეჯში დაცულია შრომის უსაფრთხოების ნორმები, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა დაცულ გარემოში სწავლას. ჩართულ მხარეთა უკუკავშირი დადებითია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კოლეჯი სრულად აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოთხოვნებს. დამატებით უსაფრთხოების დაცვას ეს პროგრამა არ ითვალისწინებს და არ საჭიროებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები;
- შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების გეგმია;
- წესრიგის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების უზრუნველყოფის წესი;
- კვლევის ანგარიშით 2024 (პროგრამების შეფასება);
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, კერძოდ:

დაწესებულების მიერ დამტკიცერბულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ განსაზღვრულია შეფასების სისტემის პრინციპები, რაც ითვალისწინებს შედეგებზე დაფუძნებულ, სამართლიან და დასაბუთებულ მიდგომას. შეფასების სისტემის ზოგადი პრინციპებია

- ვალიდურობა – შეფასება ადეკვატურად ასახავს პროფესიული სტუდენტის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს;
- სანდოობა – შეფასების ინსტრუმენტები უზრუნველყოფს შედეგების ობიექტურ და ერთგვაროვან შეფასებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სამართლიანობა და ობიექტურობა – შეფასების პროცესი არ არის სუბიექტური და უზრუნველყოფილია სამართლიანი მიდგომა ყველა სტუდენტის მიმართ;
- გამჭვირვალობა – სტუდენტები წინასწარ იღებენ სრულ ინფორმაციას შეფასების სისტემისა და კრიტერიუმების შესახებ.

წესის მიხედვით არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: სწავლის შედეგი დადასტურდა, სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა. მოდულის კრედიტები ათვისებულად ითვლება მოდულის ყველა სწავლის შედეგის დადასტურების შემთხვევაში. ასევე წესში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების ინსტრუქცია. ვალიდაციის მიზნით შეფასების თანხმდება სხვა მოდულის განმახორციელებელთან ან პროგრამის კოორდინატორთან და დირექტორის მოადგილესთან ან სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტთან, რომლებიც წარმოადგენენ ვერიფიკატორებს (შემდგომ - შიდა შემმოწმებელი). მოდულის განმახორციელებელი ან პროგრამის კოორდინატორი, სწავლის შედეგების დადასტურებამდე, მოდულის განმახორციელებელთან ერთად ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივ/დარგობრივ თავსებადობას, ხოლო დირექტორის მოადგილე ან სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი - სტრუქტურულ/ მეთოდოლოგიურ თავსებადობას. გასაუბრებისთ დადგინდა, რომ რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები იცნობენ ვალიდაციის პროცეს, ღებულობენ ამ პროცესში მონაწილეობას და ინფორმირებულნი არიან ინტერესთა კომფლიქტის შესახებ.

ინდიკატორი 2.4.2.1. შესაბამისობაშია

2.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, კერძოდ:

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში გაწერილია შეფასების ინსტრუმენტების და მტკიცებულებების შემოწმება/ვერიფიკაცია. შეფასების პროცესში შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სტანდარტის მიხედვით, მოწმდება თუ არა მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებები ობიექტურია თუ არა. ამ მიზნით ყოველწლიურად დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით იქმნება ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელსაც საერთო ხელმძღვანელობას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. ვერიფიკაციის ჯგუფში შედიან დარგის პროფესიული განათლების მასწავლებლები. დარგის სპეციალისტი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, ვერ შეამოწმებს იგივე ინსტრუმენტს. ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია/ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციისას არ განიხილება ყველა სტუდენტის მტკიცებულებების, თუმცა დაწესებულება ახდენს სხვადასხვა ნამუშევრების შერჩევა იმისთვის, რომ მოდულის ფარგლებში დადგინდეს, რამდენად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ობიექტურია მასწავლებლის შეფასება და რამდენად იცავს ის სტანდარტს. შერჩევის რაოდენობაზე გავლენას ახდენს რისკ-ფაქტორები. შესაბამისად, რისკ-ფაქტორების ანალიზმა შეიძლება განაპირობოს შერჩევის ზომის ზრდა. თითოეული რისკ-ფაქტორი დაყოფილია დაბალ, საშუალო, მაღალ და კრიტიკულ რისკ- ფაქტორად და მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულა. მტკიცებულებები შეირჩევა მარტივი შემთხვევითი პრინციპით, მტკიცებულებების საკმარის რაოდენობას დაწესებულება წესის შესაბამისად თავად განსაზღვრავს. ვერიფიკატორების დასკვნების განხილვის შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მუშავდება ერთიანი ვერიფიკაციის ანგარიში, რომელიც წარედგინება დირექტორს. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ იცნობენ ვერიფიკაციის პროცეს და ინტერესთა კომფლიქტის გათვალისწინებით შესაბამისად ღებულობენ მონაწილეობას ამ პროცესში.

ინდიკატორი 2.4.2.2. შესაბამისობაშია

3.პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, კერძოდ:

დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ შეკრებილი მტკიცებულებებს, რომელიც უნდა იძლეოდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას, მოდულის დასრულების შემდეგ მოდულის განმახორციელებელი წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტს, რომელიც აღრიცხავს ელექტრონულად და ინახავს შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, სპეციალურად მტკიცებულებებისთვის გამოყოფილ ადგილას. მტკიცებულებები 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში ნადგურდება ან მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს. მტკიცებულებები დაცულია უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად. რეგულაციის და არსებული მდგომარეობის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ კოლეჯი ეფექტურად უზრუნველყოფს შეფასების პროცესთან დაკავშირებული მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას.

ინდიკატორი 2.4.2.3. შესაბამისობაშია

4.პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ:

კოლეჯი წარმატებით იყენებს განსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას პროფესიულ სტუდენტთა განვითარების ხელშეწყობისთვის. შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამის განმახორციელებელი პირები ნერგავენ ახალი მიდგომებს და ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობს როგორც მეთოდების გაუმჯობესებას, ისე შეფასების სისტემის დახვეწას. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები, ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას პროგრამის განვითარების მიზნით. პროფესიული სტუდენტების შეფასების შედეგები არა მხოლოდ შეფასების მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს, არამედ ასახავს მომავალი განვითარების გზას.

ინდიკატორი 2.4.2.4. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- კვლევის ანგარიშით 2024 (პროგრამების შეფასება);
- ვერიფიკაციის ანგარიშით 2024;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით;
- შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების ინსტრუქცია;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი V. ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ივსება თითოეული მილევადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support;
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული ენა
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, ვაკე-საბურთალო, ანა პოლიტკოვსკაიას №4 (ყოფ. ჯიქია) VI სართული
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	იმიტირებული

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი
16.12.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: